603ш/15827
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№153 (12 223)
2 ივლისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



## ეს ჩვენი ტრადიციაა
## ზესტაფონი ტობოლმა გააგდო

## მახარაძის არგუმენტები: ბიუჯეტი და ნიუანსები

2

## სუპერტრანსფერების მოლოდინში



### ლემპარდმა ჩელსის ზღაპრულ წინადადებაზე უარი თქვა

## იუვე ან ბარსა



მილანი ინტერს:

## ადრიანო გვინდა!

ბერლუსკონი:

შევჩენკოს ველაპარაკე, მან იცის, რა უნდა გააკეთოს...

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

## ცხინვალის მილიონები



სანაკოევი: ევროპარლამენტიდან უმაღლეს ლიგაში

3

ჩიხურა განწირულია



## ჩახნაშვილის მეექვსე

რომ არა მარცხი უიმბლდონის ტურნირის პირველივე საკვალიფიკაციო წრეში, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი, 24 წლის **მაკა ჩახნაშვილი** ტიტულს დაკარგავდა, რაკი იტალიურ პადოვაში დროულად ჩასვლას ვერ მოასწრებდა. ჩახნაშვილი პადოვის ტურნირის (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში სახელდახელოდ დაუშვეს, რისთვისაც "უაილდ ქარდი" მისცეს. ასე აღმოჩნდა მსოფლიოს 147-ე ჩოგანი მოკრძალებული საპრიზო ფონდის მქონე ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში. იქ მაკამ ორი მეტოქე დაამარცხა და ძირითად ბადეში მესამე ნომრად განთესეს.

ფინალამდე ჩახნაშვილის გზა საკმაოდ რთული გამოდგა. პირველ წრეში მან ჩეხ **მიხაელა პასტიკოვას** (268) მხოლოდ სამ სეტში აჯობა - 3:6, 6:4, 7:6. იგივე განმეორდა მეორე წრეშიც, როცა ქართველმა ბელარუსი **დარია კუსტავა** (196) დაამარცხა - 4:6, 6:1, 7:5. მეოთხედფინალში ჩახნაშვილი ასევე "უაილდ ქარდით" მიწვეულ **ჯანა დოზს** (ხორვატია, 439) შეხვდა. ამჯერად მან ორ სეტში მოიგო, თუმცა პირველ წრეში მაინც გაუჭირდა - 7:6, 6:1.

პადოვის ტურნირის ნახევარფინალში ჩახნაშვილი მეხუთე ნომრად განთესილ პარაგვაელ **როსანა დე ლოს რიოსს** (162) შეხვდა. ჩვენებურმა ვეტერანს ორ სეტში მოუგო - 7:5, 6:1. სხვათა შორის, დე ლოს რიოსი ადრე 51-ე ჩოგანი იყო. ფინალში მაკას მეტოქე 21 წლის ჩეხი **სანდრა ზაჰლალოვა** გახლდათ. ზაჰლალოვა რეიტინგში 143-ეა, ტურნირში კი მეორე ნომრად იყო განთესილი. ფინალი ქართველმა 3:6, 6:1, 6:3 მოიგო...

13

ყაზბეგი

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი

# ტრადიცია გრძელდება

**ზესტაფონი-ტობოლი**

**2:0**

30.06.07. თბილისი. მ. მესხი. 1200 მაყურებელი

**პირველი მატჩი 0:3**

1:0 საჯაია (3. კესანის პასით), 2:0 გ. ჩხეტიანი (35. კესანის პასით).

ზესტაფონი: ჭანტურია - ბენაშვილი (60. ჟონატასი), საჯაია, სანტოსი, ს. თოდუა - ნ. კვასხვაძე, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა (90. ლონლაძე) - ფიფია - გ. ჩხეტიანი

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, დაუშვილი, ძარია, სანაია, ხიდეშელი*

ტობოლი: პრიადკინი (72. პეტუხოვი) - მეკუნოვი, ნურდალუეტოვი, დმიტროვი, ირისმეტოვი - ხარაბარა, სკორიხი, ბალტიევი, ნურგალიევი (46. იურინი) - ჟუმასკალიევი, ოსტაპენკო (90. ლოტოვი)

*სათადარიგოები: საბალაკოვი, ურაზოვი, აბუგალიევი, მეშკოვი*

გაფრთხილებები: საჯაია (56), ფიფია (76), ბალტიევი (16), ოსტაპენკო (56)

არბიტრი: ვ. სვილოკოში (ხორვატია)



პირველი გოლი ყაზახთა კარში

ევროტურნირებზე ქართული გუნდების წარუმატებლობებს მიჩვეულები კი ვართ, მაგრამ ერთიორად გვწყდება გული, როცა ყაზახებთან ვმარცხდებით. რა მიზეზებიც უნდა მოგვიყვანონ "ზესტაფონის" მწვრთნელებმა, ფეხბურთელებმა თუ ხელმძღვანელებმა (ყაზახეთში გახურებული ჩემპიონატიაო, მგზავრობისას პრობლემები შეგვექმნაო და ასე შემდეგ), რეალობას ვერსად გავექცევით: "ტობოლის" ბარიერი ჩვენს გუნდს უსათუოდ უნდა გაევლო!

დღემდე ვერ აგვიხსნია, როგორ "მოახერხა" "ზესტაფონმა" პირველ შეხვედრაში სამი ბურთის გაშვება; თანაც, სამივე გოლი ცენტრალური მცველებისა და მეკარის შეუთანხმებელ თამაშსა და პოზიციურ შეცდომებს მოჰყვა. არადა, "ზესტაფონში" ყველაზე ძლიერად ხომ ეს ორი რგოლი მიიჩნევა...

"ტობოლის" "სიძლიერეში" კი განმეორებით მატჩში დავრწმუნდით - 95 წუთის განმავლობაში **გრიგოლ ჭანტურია** სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს. ალარაფერს ვამბობთ იმ, ცოტა არ იყოს, მართლაც უცნაურ მეორე ტაიმზე, როცა "ზესტაფონს" ერთი გოლიღა სჭირდებოდა, მაგრამ ეპიზოდებში თუ ამწვავებდა თამაშს. მოკლედ, ალბათ, დროა, რომ უშუალოდ მატჩზე გადავიდეთ, რომლის დებიუტიც ჩვენთვის ერთობ იმედისმომცემი გამოდგა. ფაქტობრივად, პირველივე შეტევა გოლით დასრულდა: **ვიეირას** კუთხურს **კესანის** ზუსტი პასი (თავით) მოჰყვა, საგოლე დარტყმა კი მეტოქის საჯარიმოში ჩასულმა **ედიკ საჯაიამ** შეასრულა. ყველაფერი ეს მესამე წუთზე მოხდა და მასპინძლებს უკვე ორბურთიანი ჩამორჩენაღა ჰქონდათ ამოსაქაჩი.

ჰოდა, შტურმიც დაიწყო: ჯერ **როინ ონიანის** თავური დარტყმა ასცდა მიზანს, მერე კი, სულ რაღაც 30-წამიან ინტერვალში **გოგი ფიფიას** ზედიზედ ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა. პირველ ეპიზოდში ეფექტურად შესრულებული მისი თავური ხარიხას მოხვდა, მეორეჯერ კი 30 მეტრიდან გაისროლა "ზესტაფონის" უპირობო ლიდერმა, მაგრამ ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა მეტოქის კარს.

ისე, ალბათ, თავიდანვე უნდა ალგვენიშნა: პირველ ტაიმში მასპინძელთა სწრაფი და აგრესიული თამაში იმითაც იყო განპირობებული, რომ **თემურ მახარაძეს** ერთობ თამამი და შეტევაზე ორიენტირებული ტაქტიკა ჰქონდა არჩეული: ახალგაზრდა **ალექსი ბენაშვილი** ნომინალურად მარჯვენა მცველის პოზიციაზე თამაშობდა, თუმცა უფრო მეტ დროს შეტევაში ატარებდა და თავის ასევე ახალგაზრდა პარტნიორ **ნიკოლოზ კვასხვაძესთან** ერთად, მარჯვენა ფლანგზე ჩინებული ტანდემი შექმნა; არანაკლებ ეფექტური იყო მარცხენა ფლანგზე **ვიეირაც**; ნახევარდაცვის ცენტრში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა **კესანიმ**; მაგრამ გამორჩეული მაინც ფიფია გახლდათ, რომლის ორიგინალური დრიბლინგი და ზუსტი გადაცემები მეტოქეს უამრავ თავსატეხს უჩენდა.

მასპინძელთა აქტიურ და აგრესიულ თამაშს გოლი კიდევ უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა: ისევ ვიეირას ჩაწოდება, ისევ კესანის აქტიურობა და "ზესტაფონის" ერთადერთმა ნომინალურმა თავდამსხმელმა **გაგა ჩხეტიანმა** ახლო მანძილიდან ორი მატჩის ჯამში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. რაღა რჩებოდა - მთელი მეორე ტაიმი და ერთი გოლი, თანაც შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანდა მსაჯთა ბრიგადის კეითლგანწყობა მასპინძელთა მიმართ...

...მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ნათელი გახდა, თუ როგორი სწორი შეცვლა გააკეთა სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **დმიტრი ოგაიმ**. "ტობოლის" მარჯვენა ნახევარმცველმა **ანდრეი ხარაბარამ** ფლანგი შეიცვალა, ხოლო მისი ადგილი შეცვლაზე შემოსულმა **იგორ იურინმა** დაიკავა. ამ ტაქტიკური გადაადგილებით "ზესტაფონს", რომ იტყვიან, ფრთები შეეკვეცა: მარცხნივ ვიეირა მოექცა იურინის მარწუხებში, მარჯვნივ კი უფრო უარესი მოხდა - ამ მართლაც ორიგინალური გვარის პატრონმა ხარაბარამ ფლანგზე გაილაღა და საწყის ხუთ წუთში რამდენიმე სახიფათო რეიდი მოაწყო კიდეც.

მოკლედ, აშკარა იყო, რომ მახარაძეს საპასუხო სვლა უნდა გაეკეთებინა და ასეც მოხდა: ხარაბარასგან აშკარად დაჩაგრული ბენაშვილის ნაცვლად მოედანზე ჟონატასი გამოვიდა. ტრიბუნებზე ბევრისთვის ეს ცვლილება მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ უფრო მოულოდნელი და შეუფერებელი იყო ბენაშვილის საქციელი, რომელმაც პროტესტი დემონსტრაციულად გამოხატა. 18 წლის ბიჭს (თანაც, ერთობ პერსპექტიულს) თამაში რომ სწყურია, კარგია, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილების (როგორიც არ უნდა იყოს ის) ემოციურად გაპროტესტებას ნამდვილად ვერ მოვუწონებთ.

სამწუხაროდ, ამ ცვლილებამ ვერაფერი შედეგი მოიტანა - **ჟონატასი** მოედნის ცენტრში კესანის შეუწყვილდა, ბენაშვილის დაგილზე კი მართლაც უნივერსალმა როინ ონიანმა დაიწია. ძალიან, ძალიან უცნაური იყო, რომ მასპინძლები ვერაფერ ხეირიანს ვერ ქმნიდნენ სუსტ მეტოქესთან. ერთხელ ჟონატასმა დაარტყა შორიდან, რასაც მეტოქის მეკარის ტრავმა მოჰყვა, მაგრამ "ზესტაფონის" ფეხბურთელებს არც შეცვლაზე შემოსული **პეტუხოვის** შეწუხება უცდიათ. ერთადერთი, რასაც ცოტა დაძაბულობა მოჰქონდა სტუმართა საჯარიმოში, როინ ონიანის აუტიდან შორ მანძილზე ჩაწოდებული ბურთები იყო.

...მასპინძლების მიმართ სიმპათიით განმსჭვალულმა ხორვატმა მსაჯმა მატჩს 5 წუთი დაამატა, მაგრამ ვერც ამ მონაკვეთში ვიხილეთ რამე. ბევრს უცნაურად მოეჩვენა ცენტრალური მცველის, **შალვა ლონლაძის** მოედანზე გამოჩენაც, რომელმაც ადგილი... თავდასხმაში დაიკავა. ალბათ, მახარაძის გათვლით, ტანმაღალ ლონლაძეს მეტოქის საჯარიმოში მაღალი ბურთებისთვის უნდა ებრძოლა, მაგრამ სტუმრებმა უშეცდომოდ ჩაატარეს დასკვნითი წუთები და საბოლოოდ, თავიანთთვის სასურველ შედეგს მიაღწიეს. მთლიანობაში, ყოველივე ეს ლოგიკურიც ჩანდა - თუ გავითვლისწინებთ მასპინძელთა ერთობ პასიურ და ერთფეროვან თამაშს თავდასხმაში...

**გია ტუხაშვილი**



მეორე გოლის ავტორი გაგა ჩხეტიანი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

## მატჩის შემდეგ

**დმიტრი ოგაი** (ტობოლი): *"ჩემი ფეხბურთელების თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ. როგორც ჩანს, მათ თავი ქუდში ეგონათ, რისთვისაც კინაღამ დავისაჯეთ. "ზესტაფონმა" კი სასიამოვნოდ გამაკვირვა. ნამდვილად არ მეგონა, თქვენი გუნდი ასე დამაჯერებლად თუ ითამაშებდა. მიხარია, მომდევნო ეტაპის საგზური ასეთ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში რომ მოვიპოვეთ".*

**თემურ მახარაძე** (ზესტაფონი): *"ზესტაფონის" ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად არ აღმოჩნდნენ მზად ამხელა სხვაობის გასაბათილებლად. ამის მიუხედავად, მათ ჩინებულად ითამაშეს და დაამტკიცეს, რომ დიდი პერსპექტივა აქვთ. რომ არა რამდენიმე ნიუანსი, შემდეგ ეტაპზე ჩვენ გავიდოდით. არ დაგავიწყდეთ, რომ ყაზახურ კლუბებს ჩვენზე გაცილებით სოლიდური ბიუჯეტი აქვთ. ამას გარდა, მათთან ჩემპიონატი მიმდინარეობს, ამის გამო "ტობოლი" უკეთეს ფიზიკურ ფორმაშია და ორი მატჩის ჯამში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამის გამო დაგვამარცხა".*

**სხვა შეხვედრები**

| I რაუნდი. საპასუხო მატჩები | |
|---|---|
| მაკედონია (მაკედონია)-ეთნიკოსი (კვიპროსი) | 2:0 (0:1) |
| მარიბორი (სლოვენია)-ბირკირკარა (მალტა) | 2:1 (3:0) |
| დაჩია (მოლდოვა)-ბაქო (აზერბაიჯანი) | 1:1 პენ. 4:2 (1:1) |
| კორკი (ირლანდია)-ვალური (ისლანდია) | 0:1 (2:0) |
| ვლაზნია (ალბანეთი)-ზაგრები (ხორვატია) | 1:0 (1:2) |
| სლავია (ბოსნია)-სანტ ჯულია (ანდორა) | 3:2 (3:2) |
| სლოვანი (სლოვაკეთი)-დიფერდანჟი (ლუქსემბურგი) | 3:0 (2:0) |
| კლაკსვიკი (ფარერები)-ჰამარბიუ (შვედეთი) | 1:2 (0:1) |
| გრბალი (ჩერნოგორია)-გლორია (რუმინეთი) | 1:1 (1:2) |
| არარატი (სომხეთი)-შახტიორი (ბელარუსი) | 2:0(1:4) |
| დინაბურგი (ლატვია)-კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია) | 0:1(1:1) |
| ტვმკ (ესტონეთი)-ჰონკა (ფინეთი) | 2:4 (0:0) |
| ლანელი (უელსი)-ვეტრა (ლიტვა) | 5:3 (1:3) |

| II რაუნდი |
|---|
| სლავია (ბოსნია)-ოცელული (რუმინეთი) |
| მაკედონია (მაკედონია)-ჩერნო მორე (ბულგარეთი) |
| მარიბორი (სლოვენია)-ჰაიდუკი (სერბეთი) |
| ტრაბზონი (თურქეთი) -ვლაზნია (ალბანეთი) |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)-გლორია (რუმინეთი) |
| დაჩია (მოლდოვა)-სტ. გალენი (შვეიცარია) |
| ზალაეგერსეგი (უნგრეთი)-რუბინი (რუსეთი) |
| რაპიდი(ავსტრია)-სლოვანი (სლოვაკეთი) |
| ჩერნომორეცი (უკრაინა)-შახტიორი (ბელარუსი) |
| ტობოლი (ყაზახეთი)-ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| ჰონკა (ფინეთი)-ოლბორგი (დანია) |
| ვეტრა (ლიტვა)-ლეგია (პოლონეთი) |
| გენტი (ბელგია)-კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია) |
| კორკი (ირლანდია)-ჰამარბიუ (შვედეთი) |

**პირველი მატჩები 7/8 ივლისს გაიმართება, საპასუხო - 14/15 ივლისს.**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# შოთას აიაქსში აბრუნებენ

ჰოლანდიური ვებგვერდი Voetballking.hl ასეთ ცნობას ავრცელებს - შესაძლოა, **შოთა არველაძე** ამსტერდამის "აიაქსში" დაბრუნდეს.

არველაძის "აიაქსში" დაბრუნებაზე ჯერ კიდევ შარშანწინ იყო ლაპარაკი, მაგრამ მაშინ "აიაქსის" მთავარი მწვრთნელი **დენი ბლინდი** ყოყმანობდა მის აყვანაზე და ჩვენებურმაც ლონდის "რეინჯერსიდან" **ლუი ვან გაალის** "ალკმაარში" გადასვლა არჩია.

შოთა ახლა საქართველოშია და როცა ვებგვერდის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე ვკითხეთ, გვიპასუხა, "ალკმაარიდან" ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამთ და საერთოდ, ასეთი შემოთავაზებით არავის მოუმართავსო.

ვეჭვობთ, ჰოლანდიაში ჟურნალისტიკური ეთიკა ისეთ დონეზე არ იყოს, ჭორებს ავრცელებდნენ. Voetballking იმასაც დასძენს, "ალკმაარის" პრეზიდენტი **დირკ შერინგი** არველაძის "აიაქსში" შესაძლო გადასვლის თაობაზე აიაქსელთა ტექნიკურ დირექტორს **მარტინ ვან ხეეტს** უნდა შეხვდესო.


შოთა აიაქსში თამაშისას

**დავით თავართქილაძე**

ცხინვალი

# მილიონიანი გუნდი დიდი ამბიციებით

## საჩხერის ჩიხურას უმაღლესიდან მოკვეთენ?

ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია - "ცხინვალი" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. ჩვენი ინფორმაციით, ეს გუნდი საჩხერის "ჩიხურას" ადგილს დაიკავებს. საჩხერელთა ფინანსური მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. გუნდს უმაღლესში ასპარეზობისთვის საჭირო თანხა არ გააჩნია.

საკითხი საბოლოოდ სამშაბათს უნდა გადაწყდეს. ლაპარაკია იმაზე, რომ კლუბის ბიუჯეტი სოლიდური იქნება, წინასწარი ინფორმაციით, მილიონ ლარამდე. მართალია, ამ თანხით ევროგრანდი ვერ ჩამოყალიბდება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჩემპიონ რუსთავის "ოლიმპის" წლიური ბიუჯეტი 900 ათას ლარამდე იყო. ანუ ნორმალური გუნდის ჩამოსაყალიბებლად სამყოფი თანხაა - მთავარია სწორი მენეჯმენტი.

მთავარი ისაა, რომ "ცხინვალი" აღარ იქნება ორი წლისწინანდელივით გაღლეტილი გუნდი, რომლის წევრებსაც ცხინვალელები ურეკავდნენ და ხუმრობით სთავაზობდნენ გადასვლას - თითქოს, რუსები გაცილებით მეტად გვაფინანსებენო. ცნობისთვის - 2005/06 წლების სეზონში "ცხინვალის" ბიუჯეტი 54 ათას ლარს შეადგენდა. ამიტომაც გახლდათ ეს გუნდი უმაღლესისთვის შეუფერებელი და ლოგიკურიც იყო, საბოლოოდ ლიგიდან რომ მოკვეთეს.

წელს იგივე ბედი ელის საჩხერის "ჩიხურასაც". მისი ბიუჯეტი პირველ წრეში საკმაოდ სოლიდური იყო, მაგრამ მერე მეპატრონემ დაფინანსება აღარ ისურვა. საჩხერელებს წელსაც ძალიან უჭირთ. აკი თქვა კიდეც პრესკონფერენციაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** - "ჩიხურა" ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებსო.

დიდი ხანი ცდილობდა საჩხერელთა დღევანდელი ხელმძღვანელობა გუნდის შენარჩუნებას, სამწუხაროდ, ეს ვერ მოახერხა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასეთი ინფორმაციაა. მის ნაცვლად კი, უმაღლეს ლიგაში, სავარაუდოდ, "ცხინვალი" ითამაშებს.

და რაც მთავარია - ეს ყოველივე არ გახდება უმაღლესი ლიგის გაზრდის წინაპირობა. ეს უკვე დადებითი მომენტია. ლიგის 16 გუნდამდე გაზრდა საქართველოს ჩემპიონატისთვის სასურველი ნამდვილი არ იქნებოდა. 14 გუნდიც არაა ოპტიმალური, მაგრამ რადგან მომავალი სეზონიდან მათი რაოდენობა 12-დე შემცირდება, ესეც ასატანია.

ლიგას კი ფინანსურად ღონიერი რაც შეიძლება მეტი გუნდი სჭირდება, "ცხინვალს" კი ასეთი პერსპექტივა უჩანს. იმედია, დაფინანსება ნებისმიერ შემთხვევაში შენარჩუნდება და არა მარტო ერთ სეზონში, შემდგომშიც გაგრძელდება.


დიმიტრი სანაკოევი

და კიდევ - სეზონი 4 აგვისტოს სათასო თამაშებით განახლდება, ჩემპიონატი კი 11 აგვისტოს დაიწყება. ანუ მანამდე არის გვარიანი დრო, "ცხინვალი" ნორმალურად რომ დაკომპლექტდეს. მართალია, პირველივე სეზონში ძალიან ძნელია დიდი და სერიოზული წარმატების მიღწევა, მაგრამ "ცხინვალს" გასავარდნადაც არ უნდა ჰქონდეს საქმე. ნორმალური მართვის შემთხვევაში კი, ლიდერებში მოხვედრაცაა შესაძლებელი. ეს ხომ საქართველოა, სადაც ერთი წლის რუსთავის "ოლიმპი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროტურნირების წინ. რას წერენ ჩვენზე

# მთავარია, თბილისის მერე შანსი გვქონდეს


ჰაინც ჰერმანი

გასულ პარასკევს, ნიონში ჩატარებულმა წილისყრამ თბილისის "დინამოს" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიხტენშტაინის "ვადუცი" არგუნა მეტოქედ. ბუნებრივია, წილისყრის შემდეგ მეტოქეებმა ერთმანეთზე ინფორმაციის შეგროვება დაიწყეს. ამ მხრივ "დინამოს" მესვეურები უკვე მუშაობენ და არც ლიხტენშტაინელები არიან უქმად.

ლიხტენშტაინელთა გერმანულენოვან ვებგვერდებზე უკვე გამოჩნდა ცნობები, რომელიც "დინამოსა" და "ვადუცის" მეტოქეობასა და მომავალ მატჩებს ეხება.

*"შესაძლებელი იყო "იანგ ბოიზი, "რიდი" ან "მატერსბურგი" ყოფილიყო ჩვენი მეტოქე და შორეული მგზავრობა აგვეცილებინა. ამ ეტაპზე ჩვენი მოწინააღმდეგე საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი თბილისის "დინამოა". ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ამჯერად ვერცხლის მედალს დასჯერდა და ბუნებრივია, ევროტურნირებზეც ამბიციური მიზნები ექნება"*, - აი, ასე ახასიათებს ვებგვედი "ლიხტენშტაინ ფატერლანდი" მომავალ მეტოქეს. იქვე მოყვანილია "ვადუცის" მთავარი მწვრთნელის, **ჰაინც ჰერმანისა** და კლუბის სპორტული დირექტორის, **ვერნერ გერბერის** სიტყვებიც:

*"ჩვენ უკვე დავიწყეთ მეტოქეზე ცნობების შეგროვება და "დინამოს" ვებგვერდიდან ბევრი რამ შევიტყვეთ. როგორც ირკვევა, "მილანის" ცნობილი მცველი კახა კალაძე წლების განმავლობაში სწორედ თბილისის "დინამოში" თამაშობდა. ამჟამად კი მეტოქე გუნდში ყველაზე ცნობილი ფიგურა ავტრალიელი მცველი ნედ ზელიჩია, რომელიც "დორტმუნდში" ბუნდესლიგის ჩემპიონიც კი იყო. საგულისხმოა ისიც, რომ "დინამო" დატოვა და შვეიცარიულ "თუნში" გადავიდა გუნდისა და გასული სეზონის ბომბარდირი სანდრო იაშვილი, რომელმაც 21 ბურთი გაიტანა"*, - აღნიშნავს ჰაინც ჰერმანი.

*"ბუნებრივია, ქართველები წილისყრის შემდეგ დაინტერესდნენ, თუ როგორ მოხვდნენ იოლად ვადუცში. ჩვენ მათ ყველანაირად დავეხმარებით, რათა იოლად ჩამოვიდნენ ლიხტენშტაინის დედაქალაქში. მართალია, ჩვენგან საქართველო შორსაა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, თბილისს კეთილმოწყობილი აეროპორტი აქვს და იმედია, პრობლემები არ გვექნება.*

*პირველ მატჩი 19 ივლისს სტუმრად გვაქვს და ახლა მთავარია, თბილისში სასურველ შედეგს მივაღწიოთ და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გვქონდეს. საპასუხო შეხვედრას 2 აგვისტოს შინ გავმართავთ. "დინამო" ტიტულოვანი მეტოქეა. ეს მატჩი სპორტულად საინტერესო, დაძაბული და კომერციულადაც მომგებიანი იქნება"*, - აცხადებს "ვადუცის" სპორტული დირექტორი **ვერნერ გერბერი**.

**დავით ცაბაძე**

**დინამო-შლოტჰაიმი 6:0**

**1:0 ფეიქრიშვილი (12. ოდიკაძის პასით), 2:0 ფეიქრიშვილი (29. ჯანაშიას პასით), 3:0 მერებაშვილი (45. ოდიკაძის პასით), 4:0 დილმელაშვილი (51. პენალტით), 5:0 კობახიძე (70), 6:0 ხუციშვილი (86. შ. კაშიას პასით)**

დინამო: **ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, ზელიჩი, თომაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე, ფეიქრიშვილი, ჯანაშია, მერებაშვილი, გონჩაროვი**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ლორია, ლობჟანიძე, ფირცხალავა, დილმელაშვილი, კობახიძე, ხუციშვილი, ვუკუე, სპასოევიჩი**

დინამო

# ექვსი მშრალი ბურთით

გერმანულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ რიგით მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. **დუშან უჰრინის** გუნდი კიდევ ერთ ქვედალიგოსანს დაუპირისპირდა და დიდი ანგარიშით მოიგო.

დინამოელთა კაპიტნად პირველ ნახევარში **დავით ოდიკაძე** მოგვევლინა, მეორე ტაიმიდან კი უკვე **დავით დილმელაშვილი** გამოჩნდა მოედანზე და კაპიტნის სამკლავურიც ჩაიბარა. პირველი ნახევრის შემდეგ, უჰრინმა მხოლოდ სამი ფეხბურთელი, **შოთა კაშია, ნედ ზელიჩი** და **გულვერდ თომაშვილი** დატოვა მოედანზე. დანარჩენები კი სხვა ფეხბურთელებით შეცვალა.

რაც შეეხება გოლებს, ოდიკაძემ ჯერ **გიორგი მერებაშვილს,** მერე კი **გიორგი ფეიქრიშვილს** გაატანინა. ამ უკანასკნელმა დუბლი მიითვალა. კაპიტანმა დილმელაშვილმა **ილია სპასოევიჩის** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. **სანდრო კობახიძემ** ჩინებული სოლორეიდი გოლით დააგვრგვინა, საბოლოო ანგარიში კი **მიხეილ ხუციშვილმა** შოთა კაშიას პასით დააფიქსირა. ამ მატჩს გერმანიაში მცხოვრები ქართველებიც ესწრებოდნენ. ისინი "დინამოს" შეძახილებითა და ქართული დროშის ფრიალით ამხნევებდნენ.

"შლოტჰაიმთან" მატჩში დაშავებულ **სოსო გრიშიკაშვილს** არ უთამაშია. **ოლეგ გველესიანს** შაბათის ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა. გუშინდელი მატჩი გამოტოვა **მილოშ კრშკომაც,** რომელსაც მსუბუქი ტრავმა აქვს, მაგრამ დღეს, მორიგ საკონტროლო შეხვედრაში წესით, უნდა ითამაშოს.

დაბოლოს, "დინამო" დღეს მორიგ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. დუშან უჰრინის გუნდი რეგიონალლგაში აღზევებულ "გერას" დაუპირისპირდება.

**დავით ცაბაძე**

ამერი

# ჩეხეთში დაუმარცხებელია

ჩეხურ ბლშანში შეკრებაზე მყოფმა "ამერმა" ამ უქმეებზე საკონტროლო მატჩი ჩაატარა.

ამერელები შაბათს ჩეხურ გამბრინუსლიგაში წლეულს მეორე ადგილზე გასულ "ლიბერეცს" გაეჯიბრნენ და 1:1 ითამაშეს. პირველი გოლი ჩეხებმა გაიტანეს, გამთანაბრებელი კი **გივი დიდავამ** შეაგდო 63-ე წუთზე.

"ამერის" შემადგენლობა ასეთი იყო: **ქვაჩახია, კობაური, დავითნიძე (77. ხვადაგიანი), დიდავა (75. კაკაშვილი), ჩიკვილაძე (68. ელბაქაძე), დოლიძე (67. შალამბერიძე), დობროვოლსკი (80. მესხი), ბოლქვაძე (56. დეკანოსიძე), ალავიძე (68. ცხადაძე), დავითაშვილი (56. ტატანაშვილი), გოცირიძე (56. წინამძღვრიშვილი, 56. ვარდოსანიძე).**

გუშინ კი ამერელები ასევე გამბრინუსლიგელ "კლადნოს" შეხვდნენ და 2:0 იმარჯვეს. გოლები **ბაჩანა ცხადაძემ** (26-ე წუთზე) და **გიორგი ვარდოსანიძემ** (82-ეზე) გაიტანეს. **გიორგი ჩიხრაძემ** ესენი ათამაშა: **ნადირაშვილი, კაკაშვილი (73. დობროვოლსკი), ხვადაგიანი (66. კობაური), ჩიკვილაძე (62. დიდავა), ელბაქიძე, ჯელაძე (62. გოცირიძე), მესხი, დეკანოსიძე (54. ვარდოსანიძე), შალამბერიძე (57. დოლიძე), ტატანაშვილი (62. ალავიძე), ცხადაძე.**

მომდევნო მატჩს საქართველოს თასის მფლობელები 4 ივლისს გამართავენ ჩეხეთის მრავალგზის ჩემპიონ პრაღის "სპარტასთან".

**დავით თავართქილაძე**


ლიბერეცთან დიდავამ (27) გაათანაბრა

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბები

# უპრინმოელილები ბორჯომში



შოთა გრიგალაშვილი

"ვიტ ჯორჯიიდან" წასული მცველის **თენგიზ კობიაშვილის** გარდა, "ბორჯომში" კიდევ ორი ახალწვეული მივიდა - ძმები **ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები.** ვალტერი მანამდე "ტირასპოლში" თამაშობდა, პავლე კი ასევე მოლდოვური "შერიფის" დუბლებში. ორივენი ნახევარმცველები არიან. მათი "ბორჯომში" ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია. ბორჯომამდე ისინი **დუშან უჰრინის** "დინამოში" იყვნენ გასინჯვაზე.

"ბორჯომი" კიდევ აპირებს გაძლიერებას და გერმანული შეკრებიდან "დინამოს" ჩამოსვლას უცდის - ამ კლუბიდან სურს ფეხბურთელების იჯარით აყვანა - "ბორჯომს" და "დინამოს" ასეთი თანამშრომლობის პრაქტიკა უკვე აქვთ.

წინა სეზონში "დინამოდან" ჰყავდა "ბორჯომს" ნათხოვარი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **შოთა გრიგალაშვილი,** რომელსაც აზერბაიჯანში კი სურს გადასვლა, მაგრამ მისი მსურველი კლუბი და "დინამო" ჯერ სატრანსფერო თანხაზე ვერ თანხმდებიან. "ბორჯომში" იმედი აქვთ, თუ "დინამო" და აზერბაიჯანელები ვერ მოილაპარაკებენ, გრიგალაშვილი ისევ იქ ითამაშებს.

დავით თავართქილაძე

## ვიტამ ნორჩებით დაიწყო

SEZONISWINA სამზადისის პირველი ტესტმატჩი გამართა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" - პირველი ლიგის "ნორჩ დინამოელს" 6:0 მოუგო. ორი გოლი **ვასილ ღუჭაშვილმა** გაიტანა, თითო-თითო **ლექსო კვახაძემ, ზაზა სახვაძემ, ლაშა ჯაფარიძემ** და **ზაქარია მამუკაშვილმა,** ვინც ჯერაც თელავის "კახეთის" ფორვარდია და "ვიტ ჯორჯიაში" გასინჯვაზეა.

მომდევნო საკონტროლო მატჩს ვიტელები 7 ივლისს ითამაშებენ გორის "დილასთან".

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

# შაშიაშვილმა ორი მოიგო

გრაცის "შტურმი" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. **ფრანკო ფოდას** გუნდმა მორიგი ამხანაგური მატჩი კიდევ ერთ ქვედალიგოსანთან გამართა და დიდი ანგარიშით მოიგო. გრაცელებმა ნახევრადსამოყვარულო "ზემრიახი" 8:0 გაანადგურეს.

სპარინგ პარტნიორი მეტად სუსტი იყო და ფოდამაც სასტარტოში სათადარიგოდ მიჩნეული ფეხბურთელები გაამწესა. შესაბამისად, "შტურმის" ახალწვეული **გიორგი შაშიაშვილიც** თამაშში შეცვლაზე ჩაერთო. ეროვნული ნაკრების მცველმა მეორე ტაიმი სრულად ითამაშა. შესვენების შემდეგ გრაცელები სამი მშრალი ბურთით იგებდნენ და კიდევ ხუთი გოლი გაიტანეს. აქედან ორ საგოლე კომბინაციაში შაშიაშვილიც მონაწილეობდა. აქვე გეტყვით, რომ გრაცელებს გიორგის გვარის წარმოთქმა უჭირთ და მას უბრალოდ შაშის უწოდებენ.

*"შაში ამ შეხვედრაში ისევ პროდუქტიული იყო. იგი დაცვაში საიმედო თამაშით, პოზიციის შერჩევითა და პრესინგის თამაშისას გამოირჩა. ქართველ მცველს აშკარად ეტყობა, რომ ფიზიკურად კარგადაა მომზადებული. "შტურმის" მთავარ მწვრთნელ ფრანკო ფოდას მისი ეიმედება. ფანებიც იმედოვნებენ, რომ შაშიაშვილი მოკლე ხანში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცევა"*, - წერენ ავსტრიული ვებგვერდები.

გრაცელებმა გუშინ კიდევ ერთი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. შაშიაშვილის გუნდი ამჯერად ქვედალიგოსან "ნოიმარკტს" დაუპირისპირდა და 4:0 მოიგო. გიორგიმ მოედანზე 45 წუთი გაატარა.

დავით ცაბაძე



გიორგი შაშიაშვილი



ჰერბერტ ცანკერი

**გუშინწინ, 30 ივნისს, გამთენიისას, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები თბილისიდან ტრაბზონს გაემგზავრა. ჰერბერტ ცანკერის გუნდი შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ ამ გათამაშებაში მონაწილე 10 გუნდი სამ ჯგუფადაა დაყოფილი. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები თურქეთი და ალბანეთი არიან, ნახევარფინალში მხოლოდ პირველადგილოსანი გადის. ხვალ, 3 ივლისს, ჩვენი 17-წლამდელები მასპინძლებს დაუპირისპირდებიან, 5 ივლისს კი ალბანეთს ეთამაშებიან. თურქეთში გამგზავრების წინ, ჭაბუკთა ნაკრების თავკაც ჰერბერტ ცანკერს რამდენიმე კითხვით მივმართეთ. თარჯიმნობა მისმა ასისტენტმა ლევან ხომერიკმა გაგვიწია.**

17-წლამდელთა ნაკრები. ინტერვიუ ჰერბერტ ცანკერთან

# თურქეთში პირველობისთვის ვიბრძოლებთ!

- თბილისური შეკრებისას ორი ამხანაგური მატჩი გავმართეთ. ჯერ "მერანთან" 1:1 ვითამაშეთ, შემდეგ კი თენგიზ სულაქველიძის აკადემიის გუნდს 3:2 მოვუგეთ. ამ საკონტროლო მატჩებში ჩემთვის შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი გუნდის სათანადოდ მომზადება იყო. ვფიქრობ, ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენეთ.

იქამდე კიდევ ერთი შეკრება გვქონდა, სადაც ნაკრების კანდიდატები შევარჩიეთ. მანამდე შერჩეულ 8 მოთამაშეს ის 10 ფეხბურთელი დავუმატეთ, რომლებმაც 17-წლამდელთა ნაკრების რიგებში პორტუგალიასა და იტალიაში ტურნირებზე იასპარეზეს. ამჯერად იმაზე ვიყავით აქცენტირებული, რომ ამ 18 მოთამაშის შეთამაშება და ერთ გუნდად შერწყმა მომხდარიყო.

ჩვენ ახალი გუნდის შენების პროცესში ვართ და ამ პროცესს ეტაპობრივად მივყვებით. ასე რომ, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

**- თურქეთში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე მოგიწევთ ასპარეზობა. ჯგუფში ორი მეტოქე გვყავს - თურქეთი და ალბანეთი. მოწინააღმდეგე გუნდებზე რა ინფორმაციას ფლობთ და რა იქნება ჩვენი ნაკრების მიზანი?**

- ჯერჯერობით, მეტოქეებზე არაფერი ვიცით, მაგრამ ამაზე ტრაბზონში ჩასვლისთანავე დავიწყებთ მუშაობას. ჩვენი მიზანი ამ ტურნირის მოგებაა. გვინდა, რომ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბების პროცესში ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ. თურქეთის შემდეგ, აგვისტოს შუა რიცხვებიდან, პალანგის ტურნირზე ვიასპარეზებთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ შემოდგომაზე, შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ.

**- შარშან პალანგის ტურნირზე ფინალში რუსეთთან წავაგეთ. წელს თუ შევძლებთ ამ ტურნირის მოგებას?**

- წელს ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ.

**- თურქეთში წასაყვანად 18 ფეხბურთელი შეარჩიეთ. შეიძლება ითქვას, რომ ტრაბზონში საუკეთესო შემადგენლობით მიემგზავრებით?**

- კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში თბილისში ვემზადებოდით. ორი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ და ამ შეხვედრებში გამორჩეული მოთამაშეები შევკრიბეთ. მათ ახლაც და წინა შეკრებებზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და მჯერა, თავს არც თურქეთში შეირცხვენენ.

**- დაბოლოს, ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- ვფიქრობ, თურქეთთან რთული მატჩი გველის. ტურნირის მასპინძლები ყველანაირად შეეცდებიან ჯგუფიდან გასვლასა და ამ ტურნირის მოგებას. თუმცა ჩვენც პირველობისთვის ვიბრძოლებთ.

დავით ცაბაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ლეგიონერები

# მუჯირის გოლმა ვერ უშველათ

## გოგუა ოპერაციას იკეთებს

რუსეთის პირველობამ შუანელს უწია. ქართული ლეგიონის შვიდეულს ხანმოკლე შესვენება აქვს (14 ივლისამდე), თუმცა ერთ მათგანს, სამწუხაროდ, იძულებით კარგა ხანს მოუწევს დასვენება - გოგიტა გოგუა საოპერაციოა. გოლი არა, მაგრამ პირველი წრის ბოლო ტურში ქართველთა ანგარიშზე ერთი საგოლე პასია ნალჩიკელი ლევან გვაზავას შესრულებით. ინტერტოტოს თასზე გოლი შეაგდო ამირან მუჯირმა, თუმცა მისი "ბაქი" პენალტების სერიის "წყალობით," ევროტურნირს დაემშვიდობა.



ამისულაშვილი ლუჩთან მატჩში

### რუსეთი ეკვატორზე

რუსული "სატურნის" ქართველი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა მენისკის გამო, სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. უახლოეს დღეებში ის გერმანიაში გაემგზავრება, სადაც ოპერაციას გაუკეთებენ. ასე რომ, გოგიტას არ უთამაშია "ამკართან" 2:0 მოგებულ მატჩში.

მე-15 ტურში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი მოსკოვში გაიმართა, მოსკოვის "ლოკომოტივმა" სამარის "კრილია სოვეტოვს" უმასპინძლა. წარუმატებლობა რკინიგზელთა თავკაც **ანატოლი ბიშოვეცს** პოსტის დაკარგვად დაუჯდებოდა. მასპინძელთა რიგებში სასტარტოში იყო **მალხაზ ასათიანი**, სტუმართა შორის - **დავით მუჯირი**.

პირველი ტაიმი სტუმრებმა 2:0 მოიგეს, მეორეში კი "კრილიამ" ერთბაშად ხუთი გოლი გაუშვა. მეორე გოლი ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ასე გაიტანეს - მუჯირი შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, თუმცა მას ასათიანი დაეწია, ბურთი აართვა, მაგრამ ერთბაშად სამი მეტოქის გარემოცვაში მოხვედრილმა დაკარგა და ორი სტუმარი ფეხბურთელი მეკარესთან პირისპირ გავიდა, **მედვედევს** გოლის გატანა არ გასჭირვებია. "კრილიას" კაპიტანმა მათ პირველ გოლშიც მიიღო მონაწილეობა. მეორე ტაიმში მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი და მსაჯი იყო, რომელმაც საკმაოდ საეჭვო პენალტი დანიშნა სტუმართა კარში და სამარელთა ფეხბურთელიც გააძევა. 83-ე წუთზე მუჯირი **შევჩენკომ** შეცვალა. ცოტა ხანში უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო ასათიანმა.

მატჩის შემდეგ იგი ოპტიმისტურად იყო განწყობილი: *"0:2-ის შემდეგ ასეთი ლამაზი გამარჯვების მოპოვება, მით უფრო ძალიან კარგი გუნდის წინააღმდეგ, ძნელია. წინ კიდევ ერთი წრეა, ჩვენ კიდევ მოვუმატებთ. "ლოკომოტივი" ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძოდა და მჯერა, რომ ახლაც ასე იქნება".* სამარელთა ხელმძღვანელობამ მსაჯობა ოფიციალურად გაასაჩივრა.

ნალჩიკში "სპარტაკმა" 2:0 დაამარცხა "ლუჩი". სპარტაკელთა ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. პირველ ტაიმში **ლევან გვაზავა** გააფრთხილეს, მერეში კი შეცვალეს. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა. მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაც **კრასნოჟანს** ამისულაშვილის საკითხი ადარდება, თუ ქართველი დარჩენაზე არ დაგვთანხმდება, ახალი ცენტრალური მცველის მოძებნა მოგვიწევსო. მატჩში ანგარიში გვაზავას ჩაწოდების შემდეგ გაიხსნა, **ჯუდოვიჩმა** თავურით გაიტანა. მეორე ტაიმში ლევანმა საგოლე პასს კინაღამ გოლიც მიაყოლა, მაგრამ მისი დარტყმული **ჩეხმა** ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

"კრილია სოვეტოვმა" პირველი წრე 22 ქულით დაასრულა. სამარული კლუბი ბოლოსკენ ჩემპიონატის ლიდერიც იყო, მაგრამ გუნდმა ადგილი ვერ შეინარჩუნა. "ლოკომოტივმა" წრე 20 ქულით დაამთავრა, და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ლიდერებს დიდად არ ჩამორჩება, ასათიანის ოპტიმისტურ განაცხადს საფუძველი აქვს. **ნუკრი რევიშვილისა** და **ლაშა სალუქვაძის** "რუბინმა" 17 ქულა დააგროვა. "სატურნმა" 17 ქულით დაასრულა ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ნალჩიკის "სპარტაკს" 15 ქულა აქვს და გასავარდნ ზონაშია.

### მუჯირს ცოტა დააკლდა

გაიმართა ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრები. სკოპიეში "მაკედონიასთან" 0:2 დამარცხდა კვიპროსული "ახნასი" და ბრძოლას გამოეთიშა (შინ 1:0 ჰქონდა მოგებული). სტუმართა რიგებში კვლავ არ ყოფილა **ლევან ქებაძე**, რომელიც თავის გუნდს დაგვიანებით შეუერთდა სავიზო პრობლემების გამო.

ნამდვილი დრამა გათამაშდა კიშინიოვში, სადაც "დაჩია" აზერბაიჯანულ "ბაქის" მასპინძლობდა. **ლადო ახალაია** "დაჩიას" საევროთასო განაცხადში არ ირიცხება. პირველი მატჩი ბაქოში 1:1 დასრულდა, საპასუხო შეხვედრის წინ აზერბაიჯანელთა 10 ნომერი ამირან მუჯირი ამტკიცებდა, რომ "ბაქი" უკეთესი გუნდი იყო და შემდეგ წრეშიც ის გავიდოდა. მუჯირს სულ ცოტა დააკლდა მიზნამდე, მატჩის 71-ე წუთზე მან საფირმო ცაციათი გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი კიდევ ერთ დუელში გოლკიპერმა ბოლო წამს აჯობა. დამატებით დროში არაფერი შეცვლილა, პენალტები სტუმრებმა საშინლად ურტყეს, მათ სამი თერთმეტმეტრიანი ააცილეს (2:4). მუჯირმა შეუცვლელად ითამაშა, **ალეკო გოგობერიშვილი** კი ტრავმირებულია.

ლატვიური "დინაბურგი" ჩრდილოირლანდიურ "კლიფტონვილს" მასპინძლობდა (პირველი მატჩი 1:1). მოგეხსენებათ, "დინაბურგს" **თამაზ პერტია** წვრთნის. ლატვიელებმა 0:1 წააგეს და გავარდნენ.

### სუპერთასი ქართველებს

ლატვიაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. "სკონტო" არ თამაშობდა, ხოლო ჩემპიონი "ვენტსპილსი" "დაუგავას" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. **ზურაბ მენთეშაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, მან პირველი ტაიმის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო. "ვენტსპილსსა" და "სკონტოს" 25-25 ქულა აქვთ, თუმცა ლატვიის ჩემპიონს, რომელსაც წილისყრამ უელსის ჩემპიონი არგუნა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, მატჩით მეტი აქვს გამართული. ქართველთა გუნდები მესამე და მეოთხე ადგილებს იყოფენ.

ლიტვის ჩემპიონმა "კაუნასმა" თასის მფლობელი "სუდუვას" დამარცხება ვერ შეძლო - 1:1. არადა, ოთხშაბათს ამ გუნდების შეხვედრა "კაუნასის" გამარჯვებით, 1:0 დასრულდა, რის წყალობითაც ქართველთა გუნდი ლიტვის სუპერთასს დაეუფლა. "კაუნასი" ლიდერობას კი ინარჩუნებს, თუმცა მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს "ვილნიუსს", არადა მეტოქეზე ორი მატჩით მეტი აქვს გამართული. "სუდუვასთან" ჩემპიონატის მატჩში **გივი კვარაცხელიამ** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **ნუკრი მანჩხავა** მატჩის მიწურულს შეცვალეს.

### ხოჯავას ბალტიისპირული

რუსეთის პირველ დივიზიონში კვლავ გაიტანა გოლი **გოჩა ხოჯავამ**, "ანჟი" კალინინგრადს ესტუმრა და 2:1 მოიგო. "ბალტიკას" კარში ბურთი ხოჯავამ 71-ე წუთზე გაიტანა. ეს ქართველი ნახევარმცველის მეორე გოლია წლევანდელ სეზონში. **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის "დინამომ" სტუმრად 3:1 მოუგო "მაშჩუკს".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, XV ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-ამკარი | 2:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 10 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-დინამო | 2:1 | არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-დინამო | 2:1 | 90 წთ | 5 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | ლოკომოტ.-კრ.ა სოვეტოვი | 5:2 | 83 წთ (შეცვალეს) | 14 თ, 4 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-კრილია | 5:2 | 90 წუთი, გააფრთხილეს. | 3 თ, 0 გ. |
| ალექს. ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-ლუჩი | 2:0 | 90 წუთი | 15 თ, 1 გ. |
| ლევან გვაზავა | სპარტაკი ნ.-ლუჩი | 2:0 | 72 წთ. (შეცვალეს), გააფრ. საგ. პასი | 12 თ, 0 გ. |



მათე ღვინიანიძე

# მათემ გოლის იცის

ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა მეორე ბუნდესლიგის ბინადარი "მიუნხენ 1860". "ლომებმა" საკონტროლო მატჩების სერია ქვედალიგოსნებთან, სამოყვარულო გუნდებთან პაექრობით დიწყეს.

მიუნხენელებმა "ჰერგენსვაილერი" დიდი ანგარიშით, 17:0 დაამარცხეს. ეროვნული ნაკრების მცველი **მათე ღვინიანიძე** "ლომების"სასტარტო შემადგენლობაში იყო და თამაშიც ჩაამთავრა. ღვინიანიძე ცენტრალური მცველის ფუნქციას ასრულებდა და ასტრონომიულ ანგარიშში თავისი წვლილიც შეიტანა. მათემ 75-ე წუთზე 12-მდე გაზარდა ანგარიშის სხვაობა.

ღვინიანიძეზე ერთ სიახლესაც გამცნობთ. გასულ ზამთარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, იგი 2006 წლის "მთავარ ლომად" დაასახელეს. მიუნხენურმა კლუბმა ანალოგიური გამოკითხვა კიდევ ერთხელ ჩაატარა, ამჯერად გასული სეზონის გამორჩეულთა გამოსავლენად. "მიუნხენ 1860"-ის საუკეთესოდ ფორვარდი **ბერქანთ გიოქთანი** დაასახელეს, მათე ღვინიანიძე კი მე-5 ადგილზე აღმოჩნდა.

**დავით ცაბაძე**

# ჭილლაძეების გზა გაიყო

**დავით ჭილლაძე** ლიტვის "ვეტრაში" უნდა გადასულიყო, როგორც გახსოვთ, 22 წლის მარჯვენა მცველი მანამდე "სუდუვაში" გამოდიოდა. როგორც ჩანს, ურიგო სახელი არ მოუპოვებია, რადგან უფრო მდიდარ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი შეკრებაზე უნდა გაეფორმებინა. თუმცა, გაუთვალისწინებელი რამ შეემთხვა.

*"იანვარში შეკრება დაიწყო და გუნდს თურქულ შეკრებაზე გავყევი. ველოდებოდი პრეზიდენტის ჩამოსვლას, უკვე შეთანხმებული გვქონდა კონტრაქტის პირობები და ხელი უნდა მომეწერა. სამწუხაროდ, აღარ დამცალდა. 19 იანვარს საკონტროლო მატჩში მოსკოვის "სპარტაკს" ვხვდებოდით და ისე ძლიერად მომარტყეს, სერიოზული ტრავმა მივიღე, საზარდული დამეჭიმა. ექიმმაც თავისი როლი ითამაშა. ისეთი წამალი დამინიშნა, მკურნალობის ნაცვლად, სიცხემ ამიწია და იძულებული გავხდი, თბილისში ჩამოვსულიყავი.*

*კონტრაქტიც ვერ გავაფორმე და უგუნდოდაც დავრჩი, თუმცა ახლა ისევ ლიტვაში მივდივარ და გამორიცხული არაა, "ვეტრასთან" კონტრაქტი მაინც გავაფორმო. დამირეკეს და ჩასვლა მთხოვეს. მეორე ვარიანტია, წავიდე იმ გუნდში, სადაც ტარხანოვს დანიშნავენ. მას რუსულ კლუბში იწვევენ და მენეჯერი შემპირდა, კონტრაქტს გაგიფორმებო"*, - იმედიანადაა დათო.

მისი უფროსი ძმა ბესო "სუდუვას" შემდეგ ნახევარი წელიწადი უგუნდოდაა: "გუნდიდან იმიტომ წამოვედი, რომ სერგეი ბოროვსკის ბელარუსში უნდა გადავეყვანე. თუმცა, საბოლოოდ იმ გუნდში არ დაინიშნა და ორივენი მოტყუებულები დავრჩით. ახლახანს იგი მინსკის "დინამოს" კონსულტანტად დაინიშნა, მალე მთავარი მწვრთნელი გახდება და მითხრა, აუცილებლად მიგიწვევო. მაქვს მეორე ვარიანტიც - მამუკა ჯულელი ვილნიუსის "ჟალგირისში" ჩარიცხვას მპირდება. ზუსტი პასუხი ორ დღეში მეცოდინება", - ამბობს **ბესო ჭილლაძე**.

**მერაბ მამულაშვილი**

მილანი

# ბერლუსკონი: მასიმო, მოგვეცი ადრიანო!

## მილანის ბოსი პირობას შეასრულებს: შევჩენკო? მან იცის, რაც უნდა ქნას...

**სილვიო ბერლუსკონიმ** თავის ინტერელ კოლეგა **მასიმო მორატის** საჯარო წინადადებით მიმართა. "მილანის" ბოსი **ადრიანოს** დათმობას ითხოვს. ბერლუსკონის გულში აქვს ამოჭრილი რომელიმე სუპერვარსკვლავის ყიდვის სურვილი. მას არ დავიწყნია ის დაპირება, რაც ტიფოზების წინაშე ათენური ფინალის შემდეგ დადო: **ანდრეი შევჩენკო, სამეულ ეტოო, რონალდინიო, ტიერი ანრი**... ანრი ოცნებადვე დარჩა, და აი, ახალი იდეა უკვე ადრიანოა.

პრინციპში, სილვიომ უკვე შევჩენკოზეც ჩაიქნია ხელი. "ჩელსი" უკრაინელს ძალიან ძვირად აფასებს: 30 მილიონი გირვანქაო. თან შევასაც, მაინცა და მაინც, გული არ მიუწევს იტალიისკენ. ის იმედით ელოდება პრემიერლიგის ახალ სეზონს. მაგრამ თუ ახლაც ვერ ივარგა, ეს მისთვის მართლაც ბოლო ინგლისური თავგადასავალი იქნება.

*"შევჩენკო ჩემთვის პირველ ნომრად რჩება, მაგრამ აბრამოვიჩი ძალიან ბევრს ითხოვს. დარწმუნებული ვარ, დაბრუნების შემთხვევაში, ანდრეის ჩვენთან არანაირი პრობლემა არ ექნებოდა. წარმომიდგენია, რა ტანდემს შექმნიდა რონალდოსთან ერთად,"* - თითებს იკვნეტს ბერლუსკონი. სხვათა შორის, გუშინ მან ინტერვიუ მისცა "ილ ჯორნალეს", რომელშიც ფრიად საგულისხმო რამ თქვა: *"ველაპარაკე შევჩენკოს და მჯერა, საქმე კარგად იქნება. მან იცის, რაც უნდა გააკეთოს"*. შემდეგ განმარტებულია, რომ ბერლუსკონი მოუწოდებს შევას, "ჩელსის" ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვოს.

პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ტიფოზებს სიმშვიდისკენ. ის იმაშიც დარწმუნებულია, რომ პირობას შეასრულებს: *"ქომაგებს ვთხოვ, მოდუნდნენ და ზაფხულში კარგად დაისვენონ. ჩვენ დიდ ფეხბურთელს ვიყიდით, მაგრამ ეს უცბად ვერ მოხდება, მოთმინებაა საჭირო. "კალიარიმ" დავიდ სუასო შემოგვთავაზა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მას "ინტერთან" ჰქონია კონტრაქტი გაფორმებული და ფეხბურთელზე დიდსულოვნად, ყოველგვარი გართულების გარეშე ვთქვით უარი"*.

"როსონერის" შეფმა **დავიდ სუასო** ტყუილად ახსენა. ეტყობა, მას სწორედ იმის იმედი აქვს, რომ **მორატის**, რომელსაც ჰონდურასელი ფორვარდი "დიდსულოვნად" დაუთმო, გული აუჩუყდება და ადრიანოს "მილანელოს" კარებამდე პირადად მიაცილებს. მაგრამ აქ მხოლოდ "ინტერის" ბოსის კეთილ ნებაშიც არ არის საქმე. შეიძლება, ვიფიქროთ, რომ სუასოს ყიდვა ადრიანოსთვის წყლის შეყენებას ნიშნავს. უდისციპლინობით განთქმული ფორვარდი, რომელიც ბოლოს კიდევ ერთ შარში გაეხვა, შესაძლოა, ტრანსფერზე დადგეს. **რობერტო მანჩინის** ბრაზილიელის თავქარიანობა ყელში ამოუვიდა. საინტერესოა მორატის კომენტარიც იმასთან დაკავშირებით, რომ "ინტერში" ძალიან ბევრმა ფორვარდმა მოიყარა თავი. გენიშნათ? მაგრამ საკითხავია, რაში სჭირდება ბერლუსკონის უდისციპლინო ადრიანო? მარტო სახელისთვის? და იმისთვის, რომ ტიფოზების წინაშე თავი ვალმოხდილად გაასალოს? პრეზიდენტი განმარტავს:

*"ადრიანო ყოველთვის მომწონდა. მას "მილანში" არ გაუჭირდება, რადგან აქ არიან მისი თანამემამულეები, რომლებიც ჩვენს კლუბში ადაპტაციას გაუადვილებენ. ჩვენ მზად ვართ, ადრიანოს მივცეთ თავის გამოჩენის შანსი, როგორც ეს რონალდოს შემთხვევაში გავაკეთეთ. სიმართლე გითხრათ, ის, რაც ბოლო პერიოდში ჩვენსა და "ინტერს" შორის მოხდა, მაინცა და მაინც არ მაძლევს მყარ საფუძველს, რომ გარიგება შედგება... სხვათა შორის, მორატის დავურეკე და შევთავაზე, ჩავატაროთ "მილანი"-"ინტერის" მატჩი და ერთად აღვნიშნოთ ამ გაზაფხულის ორივე ტრიუმფი: სკუდეტო და ჩემპიონთა ლიგა. ჯერჯერობით, თავისუფალი დღე ვერ გამოვძებნეთ. ერთი სიტყვით, თუ "ინტერისა" და ფეხბურთელის ნება იქნება, მოლაპარაკებების დაწყებას წინ აღარაფერი უდგას"*.

მერე ბერლუსკონიმ თავი დაიზღვია და კიდევ ერთხელ შეაპარა ფანებს, რომ "მილანს" უკვე ჰყავს დიდი მოთამაშე... რონალდო, რომელსაც მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაშიც დაიხმარენ. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, ბერლუსკონისთვის სუპერვარსკვლავი იყოს **ემერსონიც**, რომელიც "რეალიდან" მიდის. თუ ადრეულ ინფორმაციებს დავეყრდნობით და ახლანდელსაც გადავავლებთ თვალს, აღმოჩნდება, რომ "ემოს" "მილანამდე" ერთი ნაბიჯი აშორებს.

...მაგრამ ადრიანო არ არის ერთადერთი, ვისზეც მილანურ გრანდებს საუბარი ან დავა მოუწევთ. "სან სიროს" მკვიდრნი "ახალ კაკად" წოდებულ **ალეშანდრე პატოზეც** ნადირობენ. პატო 17 წლის ვუნდერკინდია. ის "პორტუ ალეგრეს" ღირსებას იცავს. ყმაწვილის აგენტი **ჟილმარ ველოზუ** ამ დღეებში მილანს ესტუმრება და ორივე კლუბის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს გამართავს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, "ინტერი" პატოში 25 მილიონ ევროს იხდის. რა სიგიჟეა?!



ადრიანო

მოსალოდნელი ტრანსფერები

# მონტელა სამპდორიაში ბრუნდება?

**ვინჩენცო მონტელას** "ფულჰემში" არენდის ვადა ამოეწურა და "რომაში" დაბრუნდა. ამავე გვერდის ერთ-ერთ მასალაში წაიკითხავდით, რომ "ჯალოროსის" მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** მომავალი სეზონისთვის მონტელაზე გარკვეულ იმედებს ამყარებს. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ფორვარდის ინგლისში გადაბარგებას სწორედ სპალეტის მხრიდან იგნორირებამ შეუწყო ხელი. მონტელას მომავალი იმაზე იქნება დამოკიდებული, იყიდის თუ არა "რომა" ახალ ფორვარდს. და თუ იყიდის, "აეროპლანინო" სხვა გუნდში გადავაო, ვკითხულობთ სხვადასხვა იტალიურ ვებგვერდზე. ეს "სხვა გუნდი" კი მისთვის მშობლიური "სამპდორია" შეიძლება იყოს. 1996/97 წლების სეზონში, "სამპის" მაშინდელი თავდამსხმელი მონტელა 22 გოლით სერია A-ს მთავარი სნაიპერი გახდა. ამის შემდეგ ის გადავიდა "რომაში", სადაც რამდენიმე შთამბეჭდავი სეზონი გაატარა.

"რომასი" არ იყოს, ფორვარდს "სამპდორიაც" ეძებს. მას შემდეგ, რაც გენუელებმა სხვადასხვა მიზეზით **ფაბიო კვალიარელა, ფრანჩესკო ფლაკი** და **ფაბიო ბაძანი** დაკარგეს, "დორიის" მწვრთნელ **ვალტერ მაძარისთვის** მონტელას გადაბირება, შეიძლება, პრიორიტეტულ ამოცანადაც იქცეს.



ფაბიო გროსო

რომა

# გავყიდეთ კივუ, რათა გავაძლიეროთ თავდასხმა

## რუმინელი მცველი დღეს ინტერის კაცი გახდებაო, მორატიმ ბარსელონა და რეალი მშრალზე დატოვა



ლუჩანო სპალეტი

შაბათს "ბარსელონამ" ოფიციალურად განაცხადა, რომ **კრისტიან კივუს** ყიდვას აღარ აპირებს. ამით, კატალონიელებმა "ინტერი" და "რეალი" ერთმანეთის პირისპირ დატოვეს. არადა, "ბარსა" ძალიან ახლოს იყო მიზანთან. პარასკევ საღამოს კივუ "კამპ ნოუს" ახალმოსახლედ უნდა გამოეცხადებინათ. "რომას" სპორტული დირექტორი **დანიელე პრადე** ბარსელონური მოლაპარაკებებიდან ფრიად კმაყოფილი დაბრუნდა და სიტუაცია ლაკონურად შეაფასა: *"საქმე წინ მიდის. კატალონიელთა წინადადება ძალიან საინტერესოა"*.

"საინტერესო" კი ის იყო, რომ "ბარსამ" რომაულ მხარეს 7 მილიონ გირვანქას და **ლუდოვიკ ჟიულის** შესთავაზა, ან პირდაპირ 10 მილიონ გირვანქას, თუ "ჯალოროსი" ფრანგ გარემარბზე უარს იტყოდა. ამასობაში, **მასიმო მორატი** კიდევ ერთხელ დაფიქრდა. ის არც ფეხბურთელთან და მის აგენტთან შეხვედრას მოერიდა, მერე კი "რომას" მაგიდაზე 11-მილიონიანი წინადადება დაუდო. "ბარსა" დანებდა. თუმცა, იმავე დღეს, "ბლაუგრანამ" იყიდა ფრანგი მარცხენა მცველი **ერიკ აბიდალი**, რომელშიც ზუსტად იმდენი გადაიხადა, რამდენსაც კივუში იმეტებდა.

ასე რომ, პარასკევს "ინტერი" უკვე ფავორიტი იყო. ამასთან, მორატის ახალი და სათადარიგო წინადადებაც ჰქონდა: 10 მილიონი გირვანქა პლუს "კიევოს" ყოფილი ფორვარდის, ნიგერიელ **ვიქტორ ობინას** არენდა.

პარასკევსვე, ესპანური არხებით გავრცელებული ინფორმაციით, 11 მილიონი გირვანქა "რომას" "რეალმაც" შესთავაზა. გასულ ზაფხულს, კივუს ყიდვა **ფაბიო კაპელომ** მოითხოვა. გავიხსენოთ, რომ 2003 წელს, როცა ის "რომას" მწვრთნელი გახლდათ, კივუმ "აიაქსიდან" რომს სწორედ მისი ინიციატივით მიაშურა. "მაესტრო" მადრიდში რომ დარჩენილიყო, **რამონ კალდერონს** ამ ტრანსფერის გაჩარხვას, ალბათ, კიდევ ერთხელ სთხოვდა. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ კივუს შეძენის საკითხი კაპელოს მემკვიდრე **ბერნდ შუსტერსაც** დაუსვამს. თუმცა მორატიმ ამ შემთხვევაშიც იმარჯვა და "აუქციონს" წერტილი დაუსვა: 12 მილიონი გირვანქა და კივუ "ინტერში"... ან თითქმის "ინტერში". "გაძეტა დელლო სპორტის" ცნობით, გარიგების თაობაზე მხარეები ორშაბათს გამოაცხადებენ...

■ ■ ■

**ლუჩანო სპალეტი** კივუს წასვლას ადრევე შეეგუა. ფაქტობრივად, "რომას" შანსი აღარ დაუტოვეს. თავად ფეხბურთელსაც სურვილი ჰქონდა, რომ ისეთ კლუბში გადასულიყო, რომელსაც სკუდეტოს მეტი შანსი ექნებოდა. ჯერჯერობით, "რომა" "ინტერთან" და "მილანთან" კონკურირებას ვერ ახერხებს. ამიტომ, სხვა გზა არ იყო. "ილ რომანისტასთან" ინტერვიუში სპალეტი ამბობს:

*"კარგად მესმის კივუსი. მის ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა. კრისტიანის არჩევანი მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის, ასაკით, მოტივაციით. მას ისეთი შთამბეჭდავი კონტრაქტი შესთავაზეს, უარს ვერ იტყოდა. როცა ჩვენ ვისაუბრეთ, ის ბრწყინვალე ფორმაში იყო"*.

გარკვეულწილად, სპალეტის კივუს შემცვლელი უკვე ჰყავს. ეს არის ბრაზილიელი მცველი **ჟუანი**, რომელიც "ლევერკუზენისგან" 6.5 მილიონ გირვანქად იყიდეს. ახლა მთავარი თავდასხმაა, რომელიც რუმინელის გაყიდვისგან მიღებული ფულით უნდა გაძლიერდეს. აქ რამდენიმე ვარიანტია: იგივე **ვიქტორ ობინა**, ასევე ინტერელი **ხულიო კრუსი** და **ლუდოვიკ ჟიული**. გავითვალისწინოთ, რომ "ფულჰემიდან" ბრუნდება **ვინჩენცო მონტელა**:

*"სიმართლე გითხრათ, სამივეს ავიყვანდი: ობინასაც, კრუსსაც და ჟიულისაც. ჩვენ უკვე გვყავს ვუჩინიჩი, ამას გარდა, ინგლისში არენდა უმთავრდება მონტელას. თუ ჩვენ მოვძებნით ამათზე უკეთესს, რა თქმა უნდა, ამას მივესალმებოდი. ჩვენ გვჭირდება გამოკვეთილი, ფართო დიაპაზონის მქონე ფორვარდი"*.

გავიხსენოთ, რომ "ჯალოროსის" სახელს უკავშირებენ "კალიარის" გარემარბ **მაურო ესპოზიტოს**, რომლის ტრანსფერი თითქოს მოგვარებული იყო, მაგრამ დროებით შეჩერდა, და ასევე **ანტონიო დი ნატალეს** "უდინეზედან". ამას გარდა, სპალეტის შეიძლება დასჭირდეს ალტერნატივების მოძებნა **ამანტინო მანსინისა** და **როდრიგო ტადეისთვის**. ისევ "რომას" მწვრთნელს მოვუსმინოთ:

*"ნათელია, რომ აუცილებელია ფრანჩესკო ტავანოსა და კრისტიან ვილჰელმსონის შეცვლა. ვადასტურებ, რომ ძალიან მომწონს კალიარელი მაურო ესპოზიტო. არაფერს ვიტყვი ფაბიო კვალიარელას მონაცემებზე, რადგან მერე "უდინეზეს" გენერალური დირექტორი პიეტრო ლეონარდი გამოვა რადიოთი და ჩივილს დაიწყებს"*.

ამ **პიეტრო ლეონარდის** რაც შეეხება, სპალეტი იხსენებს ფრიულელი ჩინოსნის მკაცრ რეაქციის იმ მომენტში, როცა "რომამ" დი ნატალესა და ფაბიო **კვალიარელასთან** მოლაპარაკებები წამოიწყო. ბოლოს, სპალეტი ინტერვიუს დაცვაზე საუბრით ამთავრებს:

*"თუ კივუს წასვლის შემდეგ კიდევ ერთ მცველს დავიმატებთ, ეს არ იქნება სუპერვარსკვლავი. ჩვენ უფრო პერსპექტიულ და ნიჭიერ მოთამაშეზე გავაკეთებთ აქცენტს. ამ მომენტისთვის დაცვაში სამი გამოცდილი მოთამაშე გვყავს ჟუანის, მექსესა და ფერარის სახით"*.

"ილ რომანისტას" ცნობით, "რომა" კიდევ ერთი ბრაზილიელი მცველით დაინტერესებულა. "ჯალოროსის" "რეალისთვის" სისინიოს ყიდვის წინადადებით მიუმართავს. სისინიოს მადრიდელი "რეალი" ჯერად ბუნდოვანია. "რომა" მზად არის, კიდევ ერთხელ სცადოს ის ფეხბურთელის გადაბირება, რომელიც შარშან სამჯერ ლეკებში ცხვირწინ აიცალა. სისინიოს 27 წლისაა. მას იტალიური პასპორტი აქვს და ცხადია, ესეც დამატებითი უპირატესობაა...

# ლიონი და გროსო?

"ლიონმა" 2006 წლის მუნდიალის ერთ-ერთ გმირს **ფაბიო გროსოს** სერიოზული კონტრაქტი შესთავაზა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მან "ინტერს" მიაშურა, სადაც ტრავმების გამო მხოლოდ 23 მატჩში მიიღო მონაწილეობა. როგორც "გაძეტა დელლო სპორტი" წერს, საფრანგეთის ჩემპიონმა "ნერაძურის" მარცხენა მცველს, 4-წლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ, სეზონურად 1.7 მილიონი გირვანქა აღუთქვა, რაც მთელი 700 ათასით მეტია იმაზე, რასაც "ინტერში" იღებს. რაც შეეხება მთლიანად ტრანსფერის საფასურს, საუბარია 3.7 მილიონ გირვანქაზე. სხვათა შორის, ეს ის თანხაა, რაც მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ "პალერმოს" თავად "ინტერმა" გადაუხადა. **მასიმო მორატი**, შეიძლება, უმტკივნეულოდ შეეგუოს დანაკლისს, რაკი "ინტერი" დღეს-ხვალ **კრისტიან კივუს** გაიფორმებს. 29 წლის გროსომ კარიერა სერია C2-ის "კიეტიში" დაიწყო. "პალერმოში" 2004 წელს ჩაირიცხა, როცა სიცილიელთა გუნდი სერია B-ში ასპარეზობდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა ამერიკა 2007. ჯგუფური ტურნირი

# ვენესუელა ისტორიას ქმნის

## ურუგვაი მეოთხედფინალს მიუახლოვდა...

**ვენესუელა-პერუ 2:0**

**ვენესუელა:** ვეგა, ექტორ გონსალესი, ხოსე მანუელ რეი, სიჩერო, როუგა (38. ედერ პერესი), ვერა, ვიტალი, პაესი, არანგო (74. სესარ გონსალესი), მალდონადო, დე ომელასი (64. არისმენდი).

**პერუ:** ბუტრონი, ვილჩესი, ვილიალატა (53. მარინო), ალბერტო როდრიგესი, გალიკიო (76. მენდოსა), აკასიატე, ბარსალარი, პედრო გარსია, ფარფანი, გერერო, პისარო (67. სუნიიგა).

**გოლები:** 1:0 სიჩერო (49), 2:0 არისმენდი (79).

**ურუგვაი-ბოლივია 1:0**

**ურუგვაი:** კარინი, დიოგო (56. იგნასიო გონსალესი), ლუგანო, სკოტი, დარიო როდრიგესი, პერეირა, დიეგო პერესი, პაბლო გარსია, კრისტიან როდრიგესი (90. ვალტერ გარხანო), ფორლანი (82. ესტაიანოფი), ვისენტე სანჩესი.

**ბოლივია:** გალარსა, ოიოსი, რალდესი, ხუან მანუელ პენია, ალვარესი, რეიესი (71. დარვინ პენია), რონალდ გარსია (29. ლიმა), მოხიკა, ბაკა (62. კაბრერა), ხუან კარლოს არსე, ხაიმე მორენო.

**გოლი:** 1:0 ვისენტე სანჩესი (59).

პერუს ნაკრების დამარცხებით მასპინძელ ვენესუელას მეოთხედფინალში გასვლის ფანტასტიკური შანსი მიეცა. ბუნებრივია, მატჩზე სრული ანშლაგი შედგა. ვენესუელელმა გულშემატკივრებმა ტრიბუნები მთლიანად შეავსეს. ინჩასების მხარდაჭერით გამხნევებულმა ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და საკმაოდ რთულ პაექრობაში უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ვენესუელის ეროვნულმა გუნდმა კოპა ამერიკაზე არსებობის განმავლობაში მხოლოდ მეორე გამარჯვება იზეიმა. ეს ის შემთხვევა იყო, როცა ქომაგებმა მართლაც მე-12 ფეხბურთელის ფუნქცია შეასრულეს. ისტორიისა და სტატისტიკის მოყვარულებს შოვახსენებთ, რომ ვენესუელელთა ბოლო გამარჯვება 1967 წლით თარიღდებოდა. მაშინდელ კოპა ამერიკაზე მათ ბოლივიას სძლიეს.

მასპინძლებმა თამაშის მსვლელობისას უამრავი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ პერუმ ეს შანსი ვერ გამოიყენა. პირველ ტაიმში გუნდებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმცა ფორვარდები დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-15 წუთიდან მასპინძლებმა სერიოზული უპირატესობა მოიპოვეს. **პედრო გარსია** მსაჯმა **მალდონადოს** წინააღმდეგ ჩადენილი უხეშობისათვის დასაჯა და წითელი ბარათი აუფრიალა. წესით, ვენესუელას 10 კაცით დარჩენილი მეტოქის იოლად დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ისინი ხშირად ცდებოდნენ. არადა, **ხოსე მანუელ რეის** ფანტასტიკური შესაძლებლობა ქონდა იმისთვის, რომ ანგარიში პირველივე ტაიმში გაეხსნა. მის მიერ დარტყმული ბურთი სანტიმეტრებით ასცდა მიზანს. რეის რამდენიმე წამში კიდევ მიეცა შანსი, მაგრამ მას უკვე მეკარე **ბუტრონმა** აჯობა. სხვათა შორის, მალდონადომ გოლიც კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო კარის აღება არ დააფიქსირა. პერუელთა სახიფათო კონტრშეტევებს მასპინძლებმა მწვავე მომენტებით უპასუხეს. **ხუან არანგომ ფერნანდო დე ომელასი** ოსტატური პასით ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ თავურმა დარტყმამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ომელასმა კარის დალაშქვრის შესაძლებლობა ორიოდ წუთში კიდევ ერთხელ ვერ გამოიყენა.

შესვენების შემდეგ **რიჩარდ პაესის** შეგირდები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. მათს მონდომებას შესანიშნავი შედეგი მოჰყვა. 49-ე წუთზე **ალეხანდრო კიჩერომ** ულამაზესი თავური გოლი მიითვალა. ლეაო ბუტრონი ამ დარტყმის წინაშე აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა. მოგვიანებით, სენიორ პაესმა პირველ ტაიმში არაერთგზის ხელმოცარული ფერნანდო დე ომელასის ნაცვლად **დანიელ არისმენდი** ჩართო თამაშში. მან მატჩი აშკარად გამოაცოცხლა. არისმენდი ენერგიულად და სწრაფად მოქმედებდა. მინდორზე შესვლიდან 15 წუთის შემდეგ კი მან გოლიც გაიტანა. ნათელი გახდა, რომ პერუს ეროვნული გუნდი მასპინძლებს ვეღარ გადაურჩებოდა. მართალია, 2 წუთით ადრე მექსიკელმა **ბენიტო არჩუნდიამ** მთავარი მწვრთნელის ვაჟი **რიკარდო პაესი** გასახდელისკენ მიმავალ გზას ნაადრევად გაუყენა და ამით მოედანზე რიცხობრივი თანაფარდობა აღადგინა, მაგრამ სტუმრებმა ამით ვერანაირი ხეირი ვერ ნახეს. პირიქით, პერუელებმა არისმენდის საგოლე იერიშისას თითქმის წინააღმდეგობა არ გაუწიეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების წინაშე თავდაპირველად რიჩარდ პაესი წარდგა. აი, რა განაცხადა ვენესუელის მთავარმა მწვრთნელმა: *"რთული თამაში მოვიგეთ. მართალია, 2-0 დამაჯერებელი ანგარიშია, მაგრამ გოლების გატანა საკმაოდ გაგვიჭირდა. პერუ ღირსეულად ასპარეზობდა. დაცვაში ისინი უმეტეს შემთხვევაში საიმედოდ მოქმედებდნენ. ანგარიშის გახსნიდან რამდენიმე წამში კი გერერომ საოცარი მომენტი ვერ გამოიყენა, როცა მის შეტევას ვუყურებდი, შიშისგან ფეხები ამიკანკალდა, ვიფიქრე, აი, ახლა დაგვსჯის-მეთქი. საბედნიეროდ, მან თავი ვერ გამოიჩინა. ის გოლი რომ გასულიყო, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. ჩემი ბიჭების თავგანწირვითა და შემართებით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, ჯგუფიდან გასვლის ფანტასტიკურ შანსს ვფლობთ. ალბათ, სასწაული უნდა მოხდეს, რომ მეოთხედფინალში ვერ გავიდეთ. მიმომხილველები ერთად აღნიშნავენ, რომ ვენესუელის ეროვნული გუნდი ასეთი სოლიდური და ძლიერი არასოდეს ყოფილა. მოკლედ, ბიჭებს დიდ მადლობას მოვახსენებ და იმედს ვიტოვებ, რომ დარჩენილ შეხვედრებშიც მაქსიმუმს გაიღებენ."*

**ხულიო სესარ ულიბე**, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეგირდები ტურნირის მასპინძლებს ეთამაშებოდნენ, წაგებას ვერაფრით წარმოიდგენდა: *"დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდით. ყველაზე ცუდ შემთხვევაში ყაიმის შესაძლებლობას განვიხილავდი. ვენესუელა კოპა ამერიკას საკუთარ ქვეყანაში ატარებს. ეს, რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობაა, თუმცა, მიმაჩნია, რომ ჩემი გუნდი რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა. სამწუხაროდ, ფატალურად არ გაგვიმართლა. თითქმის მთელი ის შეხვედრა კაცნაკლულებმა ჩავატარეთ. მსაჯს შეეძლო წითელი ბარათი არ აეფრიალებინა. მისი გადაწყვეტილების გამო ტაქტიკა აგვერია და ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. დღევანდელ სიტუაციაში სამი ქულის დაკარგვამ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსები გაგვიუარესა. თუმცა ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე ვიბრძოლებთ. იმედია, მეოთხედფინალში გავაღწევთ."*

კოპა ამერიკის დაწყებამდე ურუგვაი ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნეოდა. "სელესტეს" რეალურ საჩემპიონო ამბიციაზე კატეგორიული ტონით არ საუბრობდნენ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ გუნდისგან გაცილებით უფრო შთამბეჭდავ და ლამაზ ფეხბურთს ელოდნენ. პირველ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ურუგვაის აგრესიულად უნდა ეთამაშა, მაგრამ გულშემატკივრებმა მსგავსი ვერაფერი იხილეს. როგორც ჩანს, ხანგრძლივმა და მომქანცველმა საკლუბო სეზონმა ეროვნული გუნდის ფეხბურთელებს დაღი დაასვა. ურუგვაელები აშკარად გადაღლილები ჩანდნენ. ეს, პირველ ყოვლისა, მათ საუკეთესო ფეხბურთელზე ითქმის. **დიეგო ფორლანს** ღირებული პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მექსიკური "ტოლუკას" ფორვარდმა **ვისენტე სანჩესმა** 59-ე წუთზე გაიტანა. იმ ეპიზოდში მან ბოლივიელი მცველების უხეში შეცდომით ისარგებლა. აღსანიშნავია, რომ **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** გუნდი მსაჯის არაპროფესიულმა მუშაობამ სერიოზულად დააზარალა. ბოლივიის ნაკრების კარში ორი აშკარა პენალტი არ დაინიშნა.

შეხვედრის დასკვნით ნაწილში "სელესტემ" ინიციატივა პირწმინდად დათმო. ბოლივიას თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მიეცა. ნახევარმცველები და ფორვარდები მოწინააღმდეგის საჯარიმოში უპრობლემოდ შედიოდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ. ორ ეპიზოდში კი ისინი უიღბლობის გამო დაისაჯნენ. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გამარჯვება ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა. ურუგვაელებმა მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი შეინარჩუნეს. აი, ბოლივიას კი სასწაული თუ უშველის. ისინი საკუთარ თავზე დამოკიდებულები აღარ არიან.

არადამაჯერებელი თამაშის მიუხედავად, სენიორ ტაბარესი მაინც კმაყოფილი დარჩა: *"გამოგიტყდებით, ბევრი ვინერვიულე. დღევანდელ დაპირისპირებაში ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვქონდა. თუ არ მოვიგებდით, მომდევნი ეტაპზე ასპარეზობა უნდა დაგვევიწყა. ბუნებრივია, ისეთი ამბიციური და ძლიერი კოლექტივისთვის, როგორიც ურუგვაია, ასეთი რამ სრულიად მიუღებელია. მრავალი ხარვეზი აღმოვაჩინე. უარყოფით მხარეებს გულშემატკივრები და სპეციალისტებიც კარგად დაინახავდნენ. წარმოდგენა არ მაქვს, პრესა როგორ შეგვაფასებს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და ინჩასებს ვთხოვ, მკაცრად ნუ განგვსჯიან. ახლა თანადგომა გვჭირდება, საქმეები კი კოპა ამერიკის შემდეგ გავარჩიოთ. დასამალი არ არის, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი არაქათგამოცლილია. ბიჭები ძალიან დაიღალნენ. მიუხედავად ყველაფრისა, მათ პატრიოტური ვალდებულებების შესრულებისთვის თავი არ აურიდებიათ. შეკრებაზე ყველა დროულად გამოცხადდა და თავდაუზოგავი ვარჯიში დაიწყო. არადა, ხანგრძლივი საკლუბო სეზონის შემდეგი ბურთის დანახვა ბევრს გულისრევის შეგრძნებას უჩენს. შევეცდებით, დასკვნით ჯგუფურ ორთაბრძოლაში უფრო დამაჯერებლად ვითამაშოთ. კმაყოფილი და ბედნიერი გახლავართ, რომ ამ კოპა ამერიკაზე პირველი სამი ქულა მოვიპოვეთ. მჯერა, ფლეიოფში გავალთ და ჩვენი ქვეყნის სახელს ღირსეულად დავიცავთ."*

ნირწამხდარმა და სასოწარკვეთილმა **ედვინ სანჩესმა** შეხვედრა ასე შეაფასა: *"ჩემი აზრით, უსამართლოდ დავისაჯეთ. რომ არა, ფატალური უიღბლობა, ერთ გოლს მაინც გავიტანდით. ურუგვაის გამარჯვებამ ჯგუფიდან გასვლის პრაქტიკული შანსი მოგვისპო. გულნატკენ ქომაგებს ბოდიშს მოვახსენებ. უნდა გვერწმუნოთ, რომ თავი არც ერთ ფეხბურთელსა და მწვრთნელს არ დაუზოგავს. ბოლომდე ვიბრძოლებთ და მოვლენათა განვითარებას დაველოდებით."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენესუელა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| პერუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| ბოლივია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**წუხელ**

**ბრაზილია-ჩილე 3:0**

**გოლები:** 1:0 რობინიო (36-პენ), 2:0 რობინიო (84), 3:0 რობინიო (87)

**მექსიკა-ეკვადორი** გვიან დასრულდა




ვენესუელა-პერუ. სიჩეროს გოლი სტუმართა კარში

### ჰერენვეენიდან ლოკომოტივში

ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **აფონსო ალვეში** მოსკოვის "ლოკომოტივში" გადადის. "ჰერენვეენმა" 26 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 18 მილიონი დოლარი მოითხოვა. რკინიგზელებმა თანხა ულაპარაკოდ გაამზადეს. ალვეში მოსკოველებთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს, წლიურად კი 3 მილიონ დოლარს გადაუხდიან. ფეხბურთელს გერმანიის ვიცე-ჩემპიონი "ვერდერი" ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ხელფასის გამო "ლოკომოტივი" აირჩია. გასული სეზონის შემდეგ, ალვეშს "ვერცხლის ბუცი" გადაეცა. მასზე უკეთესი ბომბარდირული თვისებები რომაელმა **ფრანჩესკო ტოტიმ** გამოავლინა, რომელსაც სერია A-ს რეიტინგი შეეშველა.

### სვენი იაკუბუსა და ანელკას შეიძენს?

ამ კვირაში სვენ გორან ერიქსონი "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი გახდება. მისი უპირველესი სამიზნეები "პორტსმუთისა" და "ბოლტონის" თავდამსხმელები - **იაკუბუ აიეგბენი** და **ნიკოლა ანელკა** იქნებიან. ახალი ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელს შემადგენლობის გასაძლიერებლად 50 მილიონ გირვანქას გამოუყოფს. სპეკულაციების თანახმად, "სიტი" იაკუბუში 8 მილიონს გადაიხდის. დაახლოებით ამდენივე ეღირება ანელკაც. შეგახსენებთ, ამ უკანასკნელს "სიტიში" სამი სეზონი აქვს გატარებული (2002-05), რის შემდეგაც ის თურქულ "ფენერბაჰჩეში" გადავიდა. ცნობისთვის, ერთი წლის შემდეგ ანელკას სანაცვლოდ "ბოლტონმა" "ფენერსაც" 8 მილიონი მიუთვალა.

### როი კინის ახალი ტრანსფერები

"სანდერლენდის" თავკაცი **როი კინი** ტრანსფერებზე მუშაობას განაგრძობს. მან "ვესტ ბრომვიჩს" 5 მილიონი გირვანქა შესთავაზა ორი ფეხბურთელის, **პოლ მაკშეინისა** და **პოლ რობინსონის** სანაცვლოდ. მაკშეინი "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდული გუნდის ყოფილი თავდამსხმელია. ის ირლანდიის ნაკრების კანდიდატად ითვლება. ამ მოთამაშეთა გარდა, კვლავ დღის წესრიგშია "პრესტონისა" და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდის **დევიდ ნაჯენტის** ტრანსფერი. "სანდერლენდი" ქვედადივიზიონურ კლუბს 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

მანჩესტერ იუნაიტედი

# რუნი, მენიუს ახალი ათიანი

## სად არის სილვესტრი?

"მანჩესტერ იუნაიტედმა" 10-ნომრიანი მაისურა **უეინ რუნის** გადასცა. ბოლოს ეს ნომერი **რუუდ ვან ნისტელროის** ჰქონდა. "ეშმაკების" ყველაზე სახელგანთქმული ათიანი კი **დენის ლო** იყო, რომელიც ათეულობით წლის განმავლობაში ევროტურნირებზე "იუნაიტედის" საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს ატარებდა. მან მანჩესტერელთა შემადგენლობაში ჩატარებულ 309 მატჩში 171 გოლი გაიტანა. ლოს ევროპული მიღწევა ვან ნისტელროიმ დაამხო და საბოლოოდ, "მენიუს" 150 მატჩში გატანილი 95 გოლით გამოეთხოვა. ერთი წლის წინ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა მადრიდის "რეალს" მიაშურა. და აი, მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, 10-იანს ახალი მფლობელი ჰყავს. რუნის აქტივში ჯერჯერობით 100 მატჩი და 41 გოლია. უეინი უზომოდ გახარებული იყო: *"ამ მაისურით დიდ ფეხბურთელებს უთამაშიათ. მათი ნომრით თამაში უდიდესი პატივია."* სერ ალექს ფერგიუსონი: *"დიახ, 10 ნომერი მხოლოდ გამორჩეულ მოთამაშეებს სცმიათ. ჩემი აზრით, უეინი ერთი მათგანია."*

ისე, 10-ნომრიანმა მაისურამ უეინს ერთი პრობლემა შეუქმნა. მისი უძვირფასესი "ასტონ მარტინის" ნომერია WAZ 8. 8-იანი, რა თქმა უნდა, მაისურის ნომერთან ასოცირდებოდა. ახალ სეზონში მერვე ნომრით **ოუენ ჰარგრივსი** ითამაშებს (მან კონტრაქტს ამ უქმეებზე მოაწერა ხელი), **ნანი** 17 ნომერი იქნება, ხოლო **ანდერსონი**, რომელმაც ეს-ესაა, ბრიტანეთის სამუშაო ვიზა მიიღო, 12-ს ან 19-ს აირჩევს.

იმასაც გეტყვით, რომ ამ უქმეებზე "იუნაიტედმა" ახალი საკლუბო ფოტო გადაიღო. მიმომხილველების მახვილ თვალს არ გამოპარვია, რომ სურათს **მიკაელ სილვესტრი** აკლია. ოფიციალური ვერსიით, ის მხარის ტრავმას იშუშებს და გადაღების დღეს საავადმყოფოში იმყოფებოდა. თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, ვივარაუდოთ, რომ სილვესტრის მანჩესტერული კარიერა დასასრულს მიუახლოვდა და მწვრთნელებმა ამიტომაც არ ჩათვალეს საჭიროდ მისი ფოტოზე გამოსახვა. სპეკულაციები ფრანგი მცველის მოსალოდნელი აბარების თაობაზე დიდი ხანია, მიმდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული. ტრანსფერები

# ტორესისთვის ადგილი თავისუფალია

## სისე და ბელამი მიდიან, ატლეტიკომ ფერნანდოს შემცვლელი ოფიციალურად გაიფორმა, მერსისაიდელებმა კი, ჰაინცესა და ჟიულისაც დაადგეს თვალი...



ფერნანდო ტორესი



რაფა ახალი იმიჯით

ორიოდე დღის წინათ გაუწყეთ, რომ **ფერნანდო ტორესი** "ლივერპულს" უახლოვდება. ამ უქმეებზე ტრანსფერის ირგვლივ კიდევ რამდენიმე დეტალი შევიტყვეთ. ყველა ეს ცნობა ნათელჰყოფს, რომ ტორესის ინგლისში გადაბარგება დროის საქმეა. საბოლოო გარიგებამდე, შეიძლება, რამდენიმე საათიც კი გვაშორებდეს. ლივერპულელებს თავდამსხმელი 27 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. "ატლეტიკომ" მისი შემცვლელი უკვე დაიბევა. **დიეგო ფორლანი** "ვილიარეალიდან" მადრიდში გაემგზავრება ("ვილიარეალში" 2004 წლიდან თამაშობს, პრიმერა დივიზიონში 106 მატჩი, 54 გოლი). ურუგვაელი თავდამსხმელი, რომელიც ამჟამად "კოპა ამერიკაზე" იმყოფება, ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. დედაქალაქელებს მისი შეძენა 22 მილიონ ევრო დაუჯდებათ. "ატლეტიკოს" პრესსამსახურმა შესაბამისი შინაარსის განცხადება შაბათს გაავრცელა. განცხადებაში არაფერია ნათქვამი ტორესის შესახებ ("ატლეტიკოში" 2001 წლიდან თამაშობს, პრიმერა დივიზიონში 214 მატჩი, 82 გოლი). დეტალების დასადგენად ინგლისურ სააგენტოებზე გვიწევს დაყრდნობა. მერსისაიდელები ტორესისათვის ადგილს ათავისუფლებენ. "დეილი მეილში" ვკითხულობთ, რომ **ჯიბრილ სისე** უმოკლეს ხანში გაიყიდება. ამ თავდამსხმელმა გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარით "მარსელში" გაატარა. თავდაპირველად, "ოლიმპიკმა" ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. "მარსელს" სისეს დატოვება სურს. მისი უმთავრესი კონკურენტი კი "ვესტ ჰემია".

"ლივერპული" **კრეიგ ბელამის** გაყიდვასაც აპირებს. ტრანსფერის გასაადვილებლად მერსისაიდელები მზად არიან, ფეხბურთელი ორჯერ გააიაფონ. ერთი თვის წინათ მასში 12 მილიონ გირვანქას ითხოვდნენ, დღეს კი უელსელი თავდამსხმელის შეძენა 6 მილიონადაც შეიძლება. ბელამის "ნიუკასლი", "ვესტ ჰემი" და "ასტონ ვილა" აკვირდებიან. დაინტერესებული კლუბების სიმრავლე იმას ნიშნავს, რომ ფორვარდის ფასი აუცილებლად აიწევს. 6 მილიონი, შეგვიძლია, საწყის ღირებულებად მივიჩნიოთ. "ვესტ ჰემთან" დაახლოებული წყარო იუწყება, რომ ონდონელები თანახმანი არიან, 8 მილიონი გადაიხადონ, ფეხბურთელს კი კვირაში 70 ათასი გირვანქა დაუნიშნონ. "ნიუკასლი" კონკურენტების ჩამოშორებას 9 მილიონის შეთავაზებით აპირებს.

ტორესის გარდა, "ლივერპული" კიდევ ერთ საინტერესო ტრანსფერს ამზადებს. **რაფა ბენიტესს** "მანჩესტერ იუნაიტედის" მარცხენა მცველი **გაბრიელ ჰაინცე** სურს. არგენტინელს "იუვენტუსიც" ეპატიჟება. ტურინელები 5 მილიონ გირვანქას ამზადებენ. 29 წლის ფეხბურთელი კოპა ამერიკაზე იმყოფება. ის ამბობს, რომ ჯერჯერობით, მხოლოდ სანაკრებო ბატალიებზეა კონცენტრირებული. ტურნირის შემდეგ დასვენებას აპირებს. ტრანსფერზე კი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს ფიქრს. ჰაინცე "იუნაიტედში" 2004 წელს ჩაირიცხა. ორი წლის წინათ ფანებმა ის "იუნაიტედის" წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გაბრიელს გასული სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა. მის არყოფნაში დაცვის მარცხენა ფლანგი **პატრის ევრამ** დაისაკუთრა. **სერ ალექს ფერგიუსონი** ევრას ჰაინცეზე წინ აყენებს. ამიტომ მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ გაბრიელი ახალ სამსახურს მონახავს. ბენიტესს კვალიფიციური მარცხენა მცველი სჭირდება. გასულ სეზონში რაფამ ამ პოზიციაზე ოთხი ფეხბურთელი - **ფაბიო აურელიო, ალვარო არბელოა, სტივ უორნოკი** და **ჯიმი ტრაორე** გამოცადა.

აქვე გეტყვით, რომ ბარსელონელ **ლუდოვიკ ჟიულისაც** მერსისაიდული გრანდი ეპატიჟება. "დიარიო სპორტის" ცნობით, ფრანგი გარემარბი ძალიან იაფი, 1.5 მილიონი გირვანქა ღირს. მას "მონაკოში" დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ლივერპულელთა დაინტერესება ყველაფერს თავდაყირა დააყენებს. შაბათს მერსისაიდელებმა "ბარსელონის" სარეზერვო გუნდის თავდამსხმელი **დანიელ პაჩეკო** შეიძინეს. 16 წლის ყმაწვილის ტრანსფერი ინგლისელებს სულ რაღაც 350 ათასი გირვანქა დაუჯდათ.

და კიდევ, ბენიტესი საზაფხულო არდადეგებიდან ახალი იმიჯით დაბრუნდა. პრესკონფერენციაზე, რომელიც **მომო სისოკოს** მიერ ახალი კონტრაქტის გაფორმებას მიეძღვნა, ის ბლანჟეთი გამოცხადდა. "სანის" მიმომხილველმა ირონიულად დაწერა, რაფას წვერის გაპარსვა დავიწყნიაო. მწვრთნელმა შეცვლილ გარეგნობასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიიჩნია.

ჩელსი

# ლემპარდმა კონტრაქტი ისევ იუარა

## ჩელსის ნახევარმცველი პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე მაღალმა ხელფასმაც კი არ დააკმაყოფილა. რატომ?



ფრენკ ლემპარდი

**ფრენკ ლემპარდმა** "ჩელსის" მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე უარი თქვა. მისი ხელმოწერის შემთხვევაში ინგლისელი ვარსკვლავი "არისტოკრატებისა" და საერთოდ, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდებოდა. მას **მიხაელ ბალაკსა** და **ანდრეი შევჩენკოზე** მაღალ ხელფასს, კვირაში 135 ათას გირვანქას გადაუხდიდნენ. წარმოიდგინეთ ლონდონელთა განცვიფრება, როცა ნახევარმცველმა ასეთი პირობებიც კი თავაზიანად იუარა. ახალი სეზონის დაწყებამდე 40 დღით ადრე ვიცე-ჩემპიონთა ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშის ბედი ჰაერშია გამოკიდებული. მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო,** ჯერჯერობით, უიმედოდ ითხოვს ლემპარდთან ურთიერთობის გარკვევას.

გუშინდელი ინფორმაცია კიდევ უფრო სავარაუდოს ხდის ფრენკის აბარგებას. "ნიუს ოფ ზე უორლდი" ფეხბურთელს "იუვენტუსში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებს. მოგეხსენებათ, ტურინელთა მთავარი მწვრთნელი **კლაუდიო რანიერია**. ლემპარდი "სტემფორდ ბრიჯზე" რანიერიმ გადაიყვანა. გარიგება 2001 წლის ზაფხულში შედგა. "არისტოკრატებმა" თანაქალაქელ "ვესტ ჰემს" 11 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ერთი თვის წინათ, როცა ინგლისმა ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩი გამართა, რანიერი ყოფილ შეგირდს ერთ-ერთ რესტორანში შეხვდა და მთელი საათის განმავლობაში ესაუბრა. საუბრის დეტალები არ გახმაურებულა. "იუვენტუსის" გარდა, ლემპარდს "ბარსელონაც" ეპატიჟება. ბარსელონელი **დეკუ** "ინტერში" გადასვლას აპირებს, კატალონიელებს მის შემცვლელად ინგლისელი ვარსკვლავი ესახებათ.

ფრენკმა ერთი კვირის წინაც გაიმეორა, რომ ლონდონში დარჩენა სურს, მაგრამ მისი ფინანსური მოთხოვნები შეთანხმების შანსებს მკვეთრად ამცირებს. მან ერთი კვირა ესპანეთში გაატარა. ის ოჯახთან ერთად კუნძულ იბისაზე დასასვენებლად იმყოფებოდა. ორშაბათს "ჩელსი" პირველად შეიკრიბება და რამდენიმე დღეში ამერიკას მიაშურებს. იქ კი ამხანაგური მატჩებია დაგეგმილი. მათ შორის, "ლოს ანჯელეს გალაქსისთან", რომლის შემადგენლობაში პირველად ითამაშებს **დევიდ ბექჰემი**. ვნახოთ, იქნება თუ არა გუნდთან ერთად "არისტოკრატების" ვიცე-კაპიტანი.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# რეალი რობენს მოურიგდა

## რეიესს მადრიდში დარჩენის კარგი შანსი აქვს

"ასის" ცნობით, "რეალი" **არიენ რობენს** მოურიგდა. 23 წლის ჰოლანდიელ გარემარბს მადრიდულ გრანდში გადასვლა სურს. სამეფო კლუბი 20 მილიონ ევროს ამზადებს. თუ "ჩელსი" თანახმა იქნება, გარიგებას უმოკლეს დროში მოაწერენ ხელს. 23 წლის ფეხბურთელი ერთ-ერთია იმ სამ ვარსკვლავს შორის, რომელთა შეძენას ესპანელები აპირებენ. სხვა ორი სამიზნე მილანელი **კაკა** და არსენალელი **ფრანსესკ ფაბრეგასია**. ლონდონელებმა რობენს ახალი კონტრაქტი გაუმზადეს. "ჩელსიმ" მას 2012 წლამდე შესთავაზა დარჩენა. გასულ სეზონში არიენს ქრონიკული ტრავმების გამო ბევრი გაუცდა, ხოლო როცა ჯანმრთელი იყო, მწვრთნელი მაინც სკამზე ამწესებდა. "რეალის" სპორტულმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა** დაადასტურა, რომ რობენის ტრანსფერზე მუშაობს, თუმცა უფრო პრიორიტეტულად ახალი მწვრთნელის მოძიება დაასახელა: *"მას (რობენს) შარშანდელი ზაფხულის შემდეგ ვაკვირდებით. ის უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და ძალიან მოგვწონს, მაგრამ შემადგენლობის გაძლიერებამდე მთავარი მწვრთნელი უნდა დავნიშნოთ."*

მიატოვიჩმა **ხოსე ანტონიო რეიესზეც** ისაუბრა. "მალიორკასთან" ბოლო ტურის მატჩში (3:1) თავდამსხმელმა დუბლი მიითვალა და მადრიდელთა გაჩემპიონებაში ლომის წვლილი შეიტანა. მოგეხსენებათ, ის "არსენალის" საკუთრებაა და მადრიდში ერთწლიანი იჯარით იყო მივლენილი. საიჯარო ხელშეკრულება ამოიწურა. ხოსე ანტონიოს მომავალი კლუბის ვინაობა კი უცნობია. რეიესს შთამბეჭდავი სეზონი არ ჰქონია. ორიოდ თვის წინათ მასთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმებას ეჭვით უყურებდნენ, თუმცა მიატოვიჩმა დასძინა, რომ ეს საკითხი ჯერ არ მოხსნილა დღის წესრიგიდან: *"რეიესი შესანიშნავი ფეხბურთელია. მას დარჩენის ძალიან კარგი შანსი აქვს."* როგორც ჩანს, ხოსე ანტონიოს ბედსაც ახალი მწვრთნელი გადაწყვეტს.



არიენ რობენი



კარლოს ტევესი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტევესმა ჯერ არ იცის

## არსენალი გააქტიურდა, რეალს საერთოდ არ დაურეკავს, ინტერმა კი ფორვარდი ძალიან გაანაწყენა...

**კარლოს ტევესი** "რეალში" სიამოვნებით ითამაშებდა, მაგრამ სამეფო კლუბიდან ჯერჯერობით, არავის დაურეკავს. მადრიდული გრანდი ერთ-ერთია იმ მრავალ კლუბს შორის, რომელსაც არგენტინელი თავდამსხმელის შეძენა სურს. 23 წლის ტევესი ნაკრებთან ერთად კოპა ამერიკაზე იმყოფება, თუმცა ჟურნალისტებთან შეხვედრებისას უმეტესად მოსალოდნელ ტრანსფერებზე საუბრობს. კარლოსი ამბობს, რომ "ინტერი" მისი ფავორიტი არ არის. უფრო მეტიც, მილანელებთან მოლაპარაკებები, შეიძლება, საერთოდ შეწყდეს. "ნერაძურიმ" ფორვარდს გადაწყვეტილების მისაღებად ერთი კვირა მისცა. ტევესი კი ულტიმატუმმა ძალიან გააბრაზა.

"ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, კარლოსს **არსენ ვენგერმაც** დაადგა თვალი. მოსიე არსენი **ტიერი ანრის** შემცვლელს ეძებს. "მეთოფეებს" ტევესთან ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება სურთ. პოპულარული ტაბლოიდის მტკიცებით, თუ ფეხბურთელი ინგლისში დარჩება, "არსენალში" ან "მანჩესტერ იუნაიტედში" ითამაშებს. უფრო სავარაუდო "არსენალის" ვარიანტია. ეს უკანასკნელი ფეხბურთელის ხელფასს მთლიანად საკუთარ თავზე აიღებს.

### ტამუდო ფორლანის ნაცვლად

"ვილიარეალი" თავდამსხმელს ეძებს. მოგეხსენებათ, **დიეგო ფორლანმა** "ატლეტიკოში" გადასვლა გადაწყვიტა. ეს ტრანსფერი ყვითელ სუბმარინებს სოლიდურ თანხას, 22 მილიონ ევროს მოუტანს. "მარკა" გვაუწყებს, რომ მათი ახალი ფავორიტია "ესპანიოლის" ფორვარდი **რაულ ტამუდო**. ბარსელონელები 10 მილიონ ევროს ითხოვენ. "ვილიარეალის" მთავარი მწვრთნელი მანუელ პელეგრინი სხვა კანდიდატურებსაც განიხილავს. ტამუდოს გარდა, სასურველი ფეხბურთელების სიაში არიან მილანელი **რიკარდო ოლივეირა** და სარაგოსელი **დიეგო მილიტო**.

### ტოტენჰემმა ჩელსის მიმართა

"ტოტენჰემის" სატრანსფერო ამბიციებს ბოლო არ უჩანს. **მარტინ იოლმა** ჩელსელი ნახევარმცველების, **შონ რაიტ ფილიპსისა** და **ლასანა დიარას** შეძენაც გადაწყვიტა. მამლები ჩემპიონობაზე ფიქრს ვერ ბედავენ, მაგრამ ოთხეულში "არსენალის" ჩანაცვლება სავსებით რეალურად ეჩვენებათ. "არისტოკრატები" დიარას 8 მილიონად, ხოლო რაიტ-ფილიპსს 10 მილიონად აფასებენ. ეს უკანასკნელი "ვესტ ჰემის" სასურველი ფეხბურთელების სიაშიცაა. შეგახსენებთ, 2005 წლის იანვარში "ჩელსიმ" "მანჩესტერ სიტის" რაიტ-ფილიპსის სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქა გადაუხადა, თუმცა ფეხბურთელმა იმედები ვერ გაამართლა და დროის უმეტესი ნაწილი თადარიგში დაჰყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# კლოზეს პირველი გოლი

## ჰიონესი: მირო და ტონი იგივეა, რაც მე და გერდ მიულერი...

პარასკევის შეკრების შემდეგ, „ბაიერნი" ჰონგ კონგში გაემგზავრა, სადაც კვირას 2007/08 წლების სეზონის პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. რეკორდმაისტერი 40 000 მაყურებლის თვალწინ ბრაზილიურ „სან პაულოს" დაუპირისპირდა და 2:1 გაიმარჯვა. მიუნხენური გიგანტის ქომაგებისთვის კი, ამ მოგებაზე უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ პირველივე შეხვედრაში გოლის გატანა შეძლო მიროსლავ კლოზემ!

**ოტმარ ჰიტცფელდმა** ჰონგ კონგში მხოლოდ 14 ფეხბურთელი იახლა, თანაც, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობა, თუ არ ჩავთვლით **კანს, ვან ბუიტენს, ლამს, ვან ბომელსა** და **კლოზეს**. **ლუკა ტონის, ფრანკ რიბერისა** და **ზე რობერტოს** მიუნხენში სამშაბათიდან ელიან. **მარსელ იანსენი** გაციებული გახლდათ და აზიაში ამიტომაც ვერ გაემგზავრა, **იან შლაუდრაფმა** კი, ცოტა ხნის წინათ ოპერაცია გაიკეთა. **ლუსიო, ვილი სანიოლი** და **ბასტიან შვაინშტაიგერი** ტრავმირებულები არიან. ამიტომაც, ჰიტცფელდმა ამ მინი ტურნეზე მოყვარულებიც იახლა – **ნგვატ-მაჰოპი, სიკორსკი** და **ვაგნერი**. „სან პაულოსთან" რეკორდმაისტერმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კანი (46. რენზინგი), **ფიურშტნერი** (71. სიკორსკი), ვან ბუიტენი, დემიკელისი, ლამი, ჰამით ალტინთოფი, ვან ბომელი, ოტლი (81. ჰუმელსი), სოსა, კლოზე, ვაგნერი.

პირველი ტაიმი ბრაზილიელებმა მოიგეს – ანგარიში მე-19 წუთზე **მარქულმა** გახსნა. კლოზემ წონასწორობა 61-ე წუთზე აღადგინა – მირომ საჯარიმოში ყველას დაასწრო და 12 მეტრიდან ზუსტი თავური დარტყმით დალაშქრა ბრაზილიელთა კარი. ზუსტად 15 წუთში ბავარიელთა კიდევ ერთმა დებიუტანტმა გამოიჩინა თავი – 76-ე წუთზე რეკორდმაისტერის გამარჯვების გოლი **ჰამით ალტინთოფმა** გაიტანა. მიუხედავად 1-საათიანი დამღლელი ფრენისა და 30-გრადუსიანი სიცხისა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიელებმა ძალიან ენერგიული ფეხბურთი აჩვენეს.

მატჩის შემდეგ „ბაიერნის" ფეხბურთელებმა იქაურ ფანებს ავტოგრაფები ჩამოურიგეს, თუმცა ამ პროცესმა 20 წუთზე დიდხანს არ გასტანა, არადა, ავტოგრაფებისთვის ერთი საათი იყო გამოყოფილი. ცხადია, ეს იმის ბრალი გახლდათ, რომ ახალგაზრდა ჩინელ გულშემატკივრებს, **რენზინგი, ოტლი** და **ფიურშტნერი** არ აინტერესებდათ. და რაკი წამყვანი ფეხბურთელების უდიდესი ნაწილი იქ არ იყო, ავტოგრაფების აღებას მალე მორჩნენ. ყველაზე დიდხანს, რა თქმა უნდა, ოლივერ კანი დააყოვნეს.

თამაშის შემდეგ რეკორდმაისტერმა ისევ მიუნხენისკენ აიღო გეზი. ჰონგ კონგში ამ მინი-ვიზიტისა და "სან პაულოსთან" ტესტ-მატჩის ჩატარებისთვის „ბაიერნმა" 1.5 მილიონი ევრო მოიხვეჭა, თანაც, ბავარიელებს აბსოლუტურად ყველა ხარჯიც აუნაზღაურეს. *„ვფიქრობ, ეს ვიზიტი გუნდისთვის სულაც არ იყო დამღლელი, პირიქით, საკმაოდ საინტერესო თავგადასავალი გამოვიდა. თანაც, ამისთვის დიდი ფული გადაგვიხადეს – მილიონნახევარი ევრო დღენახევრისთვის, შეგახსენებთ, რომ შლაუდრაფი მილიონად ვიყიდეთ,"* – განუცხადა **ული ჰიონესმა** „ბილდ ამ ზონთაგს".

■ ■ ■

„ბაიერნის" მენეჯერს აშკარად ეტყობა კმაყოფილება. რა თქმა უნდა, ტრანსფერების გამო, რადგან ერთი ხელის მოსმით ამდენი ფული რეკორდმაისტერს არასდროს დაუხარჯავს – შეგახსენებთ, რომ ბავარიელებმა დაახლოებით 70 მილიონი გაილეს. ერთადერთი, რის გამოც მიმომხილველები ენაჭარტალა ულის აქაიქ აკრიტიკებენ, გახლავთ ის, რომ „ბაიერნის" თავდასხმა ვერ იქნება მთლად მობილური, რადგან საეჭვოა, რომ ტონი და კლოზე ერთმანეთს კარგად შეეწყონ. „ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჰიონესი ამ საკითხსაც შეეხო.

*„რაღაც ხომ უნდა გამოძებნონ? რაღაცის გამო ხომ უნდა გვაკრიტიკონ? ჩემი აზრით, კლოზე და ტონი ერთმანეთს ჩინებულად შეეწყობიან, მეტიც, ეს იდეალური თავდასხმაა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გვყავს ორი ისეთი ფორვარდი, რომლებიც შესანიშნავად თამაშობენ თავით. ამასთან, მირო უფრო მოძრავი თავდამსხმელია, ტექნიკური, შეუძლია ფლანგებზე გადავიდეს და ლუკა პასებით მოამარაგოს. ეს უკანასკნელი კი მუდმივად საჯარიმოში იქნება დადარაჯებული. თავდასხმის დუეტი ტონი და მაკაი რომ ყოფილიყო, აი, მაშინ ნამდვილად ორი ერთნაირი ფორვარდი, იოლად პროგნოზირებადი თავდასხმა გვეყოლებოდა. კლოზე და ტონი კი სულ სხვა საქმეა,"* – ამბობს ჰიონესი.

ბოლოს როდის ჰყავდა „ბაიერნს" ასეთი ეფექტური თავდასხმა? ჰიონესი ამ კითხვას დაუფიქრებლად პასუხობს: *„გერდ მიულერი და ული ჰიონესი!"* ცხადია, ამასთან ერთად ულის ევროთასების ზედიზედ სამჯერ მოგებაც ახსენდება, 70-იანი წლები, „ბაიერნის" ოქროს ხანა და ოქროს თაობა. *„ან ჩემი ძმა, დიტერი და კალე რუმენიგე, – აგრძელებს ული, - ესეც ასეთივე დუეტი იყო, ერთი დარბოდა, მეორე კი საჰაერო ორთაბრძოლებს იგებდა..."*

ესეც ასე: მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი გუნდის ახალ თავდასხმას ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო დუეტთან აიგივებს. იქნებ ეს გადაჭარბებული მოლოდინია? ამ კითხვაზე ული თავს უარის ნიშნად, ბრაზიანად აქნევს და ამბობს: *"მირო ზეწოლის ქვეშ მოექცევა და ეს ძალიან კარგია. მხოლოდ ასე ამაღლდება კიდევ ერთი საფეხურით, ზუსტად ისე, როგორც „კაიზერსლაუტერნიდან" „ვერდერში" გადასვლის შემდეგ ამაღლდა."*

**გოტფრიდ ლენცი**



მიროს სადებიუტო მატჩი ბავარიელთა შემადგენლობაში



ლოთარ მათეუსი

მწვრთნელი

# მათეუსი: დამასაქმეთ!

## ლოთარი მიიჩნევს, რომ ბაიერნის მწვრთნელობასაც კარგად გაართმევს თავს

ზალცბურგის „რედ ბულიდან" გათავისუფლებულ **ლოთარ მათეუსს** უსაქმოდ გაჩერება დიდხანს არ სურს. გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი ახალ სამსახურს ეძებს და არ მალავს, რომ მისი მიზანი და ოცნება, გერმანიაში მუშაობაა. *„მოუთმენლად ველი, როდის დამიკავშირდება რომელიმე ბუნდესლიგური კლუბი და სამსახურს შემომთავაზებს. ძალიან მწყინს ის, რომ გერმანიაში ჩემს სამწვრთნელო საქმიანობას სერიოზულად არ უყურებენ და არ აფასებენ იმას, რაც აქამდე გავაკეთე. პირადად მე ვფიქრობ, რომ „ბაიერნის" მწვრთნელობასაც ძალიან კარგად გავართმევდი თავს!"* – აცხადებს ლოთარი.

როგორც ხედავთ, მათეუსს სერიოზული ამბიციები აქვს. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ იმ ხუთი გუნდიდან, სადაც იმუშავა, კონტრაქტი ბოლომდე არსად შეუსრულებია. *„სამაგიეროდ, – ამბობს ლოთარი, - თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ყველგან დავტოვე ფუნდამენტი!"* ხოლო ის, რომ ამ ფუნდამენტებიდან ვერცერთზე ვერ შეძლო ხეირიანი ნაგებობის აშენება, მათეუსის აზრით, უილბლობის ბრალია.

მიუხედავად ამდენი იმედგაცრუებისა, ლოთარს სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება სურს და ძალიან მონდომებულია. მენეჯერის პოსტზე მუშაობას კი, კატეგორიულად გამორიცხავს: *„ახალგაზრდა ფეხბურთელების მხოლოდ აღმოჩენა კი არა, მათთან მუშაობა მინდა. მხოლოდ მწვრთნელობა მხიბლავს და სხვა არაფერი. მე ბუნდესლიგის შვილი ვარ და ძალიან მინდა, რომ გერმანულ კლუბს ვწვრთნიდე. სულაც არაა აუცილებელი, რომ პირველივე გუნდი ამბიციური იყოს. მეორე ბუნდესლიგაშიც სიამოვნებით ვიმუშავებდი. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა ამის საშუალება მომეცემა. ველი იმ დღეს, როცა რომელიმე გერმანული კლუბის ხელმძღვანელები ნდობას გამომიცხადებენ და დროს მომცემენ. ოცნებით კი, „ბაიერნის" გაწვრთნაზე ვოცნებობ."*

რეკორდმაისტერის პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს** რომ ჰკითხოთ, ლოთარი მზადაა იმისთვის, რომ „ბაიერნი" ჩაიბაროს. საკითხავი მხოლოდ ისაა, როდის გაიზიარებენ კაიზერის აზრს მიუნხენური გიგანტის სხვა შეფები – ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და მენეჯერი **ული ჰიონესი...**

ბუნდესლიგა. სკანდალი

# მანიპულაცია ბოლო ტურში?

## ბოხუმისა და ჰანზას გამო, საფეხბურთო ლიგა კალენდრის შეცვლაზე ფიქრობს...

ბუნდესლიგის 2007/08 წლების სეზონის კალენდარი ხუთშაბათს გამოქვეყნდა და პარასკევის ნომერში შემოგთავაზეთ. შაბათს „ბოხუმმა" და ელიტაში აღზევებულმა როსტოკის „ჰანზამ" ახალი ფორმა წარადგინეს და აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს ერთი სპონსორი ჰყავს: მსუბუქი მრეწველობის კომპანია kik, რომელიც სამი წლის წინათ „ვერდერის" სპონსორი გახლდათ. ალბათ იკითხავთ, რა შუაშია „ბოხუმისა" და „ჰანზას" სპონსორთა იდენტურობა ბუნდესლიგის კალენდართანო. აი, პასუხი: საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო ტურში „ბოხუმი" თავის „რურშტადიონზე" როსტოკულ კლუბს მასპინძლობს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ერთ-ერთ მათგანს ელიტაში დარჩენა უკვე განაღდებული აქვს, მეორეს კი გავარდნა ემუქრება. ამ დროს, ორივეს ერთი კომპანიაასპონსორებს, რომლის ინტერესებშიც ნამდვილად შედის (უფრო სწორად, მთავარი მიზანი და სურვილიც ესაა), რომ მისმა გუნდებმა მომდევნო სეზონშიც ელიტაში ითამაშონ. ცხადია, დიდი გახლავთ იმის შანსი, რომ იმ გუნდმა, რომელსაც გარანტირებული აქვს დარჩენა, საჭიროების შემთხვევაში გავარდნის კანდიდატს ქულები დაუთმოს. ეს კი მანიპულაციაა!

სწორედ ამისი ეშინია გერმანიის საფეხბურთო ლიგასაც და ამიტომაცაა, ბუნდესლიგის შეფები კალენდარში ცვლილებების შეტანაზე სერიოზულად რომ ფიქრობენ. *„ეს რომ გვცოდნოდა, კალენდარს სხვანაირად შევადგენდით. უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ რთული სიტუაციაა. ახლა ვფიქრობთ, რა მოვიმოქმედოთ,"* – აცხადებს გერმანიის საფეხბურთო ლიგის მენეჯერი **ჰოლგერ ნირონიმუსი**. სხვათა შორის, „შტუტგარტსა" და „კარლსრუესაც" ერთი სპონსორი ჰყავთ: ენერგიის კონცერნი EnBW. და რაკი ეს წინდაწინვე ცნობილი იყო, კალენდარში ისინი ერთმანეთს არა ბოლოს, არამედ მე-4 და 21-ე ტურებში შეხვდებიან...

შტუტგარტი

# ჰელდტი: იუვენტუსი ჩვენს ფეხბურთელებს აგიჟებს

## შვაბთა ბოსი განრისხებულია და იმუქრება, საქმეში ფიფას ჩავრევო...

გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „შტუტგარტი" „ბაიერნის" დარად პარასკევს შეიკრიბა – **არმინ ფეემ** თავისი შეგირდები არდადეგების შემდეგ პირველად ავარჯიშა. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რაც გუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა. შვაბენლანდური კლუბის ბოსმა ტურინის „იუვენტუსს" შეუტია, არაერთხელ ვთქვით, რომ **მარიო გომესი** და **ფერნანდო მეირა** არ იყიდებიან, მაგრამ ტურინელები მათთან მოლაპარაკებებს არ წყვეტენო.

*„ეს ნამდვილი სკანდალია. ტურინელები ჩვენს ფეხბურთელებს აგიჟებენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს საშინელებაა! ჩვენ ფიფაში საჩივრის შეტანას ვაპირებთ. „შტუტგარტი" ამ ფეხბურთელებს არ გაყიდის და დროა, „იუვენტუსმა" ეს შეიგნოს!"* – განრისხებული გახლდათ ჰელდტი.

„ბებერი ქალბატონი" მზად იყო, გომესში 25 მილიონი ევრო გადაეხადა, მეირაში კი 20 მილიონი. თანაც, ტურინელები ორივე ფეხბურთელს ზღაპრულ კონტრაქტებს ჰპირდებოდნენ. გომესმა პირდაპირ თქვა, ეს ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ „შტუტგარტის" დატოვებას ჯერ არ ვაპირებო. აი, პორტუგალიელმა მცველმა კი იტალიაში გადასვლის სურვილი არ დამალა, რის გამოც სკანდალი კიდევ უფრო გამძაფრდა. ჰელდტი მეირაზე ძალიანაა გაბრაზებული. პარასკევს შვაბთა კაპიტანმა ამ საკითხზე არანაირი კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

აქვე გეტყვით, რომ **თომას ჰიტცლშპერგერი** და **პაველ პარდო** გუნდს 4 ივლისს შეუერთდებიან. სამაგიეროდ, შვაბებმა პარასკევს ახალწვეულები, მეკარე **რაფაელ შეფერი** („ნიურნბერგიდან" გადაიბირეს), **ილდირაი ბაშთურქი** (ჰერტა), **გლედსონი** (ჰანზა) და **გეორგეს მანდიეკი** (მოყვარულები) წარადგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო ჩემპიონატი

### UNDER 20

| | |
|---|---|
| პოლონეთი-ბრაზილია | 1:0 |
| ჩრ. კორეა-პანამა | 0:0 |
| არგენტინა-ჩეხეთი | 0:0 |
| ს. კორეა-აშშ | 1:1 |

## ფინეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ტურკუ-ტამპერე | 1:3 |
| ლაჰტი-ვიიკინგიტი | 0:2 |
| ჰიკ-ვაასა | 0:0 |
| ინტერი-ჰაკა | 3:1 |
| ვიიკინგიტი-იარო | დღეს |
| ტამპერე-მარიეჰამნი | დღეს |
| მიუპა-ლაჰტი | დღეს |

## ირლანდია

XVI ტური

| | |
|---|---|
| სტ. პატსი-დერი | 2:1 |
| შემროკი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| სლიგო-ლონგფორდი | 2:1 |
| ბრეი-უოტერფორდი | 2:1 |
| დროგედა-გალვეი | დღეს |

## ნორვეგია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-ვიკინგი | 1:3 |
| ფრედრიკსტადი-ოდ გრენლანდი | 1:1 |
| სანდეფიორდი-ლილესტრიომი | 0:2 |
| სტაბეკი-სტრიომსგოდსეტი | 3:2 |
| სტარტი-ლინი | 0:1 |
| ბრანი-ტრომსიო | 2:1 |
| როზენბორგი-ალესუნდი | დღეს |

### II დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ჰიონეფოსი-სკეიდი | 4:3 |
| ლოვ ჰამი-ჰაუგესუნდი | 4:1 |
| მანდალი-ჰამარი | 0:3 |
| მოსი-ბოდო გლიმტი | 0:1 |
| ნოტოდენი-ბრინი | 1:0 |
| რაუფოსი-მოლდე | 1:2 |
| სოგნდალი-ტრომსდალენი | 2:1 |
| სარპა-კონგსვინგერი | 2:2 |

## შვედეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-გაის | 1:0 |
| იურგორდენი-გეფლე | დღეს |
| გიოტებორგი-მალმიო | დღეს |
| კალმარი-ერებრუ | დღეს |

### II დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| სილვია-ბუნკეფლო | 2:2 |
| აბვიდაბერგსი-ფალკენბერგსი | 3:0 |
| დეგერფორსი-სუნდსვალი | 1:2 |
| ენჩოპინგსი-ჰაკენი | 1:0 |
| ლიუნგსკილე-ლანდსკრონა | 2:1 |
| მიალბიუ-ოსტერსი | 1:1 |
| იონჩოპინგსი-ნორჩოპინგი | დღეს |

## რუსეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-კრილია | 5:2 |
| ნალჩიკი-ლუჩ ენერგია | 2:0 |
| სატურნი-ამკარი | 2:0 |
| მოსკოვი-ზენიტი | 1:2 |
| ცსკა-ყუბანი | 0:0 |
| ხიმკი-ტომი | 1:1 |
| რუბინი-დინამო | 2:1 |
| როსტოვი-სპარტაკი | 1:3 |

## ბრაზილია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ფიგეირენსე-სან პაულუ | 0:0 |
| რესიფე-ნაუტიკო | 4:1 |
| ამერიკა-გოიასი | 0:3 |
| კრუზეირო-ვასკო და გამა | 3:1 |
| სანტოსი-გრემიო | 0:0 |
| ფლუმინენსე-ბოტაფოგო | 1:2 |
| პარანა-ატ.პარანაენსე | 2:2 |
| ინტერნასიონალი-ატ. მინეირო | 1:1 |
| კორინთიანსი-პალმეირასი | 0:1 |

## აშშ

XIII ტური

| | |
|---|---|
| ჩივასი-ნიუ ინგლენდი | 2:0 |
| კოლამბუსი-ნიუ იორკი | 1:0 |
| დალასი-ჰიუსტონი | 0:0 |
| კანზას სიტი-ტორონტო | გვ. დასრულდა |
| ჩიკაგო-კოლორადო | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ივატა-ურავა | 0:2 |
| კავასაკი-კობე | 2:1 |
| ნიიგატა-ჰიროშიმა | 2:1 |
| კაშივა-შიმიძუ | 1:3 |
| ომია-გამბა | 0:3 |
| კაშიმა-ტოკიო | 1:2 |
| იოკოჰამა-იჩიჰარა | 0:1 |
| ნაგოია-კოფუ | 1:1 |
| ოიტა-იოკოჰამა მარინოსი | 0:3 |

### დოსიე
## კრისტიანო რონალდო

სრული სახელი: კრისტიანო რონალდო დუშ სანტუშ ავეირუ

დაიბადა 1985 წლის 5 თებერვალს, მადეირასთან ახლოს, ფუნშალში (პორტუგალია)

ეროვნება: პორტუგალიელი

ამპლუა: ნახევარმცველი-თავდამსხმელი.

სიმაღლე: 184 სმ

წონა: 78 კგ

კლუბები: 2001-03 ლისაბონის "სპორტინგი"; 2003-დან "მანჩესტერ იუნაიტედი"; ახალი 5-წლიანი კონტრაქტი 2007 წლის აპრილში გააფორმა.

მიღწევები: ინგლისის პრემიერლიგის 2006/07 წლების სეზონი გამარჯვებული; ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის 2003/04 წლების სეზონის გამარჯვებული; ევრო 2004-ის ფინალისტი; ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის 2004/05 წლების სეზონის ფინალისტი; ინგლისის ლიგის თასის 2005/06 წლების სეზონის გამარჯვებული; მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი; 2004-/05 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედა; საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ვერსიით, 2006/07 წლების სეზონის მონაცემებით; ამავე ასოციაციის რჩეული გულშემატკივართა გამოკითხვის მიხედვით, 2006/07 წლების სეზონის მონაცემებით; პორტუგალიის ნაკრებში ჩაატარა 36 მატჩი, გაიტანა 12 გოლი.

გამორჩეული ფაქტები: ბავშვობაში მისი კუმირი დიეგო მარადონა იყო, მაგრამ "კლუივერტი" დაარქვეს, ჰოლანდიელი ფეხბურთელის, პატრიკ კლუივერტის საპატივსაცემოდ. ამჟამად, მისი მეტსახელებია: "რონი", "რონ", "რაკეტა რონალდო" და CR7 (კრისტიანო VII). უყვარს სეირნობა, კინო და მუსიკა, განსაკუთრებით, საცეკვაო მელოდიები. უყვარს მარტოობა და დასვენება. მოსწონს პორტუგალიური და ბრაზილიური კერძები, "სანტალის" ფირმის ხილის წვენები.

ვარსკვლავი

# უკვე აღიარებული



სკოლაში სწავლის პერიოდში **კრისტიანო რონალდო** საფეხბურთო მოედანზე ხშირად ტიროდა, როცა თამაში არ მისდიოდა, ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვური ჩვევები ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე, პირიქით, მეტოქეს უფრო ხშირად უჩენს ტირილის მიზეზს. "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავმა ნახევარმცველმა მრავალი მეტოქის პატივისცემა დაიმსახურა იმ მომენტში, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩს აცრემლებული ტოვებდა (მისმა გუნდმა ვერ მოახერხა საფრანგეთის ნაკრებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, 0:1), თუმცა არის ხალხი, ვინც მადეირა'ს კუნძულებზე ახალგაზრდა სპორტსმენის პოტენციალის მოწმეა და თავიდანვე სჯეროდა მისი გაბრწყინებისა. ერთხელ, 13 წლის წინათ, როცა რონალდოს გუნდი "ანდორინია" პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს აგებდა ძლიერ "კამაჩასთან", შესვენებისას მან ტირილი მორთო, მაგრამ მეორე ტაიმში ემოციები მოთოკა და მისი წყალობით, მეტოქე გუნდი 3:2 დამარცხდა.

*"მას დღემდე არ უყვარს, როცა მარცხდება. ყოველთვის სურს, იყოს გამარჯვებული. ის სულიერად ძლიერი ადამიანია. ძლიერი ადამიანი კი ყოველთვის განიცდის, როცა მარცხდება,"* - ამბობს რონალდოს ყოფილი მასწავლებელი **მარია დუშ სანტუში**. მაგრამ, სანამ თავად დატოვებდა მოედანს აცრემლებული, სწორედ პენალტების სერიაში გატანილი გოლით გაამწარა მან **დევიდ ბექჰემი**, როცა გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში პორტუგალიამ ინგლისი დაამარცხა. თავიდან, ინგლისში დაბრუნება რონალდოს ძვირად დაუჯდა, რადგან ხსენებულ მატჩში, როცა **რიკარდო კარვალიოს** მიმართ უხეშობისთვის **უეინ რუნი** (კრისტიანოს თანაგუნდელი) გააძევეს, რონალდუმ მას თვალი ჩაუპაჭუნა, რითიც მისი წყენა გამოიწვია. რონალდო ამტკიცებდა, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენია. "იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** და მისმა თანაშემწე **კარლუშ კეიროშმა** ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ფეხბურთელი მედიის წარმომადგენელთა შემოტევებისგან დაეცვათ. თუმცა სულ მალე პორტუგალიელმა ყველა ავისმსურველის გული მოალბო. მან ეს გააკეთა ნიჭის, დაუღალავი შრომისა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უსწრაფესი მანევრირების წყალობით. მადეირელები მას "მოცეკვავეს" ეძახიან, მოედანზე პორტუგალიური ცეკვის მსგავი ილეთების გამოყენებისთვის.

## საუკეთესო მსოფლიოში

**უეინ რუნი** იყო ის ადამიანი, ვინც რონალდოს "მსოფლიოში საუკეთესო" უწოდა. როცა 22 წლის სპორტსმენი პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ ნომერ პირველ ახალბედა ფეხბურთელად აღიარა (ეს მოხდა პირველად, მას შემდეგ, რაც 1977 წელს იგივე ტიტული ენდი გრეიმ დაიმსახურა). *"ის ფანტასტიკურია და მისი ოსტატობა დღითიდღე მატულობს. 22 წლისა, კრისტიანო უკვე საუკეთესოა მსოფლიოში. ახლა ხალხსა და მწვრთნელებზეა დამოკიდებული, შეაფასონ - რონალდო დიეგო მარადონასა და პელესავით ძლიერია, თუ არა. ასეა თუ ისე, მან დიდი გამოწვევა მიიღო. მისი მიზანია, მუდმივად უკეთესობისკენ სწრაფვა,"* - აცხადებს ფერგიუსონი.

*"არ გვეგონა, თუ ასე კარგად ითამაშებდა. ის ისეთ რაღაცას აკეთებს, რაც სხვა ფეხბურთელებისგან არასდროს მინახავს,"* - ეს უკვე სერ **ბობი ჩარლტონის** სიტყვებია.

*"პირველად რომ ვნახე, ცირკის მსახიობი მეგონა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ ამ მომენტისთვის ევროპის უძლიერესი ფეხბურთელია,"* - ფასეულია **ფრანც ბეკენბაუერის** შეფასებაც.

**კრისტიანო რონალდო დუშ სანტუშ ავეირუ** მადეირაზე დაიბადა. ოჯახის ოთხი ბავშვიდან ის უმცროსია. "რონალდო" აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, **რონალდ რეიგანის** პატივსაცემად დაარქვეს. ეს უკანასკნელი კრისტიანოს მამის სათაყვანებელი მსახიობი იყო. რონალდო სანტ'ანტონიოს ქუჩაზე გაიზარდა. ფეხბურთის თამაში სამი წლისამ დაიწყო მთიან ფუნშალში, რომელიც ატლანტიკის ოკეანეს გადაჰყურებდა. ახლა კი ეს ადგილი უდაბნოდაა ქცეული.

რონალდო, რომელიც ნელ-ნელა დახელოვნდა ფეხის წვერით ბურთის კენწლაში, დაწყებით სკოლაში 6 წლისა შევიდა. ფეხბურთისადმი მის უსაზღვრო სიყვარულში სან ჟოაუს სკოლის მთელი პერსონალი უმალ დარწმუნდა. *"ის კარგი ქცევით გამოირჩეოდა, ხუმარა და ყველა თანაკლასელისთვის კარგი მეგობარი იყო. სწავლა არ ეზარებოდა, მღეროდა, მაგრამ ყველაფერზე მეტად მაინც ფეხბურთი უყვარდა. თუ სადმე სიახლოვეს ბურთი არ იყო, და ასე ხშირად ხდებოდა, ის ბურთს წინდებისგან აკეთებდა,"* - აღნიშნავს მარია დუშ სანტუში.

რონალდოს ნათლიმამა **ფერნაუ სოუზა** ადასტურებს, რომ: *"ბავშვობაში მას მხოლოდ ფეხბურთის თამაში სურდა. მას ისე უყვარდა ეს თამაში, რომ მზად იყო, მშიერი ყოფილიყო, ოღონდ ეთამაშა. ხანდახან, საწოლი ითახიდან ბურთიანად იპარებოდა, როცა ყველას ეგონა, რომ დავალებებს ასრულებდა".*

სამოყვარულო დონეზე რონალდოს პირველი საფეხბურთო კლუბი, სადაც ის 8 წლისა ჩაირიცხა, ადგილობრივი "ანდორინია" იყო, სადაც მის მამას, **ჟოზე დინისს** (ორი წლის წინათ გარდაიცვალა), ყველა იცნობდა. კრისტიანო უცებ აღმოჩნდა მადეირას ერთ-ერთ პროფესიულ კლუბ "ნასიონალში", 10 წლისა კი უკვე ლისაბონის "სპორტინგის" აკადემიის წევრი გახდა. რონალდოსთვის დედაქალაქში საცხოვრებლად გადასვლა ადვილი არ ყოფილა. პირველ ხანებში მას მამამისი ეხმარებოდა. აქცენტის გამო, ის ბარეირუშის სკოლაში გადაიყვანეს და ერთხელ მასწავლებელს... სკამი ესროლა, რადგან მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი მისგან მადეირული ქცევებისგან გადაჩვევას მოითხოვდა.

## დაივიწყეთ დანარჩენები!

*"ლისაბონში წასვლა მას თავიდანვე გაუჭირდა, რადგან სახლი ძალიან უყვარდა. ბიჭები მას აქცენტის გამო დასცინოდნენ. ზოგჯერ, რონალდოს გარეთ გასვლაც არ სურდა. მაგრამ დავარწმუნე, რომ საკუთარი მომავლის შექმნას მხოლოდ კუნძულიდან მოშორებით შეძლებდა,"* - იხსენებს სოუზა. "სპორტინგის" სრულფასოვანი მოთამაშის რანგში რონალდო პირველად მიიწვიეს 16-წლამდელთა, შემდეგ კი 17-წლამდელთა ნაკრებში, ამას კი 18-წლამდელთა გუნდში, მეორე ნაკრებსაც და ბოლოს, ქვეყნის უმთავრეს გუნდში მიწვევა მოჰყვა.

ფერგიუსონმა, რომელმაც რონალდო პირველად 15 წლისა შეამჩნია, 2003 წლის აგვისტოში "ჟოზე ალვალადეს" სტადიონის გახსნასთან დაკავშირებით გამართული ამხანაგური მატჩის ("სპორტინგი"-"მანჩესტერ იუნაიტედი") შემდეგ, პორტუგალიელს თავისთან უხმო. *"ჯონ ოშის, რომელიც მას მეურვეობდა, ჟანგბადის ნიღაბი სჭირდებოდა,"* - განაცხადა "იუნაიტედის" მცველმა **რიო ფერდინანდმა** და იქვე დაამატა: *"პირველი ტაიმის შემდეგ, მე, პოლ სქოულზმა და ნიკი ბატმა ერთმანეთს ვუთხარით - დაივიწყეთ დანარჩენები, ჩვენ ეს ბიჭი უნდა მოვთოკოთ-მეთქი. ყველას ხახამშრალს გვტოვებდა, მთელი სტადიონი ხარხარებდა და უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ რონალდოსთან კონტრაქტი მალე გაფორმდებოდა. ასეც მოხდა. ამ თამაშიდან ერთი კვირის შემდეგ ის უკვე მანჩესტერელი იყო, 12.24 მილიონი გირვანქის საფასურად".*

რონალდოს "იუნაიტედში" 7-ნომრიანი მაისურა მისცეს. ამ ციფრს "ოლდ ტრეფორდზე" აღმერთებენ, რადგან თავის დროზე ის **ჯორჯ ბესტის, ბრაიან რობსონის, ერიკ კანტონასა** და **დევიდ ბექჰემის** მაისურებს ამშვენებდა. თავიდან, რონალდო ორჭოფობდა, დათანხმებოდა თუ არა ამგვარ პატივს. მაგრამ, როგორც ჩანს, ცოტა ხანში კრისტიანო სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ ლეგენდებს გაუტოლდება. ინგლისში მან უკვე განიცადა აღმასვლაცა და დაცემაც. "ბოლტონთან" მატჩში წარმატებული დებიუტის ("იუნაიტედმა" 4:1 მოიგო) შემდეგ, კრისტიანომ პირველი გოლი გაიტანა "მილუოლთან" ასოციაციის თასზე შეხვედრაში, რომელიც "მენიუმ" ასევე მოიგო, ამჯერად 3:0. ამას დიდი აღიარება მოჰყვა. რონალდო წლის საუკეთესო საკლუბო ფეხბურთელად მიიჩნიეს.

*"ის საუცხოო ნიჭის პატრონია. ადრე თუ გვიან, მას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებენ,"* - **ლუიშ ფიგუ**.

*"მოწინააღმდეგე ცდილობს, მას თავი აარიდოს. სასიამოვნოა მის გვერდით თამაში,"* - **პატრის ევრა**, "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი.

ევრო 2004-ზე საბერძნეთის ნაკრებთან მასპინძელი პორტუგალიის მარცხმა რონალდოზე ძალიან იმოქმედა. ეს ფინალურ შეხვედრაში მოხდა (ბერძნებმა პორტუგალიას გახსნით მატჩშიც მოუგეს). ამის შემდეგ, ფეხბურთელს ძალების ხელახლა მოკრებისთვის დიდი დრო დასჭირდა...

მერე თავს ტრაგედიაც დაატყდა, როცა 2005 წლის ოქტომბერში, მამამისი სიმსივნით გარდაიცვალა რუსეთთან მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩამდე ცოტა ხნით ადრე. რონალდომ კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალები და ეს მატჩი მაინც ითამაშა. *"მამაჩემის გარდაცვალებამ ყველაფერზე იმოქმედა. ვიცი, რომ ტკივილი გაქრება და სწორედ ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი ჩემთვის და ჩემი საქმის გასაგრძელებლად,"* - თქვა ფეხბურთელმა, რომლის 52 წლის დედამ, **დოლორეს ავეირამ**, მზარეულმა და დამლაგებელმა. ესეც მისი სიტყვებია: *"დინისმა ლოთობით საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი, რამაც კრისტიანო ძალიან დაამწუხრა. დრო და დრო, კრისტიანო ცდილობდა, დახმარებოდა მას მკურნალობისთვის საჭირო თანხით, მაგრამ დინისი სმას ვერ ეშვებოდა. რაც ჩვენს ოჯახს დაემართა, რონალდო მას არასდროს გაიმეორებს, რადგან მავნე ჩვევები არ ახასიათებს. არ ეწევა, არ სვამს... ის ფეხბურთს აღმერთებს".*

## ახალი ჯორჯ ბესტი

ახლახან, რონალდომ "მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ანაზღაურების სახით მას კვირაში 120 ათასი გირვანქა დაუნიშნეს, რისი წყალობითაც კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა. მან იცის, რომ ოჯახს აღარ უჭირს და ახლა, ლამაზ მადეირაზე, ლივრამენტუს ოლქში, ფეშენებელური საცხოვრებლის შეძენაც შეიძლება. დედა რეგულარულად მოგზაურობს მადეირადან ჩეშირში, კრისტიანოს. მისი ერთი და, კატია, მღერის და "რონალდას" მეტსახელითაა ცნობილი. მეორე და კი, ელმა, ფუნშალში სამოდელო სახლის მფლობელია და ამ სახლს ჰქვია CR7, ხოლო ძმა, უგო, რონალდოს პირადი ექიმი გახლავთ.

ქველმოქმედი სულის პატრონი რონალდო ორი წლის წინათ ინდონეზიაში ჩავიდა, რათა ცუნამისგან დაზიანებული ადგილები ენახა. ჯაკარტაში კი საკუთარი სპორტული უნიფორმის აუქციონიც კი მოაწყო და აქედან მიღებული 66 ათასი გირვანქა დაზარალებულთა ფონდში გადარიცხა.

რონალდოსთვის, მოედანზე მედგარი წინააღმდეგობა უცხო ხილი არ არის. უხეშობასაც ვერ იტანს, მით უმეტეს, თუ ეს თანაგუნდელისგან მოდის. ერთხელ, წვრთნის დროს, მაშინ ჯერ კიდევ მანჩესტერელ **რუუდ ვან ნისტელროისთან** მოუვიდა კონფლიქტი. კრისტიანომ თავი ვერ შეიკავა, რასაც სადისციპლინო სანქციები მოჰყვა. ხშირად, კრისტიანოს სიმულაციაშიც ადანაშაულებენ, თუმცა მის ქცევაში პოზიციური მხარე უფრო ჭარბობს. ამბობენ, რონალდომ ინგლისური ფეხბურთი გამოაცოცხლაო...

*"მას ბურთი ფეხზე აქვს მიწებებული და ადგილიდან ისეთ სიჩქარეს ავითარებს, როგორც ვალენტინო როსი (მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მოტორბოლაში). მომეცით სპეციალური ძრავი და დავეწევი,"* - განაცხადა "რომას" მცველმა და **კრისტიან პანუჩიმ**, "ოლდ ტრეფორდზე" რონალდოსა და კომპანიასთან სამარცხვინო (1:7) ნაგების შემდეგ. სერ ბობი ჩარლტონი, რომელმაც ჩემპიონთა თასი 1968 წელს მოიგო, ორი წლით ადრე კი მსოფლიო ჩემპიონატიც, ამტკიცებს, რომ: *"რონალდოს შეუძლია, "მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის უდიდეს ფეხბურთელად იქცეს. მომავალი 10 წლის განმავლობაში, რონალდოს პოტენციალი მის სიდიადეს შეუწყობს ხელს. მას აქვს თამაშის შექმნის უნარი, სითამამე. ხშირად ცვლის ტემპს და მიზანსაც უმრავლეს შემთხვევაში აღწევს. ყველაფერს უცებ ითვისებს. ის ფენომენალურად დიდი ფეხბურთელია".*

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, რონალდო "იუნაიტედის" ლეგენდამ **ჯორჯ ბესტმაც** შეაფასა: *"მახსოვს, რამდენიმე ფეხბურთელს ახალ ჯორჯ ბესტს უწოდებდნენ, მაგრამ როცა კრისტიანო რონალდოს ვუყურებ, მხოლოდ ახლა ვგრძნობ ქათინაურის სიზუსტესა და მნიშვნელობას".*

**დავით ჩუბინიძე**

FIFA magazine-ს მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ოლიმპიური ფონდის 2007 წლის პირველი ნახევრის საქმიანობის ანგარიში

მიმდინარე წლის ექვს თვეში საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ ოლიმპიური და სხვა მიზნობრივი პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისათვის დახარჯულია 1.113.527 ლარი.

1. საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრთა, მწვრთნელთა, ვეტერან ოლიმპიელთა და სპორტულ ჟურნალისტთა ყოველთვიური სტიპენდიები და დახმარებები (სულ 110 კაცი) - 264 000 ლარი;

2. პროგრამა "პეკინი 2008" (ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრთა საწვრთნელი შეკრებები, ევროპის ჩემპიონატებში და სხვა ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა, სამედიცინო უზრუნველყოფა და სხვა) - 503 701 ლარი;

მათ შორის, ფედერაციების მიხედვით:

ძიუდოს ფედერაცია - 121 328 ლარი;
ჭიდაობის ფედერაცია - 158 793 ლარი;
სროლის ფედერაცია - 43 688 ლარი;
ტანვარჯიშის ფედერაცია - 6 847 ლარი;
ფრენბურთის ფედერაცია - 80 000 ლარი;
ძალოსნობის ფედრეაცია - 15 000 ლარი;
მშვილდოსნობის ფედერაცია - 3 000 ლარი;
მძლეოსნობის ფედერაცია - 25 000 ლარი.

- **ზაფხულის XXIX** (პეკინი 2008) ოლიმპიური თამაშების პერიოდში საცხოვრებლის წინასწარი გადასახადი - 34 045 ლარი;
- საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრთა სამედიცინო და ფარმაკოლოგიური უზრუნველყოფის ნაწილობრივი დაფინანსება - 10 000 ლარი;
- სეოკ-ის დაკვეთით ტელეკომპანია "იმედის" სპეციალური პროგრამის "ოლიმპიური ინტერიერის" დაფინანსება - 6 000 ლარი;

3. სხვა მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად სულ დახარჯულია - 232 062 ლარი;

მათ შორის:

- პროგრამა "ბელგრადი 2007" (ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი) - 76 000 ლარი;
- პროგრამა "ჰაკა 2007" (ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი) - 35 262 ლარი;
- ნილობრივი ფინანსური მონაწილეობა გაზეთ "ლელოს" ოლიმპიურ პროექტებში - 68 500 ლარი;
- სეოკ-ის ემბლემით დასაჯილდოებელი ატრიბუტიკის დამზადება - 22 300 ლარი;
- პროექტი "ოცდაათი ჩემპიონი, ოცდაათი პორტრეტი" ეტაპობრივი დაფინანსება - 25 000 ლარი;
- საქართველოს სპორტსმენების მსოფლიო "მაქაბიადაში" მონაწილეობის ნაწილობრივი დაფინანსება - 5 000 ლარი;

4. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ოლიმპიური ფონდის ოფისების ფუნქციონირების ხარჯები - 103 209 ლარი;

5. სხვა ხარჯები - 10 555 ლარი.

## გმადლობთ!

ამ პატარა სამადლობელო წერილს ხელს ვაწერთ ვეტერანი სპორტული ჟურნალისტები, ის ხალხი, ვინც მთელი ცხოვრება სპორტის სამსახურში გავლიეთ. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ვცდილობთ მწყობრში დავრჩეთ და შეძლებისდაგვარად კვლავ ვაკეთოთ ჩვენი საქმე — უანგაროდ და პასუხისმგებლობის გრძნობით. საბედნიეროდ, ქართულ სპორტში ჯერ კიდევ მოღვაწეობენ გულისხმიერი და ქველმოქმედი ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით სპორტული ჟურნალისტიკის და, კონკრეტულად, იმ საქმის მნიშვნელობა, რასაც ჩვენი პროფესიის ხალხი სპორტისთვის აკეთებს. ასეთ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი უპირველესია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილი. სწორედ ბატონი ბადრის მოწადინებით და ფინანსური მხარდაჭერით უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა ათეულობით სპორტული წიგნისა თუ ალმანახის გამოცემა, არაერთი საინტერესო მედია-პროექტის განხორციელება.

ოლიმპიურმა ფონდმა უშუალოდ ჩვენ, ვეტერანი სპორტული ჟურნალისტებიც არ დაგვივიწყა — ახლახანს დაგვენიშნა ყოველთვიური პენსია. ეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და დროული მხარდაჭერაც არის და ქართულ სპორტში შეტანილი ჩვენი მოკრძალებული წვლილის დაფასებაც.

დიდი მადლობა ასეთი გულისხმიერებისთვის.

თამილა კახიძე, გარუნ აკოფოვი, თენგიზ გიორგაძე, ჯიმშერ ენუქიძე, დიმიტრი მჭედლიძე, ბორის შახნაზაროვი, შალვა ქირია, უშანგი ჭიჭინაძე.

## თარიღი

**ცხოვრებოვი ანდრო.** დაიბადა 02.07.1939, მსხლები, ჯავა. თავისუფალი ჭიდაობა (87 და 90 კგ). ევროპის ჩემპიონი (1968) და მესამე პრიზიორი (1966); სსრკ ჩემპიონი (1968), ორგზის მეორე (1969, 70) და ორგზის მესამე (1965, 66) პრიზიორი; სსრკ ხალხთა IV სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1967); თბილისის საერთაშორისო ტურნირში ხუთგზის გამარჯვებული (1964-68). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

**ზვიადაური ზურაბ.** დაიბადა 02.07.1981, ახმეტა. ძიუდო (90 კგ). პირველი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით (2004, ათენი). მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (2001, 03), ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ (2002, 03) და მესამე პრიზიორი პირად შეჯიბრებაში (2002), მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში (2002), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (2000), მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების მეორე პრიზიორი (1998). ღირსების ორდენის კავალერი.

**მირიანაშვილი შოთა.** დაიბადა 02.07.1936, ახალსოფელი, ყვარელი. ალპინიზმი. სსრკ ჩემპიონი ტრავერსების კლასში (1976, სულრანის დიდი ნალი), სამგზის მეორე (1960, 75, 77) და სამგზის მესამე (1965, 69, 73) პრიზიორი სასიმაღლო, კლდოვან და ტექნიკურ კლასებში. თსუ-ს გ. ნიკოლაძის სახ. ალპური კლუბის პრეზიდენტი (1956-იდან), საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი (2000-იდან). ხელმძღვანელობდა ასზე მეტ ალპინიადას და სპორტულ-საკვალიფიკაციო შეკრებას. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

### შავი ზღვის თამაშები 2007

# ზედმეტი ნდობა საქმესა...

## ჰერბერტ ცანკერმა ნაკრები მიატოვა

თათია ბურდული
თენგიზ გაჩეჩილაძე

ტრაბზონიდან


ბათუმი. დელეგაციას მიესალმა გიორგი გაბაშვილი

ქართული სპორტის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი ქვეყნიდან საერთაშორისო კომპლექსურ ასპარეზობაში მონაწილეობისთვის 180-კაციანი სპორტული დელეგაცია გაემგზავრა. შაბათს, თბილისიდან თურქეთის ქალაქ ტრაბზონისკენ ოთხი კომფორტული ავტობუსი დაიძრა. მოგეხსენებათ, 2-8 ივლისს ტრაბზონში "შავი ზღვის თამაშები 2007" ჩატარდება. ეს არის დიდი ხნის წინანდელი ჩანაფიქრის ხორცშესხმა. აქვე ვიტყვით, რომ იდეა დაიბადა თბილისში, ჯერ კიდევ 1990 წელს, როცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ახალშექმნილი იყო. ეს სეოკ-ის მაშინდელ ოქმებშიცაა დაფიქსირებული...

...ბათუმში, ცენტრალურ მოედანზე, ჩვენს დელეგაციას დახვდნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **გიორგი გაბაშვილი**, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი, პარლამენტარი **დავით კირკიტაძე**, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი **კახა გენაძე**, აგრეთვე აჭარის სპორტის ხელმძღვანელები. სპორტსმენებსა და მწვრთნელებს მიესალმნენ გაბაშვილი და კირკიტაძე. ამ უკანასკნელმა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, ლეგენდარულ ფალავანს, ოლიმპიურ და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონს **დავით გობეჯიშვილს** ეროვნული დროშა ჩააბარა. *"იმედია, ჩვენი სპორტსმენების გამარჯვების ალსანიშნავად, ეს დროშა თამაშების დღეებში არაერთხელ აღიმართება "* - თქვა კირკიტაძემ. გობეჯიშვილმა კი, იქვე, ოვაციის თანხლებით, დროშა თავისუფალ ჭიდაობაში ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ **გიორგი ჩიტაშვილს** გადასცა, რომელიც ჩვენს დელეგაციას ალლუმზე წაუძღვება. დელეგაციამ, რომელსაც თან ახლავან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, მისი მოადგილე **გია გალდავა** და სპორტის სამმართველოს უფროსი **ირაკლი სამყურაშვილი**, გზა განაგრძო და საღამოს 9 საათზე უკვე ტრაბზონში იყო. აქვე ვიტყვით, რომ თურქები ძლიერ ცდილობენ, თამაშები მაღალ დონეზე ჩაატარონ, შერჩეული აქვთ ოლიმპიური თამაშების მოდელი, მაგრამ... სტუმრების მიღება-დაბინავების პროცესი ნამდვილად ვერ არის სათანადოდ ორგანიზებული. პირველი შთაბეჭდილებით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით, მასპინძელთა ძალისხმევა და რეალობა ერთმანეთისგან შორს დგანან. მოხალისეთა უმრავლესობა, როგორც ჩანს, ახლა იძენს გამოცდილებას. ისინი დაბნეულები ჩანან და თან ზედმეტადაც ფუსფუსებენ. უნებლიედ გაგვახსენდა დიდი დავით გურამიშვილი: "ზედმეტი ნდომა საქმესა, წაახდენს, გააცუდებსა". წამბაძველობას, გარდა სურვილისა, ბევრი რამ სჭირდება...


ტრაბზონი. სასტუმროს ეზოში საქართველოს დროშაც ფრიალებს

ამდენ გაუგებრობაში, ჩვენი დელეგაცია, რომელსაც შორი გზა ჰქონა გამოვლილი, კიდევ უფრო დაიქანცა. გამანაწილებელი შტაბიდან გამოსულებს, ახალი ქაოსი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში გველოდა. აქ დაგვაბინავეს. გარეგნულად არაფერი უშავს, თვალმისაზიდი ნაგებობაა, ეზოც კარგი აქვს, მაგრამ... სასტუმროდ, თანაც ასეთი დონის ასპარეზობისთვის, ყოვლად გამოუსადეგარია. ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა დიდ ასპარეზობებზეც საერთო საცხოვრებლებს სასტუმროდ კი იყენებენ, მაგრამ იქ პირობებიც შესაფერისია. აქ კი, ვაგონის კუპის მსგავს ვიწრო ოთახში არათუ წესიერად ვერ მოისვენებ, ვერც კი მოტრიალდები. საწოლები ორსართულიანია, ოთხადგილიანი. არც ტელეფონი, არც ტელევიზორი და მაცივარი, არც სასტუმროსთვის აუცილებელი სხვა ატრიბუტიკა,


ტრაბზონი. სასტუმროს ოთახი თუ ციხის საკანი?

სველი წერტილები კი საერთოა, დერეფნებში... ღამით კოლოები და ხმაური არ გვასვენებს. შეღებილი კედლების, დეზინფექციისა და საწოლის ერთმანეთში არეულ "სურნელოვან თაიგულზე" ალარაფერს ვამბობთ. როგორც გვითხრეს, ეს ქვეყანა, მომავალში ევროპის ახალგაზრდული სპორტული ფესტივალის მასპინძლობას აპირებს და ახლანდელი თამაშები თავისებური გამოცდა-განაცხადიაო, გვითხრეს. ეჰ, ამაზე იტყვიან - ნეტარ არიან მორწმუნენიო...

შეგახსენებთ, რომ ტრაბზონში ისასპარეზებენ ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საბერძნეთის, საქართველოს, სომხეთის, სერბეთის, მოლდოვის, რუსეთის, რუმინეთის, უკრაინისა და თავად მასპინძელი თურქეთის წარმომადგენლები. მონაწილეთა ასაკი ახალგაზრდულია. თამაშებს დიდ პერსპექტივას უწინასწარმეტყველებენ, მიიჩნევენ რა, რომ ეს კარგი სკოლა იქნება მომავალი ოლიმპიელებისთვის. პროგრამაშია: **მშვილდოსნობა, ცურვა, მძლეოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ველოსპორტი, ტაეკვონდო, ჭიდაობა (თავისუფალიცა და ანტიკურიც)**. ჩვენი სპორტსმენები თორმეტივე სახეობაში გამოვლენ.

დილით, 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჰერბერტ ცანკერი** მოვისაკლისეთ. დაბინავების დროს იგი აღშფოთებული იყო სასტუმროს პირობებით, სულ "ნულსა" და "კატასტროფას" გაიძახოდა - ეს რომ მცოდნოდა, გუნდს არ წამოვიყვანდი, მე წავალ, აქ ღამეს არ გავათევო, - იმუქრებოდა. როგორც ჩანს, გერმანელმა მუქარა შეასრულა, გუნდი მიატოვა და კომფორტულ სასტუმროში გადასახლდა. როცა ეს სტრიქონები იწერება, სადაცაა შუადღის 12 საათი მოატანს, ცანკერი კი არსად ჩანს.

კვირას, ნაშუადღევს, დავით ნამგალაურმა დელეგაციის საერთო შეკრება-თათბირი ჩაატარა, დაზუსტდა ორგანიზაციული საკითხები. სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით, ცანკერი არც ამ თათბირზე გამოჩენილა...

2 ივლისს, თამაშებში პირველები კალათბურთელები და ველოსიპედისტები ჩაერთვებიან. ამ დღესვე, აქაური დროით 19 საათზე, "შავი ზღვის თამაშები 2007" საზეიმოდ გაიხსნება...

საქართველო
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ინტერვიუ ტიტე კალანდაძესთან

# ასეთი ბრწყინვალე ღვინო გაქვთ და რატომ არსად არ იყიდებაო...

## როგორ შეაყვარეს ტიტემ და როლანდმა ისლანდიელებს საქართველო. ტიარნანი მესამე ქართველს უმიზნებს

ტიტე კალანდაძე თავისი მიღწევებით, უნიკალური ხელბურთელია. საკლუბო დონეზე მას ერთბაშად ოთხ ქვეყანაში მოუპოვებია ჩემპიონობა. საქართველოს, მაკედონიის, იტალიისა და თურქეთის შემდეგ, იგი ახლა ისლანდიაში ბურთაობს. კალანდაძე და ისლანდიის ნაკრების ქართველი მეკარე როლანდ ერაძე, ერთ კლუბში თამაშობენ, სადაც წლეულს ტიტეს სულ ცოტა დააკლდა მეხუთე ქვეყნის ჩემპიონობამდე.

**ტიტე კალანდაძე ამჟამად, თბილისშია და ტრავმას მკურნალობს. ვისარგებლეთ მისი თბილისური ვიზიტით და ვრცელი ინტერვიუ ჩამოვართვით. მრავლისმნახველი ხელბურთელი მრავალ საინტერესო საკითხზე ამომწურავად გვესაუბრა. თავდაპირველად, მისი ბოლოდროინდელი საკლუბო ამბებით დავინტერესდით.**

- ჩემი გუნდი, ქალაქ გარდაბაერის "ტიარნანია". საერთოდ, ისლანდიაში ქალაქები ერთმანეთზე მჭიდროდაა გადაბმული, რომლებიც დიდი უბნებივითაა. დაახლოებით ისეთი ვარიანტია, როგორც ვთქვათ, თბილისში საბურთალო, ვაკე, ვერა და ასე შემდეგ. თუმცა, იქ ყველა ასეთ "უბანს" ქალაქი ჰქვია, რომელსაც ჰყავს თავისი მერი. ბოლო ორი წლის განმავლობაში, "ტიარნანში" ვთამაშობთ მე და როლანდ ერაძე. სამწუხაროდ, წლეულს, ისლანდიის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. ფინალში "ვალურთან" წავაგეთ მინიმალური სხვაობით. ფინალი სხვა მხრივაც ცუდად დამამახსოვრდა – მატჩი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც წითელი ბარათი მივიღე და უჩემოდ, გუნდს გაუჭირდა. როლანდ ერაძემ, რაც შეეძლო, გააკეთა - არაერთი რთული ბურთი აილო, მაგრამ მარტო მეკარე ხომ ვერ მოიგებდა თამაშს, გოლის გამტანი არ გვყავდა. გუნდმა ბოლომდე კი იბრძოლა, მაგრამ... სამაგიეროდ, თავი იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ შარშანდელის მსგავსად, ისლანდიის თასი კვლავ ჩვენ დაგვრჩა. თასის ფინალში, წინა წლის ჩემპიონი "ფრამი" დავამარცხეთ ათბურთიანი სხვაობით, რომელიც წლეულს ჩემპიონთა ლიგაზე გამოდიოდა.

**- ფინალში იმსახურებდი წითელ ბარათს, თუ უსამართლოდ გაგაძევეს?**

- ნამდვილად არ ვიმსახურებდი. ვისაც ჩემი თამაშები უნახავს, დამეთანხმება, რომ მოედანზე საკმაოდ მშვიდი და კორექტული ვარ. იმ მომენტშიც ნაღდად არაფერი უსაშველო არ გამიკეთებია. თუმცა, მსაჯებმა რატომღაც გამაძევეს, რის მიზეზსაც დღემდე ვერ ვხვდები.

**- სეზონის განმავლობაში როგორი სტატისტიკა გქონდათ შენ და როლანდს?**

- ჩემი გატანილი ბურთები ზუსტად არ დამითვლია. დაახლოებით, მატჩში 7-დან 11 გოლამდე გამქონდა. როლანდმაც საკმაოდ ძლიერად ჩაატარა მთელი სეზონი. თუკი ჯანმრთელობა არ გვიშლის ხელს, "გარდაბაერისთვის" ორივე შეუცვლელი ხელბურთელი ვართ. ისე, ტრავმამ საკმაოდ ბევრი მატჩი გამომატოვებინა.

**- ტრავმას რამდენ ხანში მოიშუშებ საბოლოოდ?**

- რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმკურნალობ, პავლე კასრაძესთან. ის მუხლზე ხრტილის აღდგენის პროცესს მიტარებს ახლებური მეთოდით და ვიმედოვნებ, მალე მეშველება. როგორც ბატონმა პავლემ მითხრა, ორ თვეში უნდა გამოვჯანმრთელდე.

**- "ტიარნანთან" კიდევ რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს?**

- კონტრაქტი სეზონის ბოლოს ამომეწურა. ახლა ჩემი ბედი ექიმების ხელთაა. თუკი ისე გამოვჯანმრთელდები, რომ თამაში შემეძლება, "ტიარნანში" დაბრუნება პრობლემა არ იქნება. მხოლოდ მუხლია პრობლემა, თორემ მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომით 35 წლის გავხდები, ფიზიკურად ისე ვგრძნობ თავს, რომ კიდევ 4 წლით მაინც ვითამაშებ. ოთხზე რა გითხრა, მაგრამ ორი წლის შემდეგ, ალბათ დავასრულებ აქტიურ სპორტულ კარიერას. რაც შეეხება როლანდ ერაძეს, არც მას უნდა სხვაგან წასვლა, რადგან ჩემი არ იყოს, საკმაოდ ასაკოვანია და აქეთ-იქით სიარულის პერსპექტივა არ ხიბლავს. იგი ალბათ "ტიარნანში" დაასრულებს კარიერას. ბოლო ხანს, ისიც გააწვალა ტრავმებმა. წელი აწუხებს და ამის გამო, მხოლოდ კლუბზე ფიქრობს. ახლახან, ისლანდიის ნაკრებში უხმეს, მაგრამ დასვენება და ტრავმის მკურნალობა არჩია.

**- კარიერის დასრულება ახსენე და მერე რა გეგმები გაქვს, ისლანდიაში ხომ არ აპირებ ცხოვრებას?**

- არა, უცხოეთში დარჩენაზე საერთოდ არ მიფიქრია, თორემ რამდენიმე ქვეყანაში მითამაშია და აქამდე ნამდვილად მოვახერხებდი რამეს. ისლანდია კარგი ქვეყანაა, მაგრამ საქართველოს ვერაფერი შემიცვლის. ვიმედოვნებ, ქართული ხელბურთის სამყარო, აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგაც ისევე თბილად მიმიღებს, როგორც ახლა, ხელბურთელის ამპლუაში. და თუ ჩემს საყვარელ სახეობაში ვერ შევძელი ადგილის დამკვიდრება, კაცი მაგიტომ გქვია, რომ სხვებივით უნდა მიდგე-მოდგე, რამე საქმეს მოკიდო ხელი. აქამდე, სხვა საქმე არ მიცდია, მაგრამ მჯერა, ჩემს ქვეყანაში ხელბურთის გარეშეც არ დავიკარგები.

**- ისე, ისლანდიის ნაკრებშიც გიწვევდნენ...**

- ამაზე ლაპარაკი შარშანდელი სეზონის ბოლოს იყო, როდესაც ისლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ხელბურთელად დამასახელეს. იქაურ ნაკრებში მიწვევდნენ, მაგრამ სწორედ მაშინ მივიღე ტრავმა. დაშავებული ხელბურთელი კი არავის სჭირდება და ამის შემდეგ, აღარავინ დამკავშირებია ამ საკითხზე. ტრავმას კი გუნდის მთავარ მწვრთნელსა და ექიმებს ვაბრალებ. მწვრთნელმა არასწორი დატვირთვებით მაზარალა, ხოლო იქაურმა ექიმებმა - არაკომპეტენტურობით, რის სავალალო ნაყოფსაც ახლა ვიმკი. ის ტკივილები, რასაც ისლანდიელი მედიკოსები თვეების განმავლობაში ვერ მიყუჩებდნენ, პალიკო კასრაძემ ხუთ დღეში მომირჩინა... ახლა ძნელია იმის თქმა, ჯანმრთელად რომ ვყოფილიყავი, რა და როგორ იქნებოდა, ალბათ გააგრძელებდნენ მოლაპარაკებას, მაგრამ ისლანდიის ნაკრებში თამაშის სურვილი არც მქონია.



ტიტე კალანდაძე და როლანდ ერაძე

**- ისლანდიაში კიდევ ერთი ქართველი თამაშობს: თამარ არჩაია. მისი საქმეები როგორაა?**

- თამუნა "ტიარნანის" ქალთა კლუბში თამაშობდა, რომელიც წლეულს, ჩვენგან განსხვავებით, ისლანდიის ჩემპიონი გახდა. სეზონის დამთავრების შემდეგ, თამუნაც სამშობლოში წამოვიდა. კონტრაქტით, კიდევ ერთი წლით შეუძლია "ტიარნანში" დარჩენა, მაგრამ ალბათ აღარ დაბრუნდება – საქართველოში ყოფნა მირჩევნიაო.

**- თქვენს გუნდში კიდევ ხომ არ არის ქართველის გამოჩენა მოსალოდნელი?**

- არ დაგიმალავთ, რომ ამ საკითხზე ნამდვილად მიმდინარეობს მუშაობა. ჩემს გუნდს სურს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული ხელბურთელის აყვანა. თუმცა, წინასწარ ლაპარაკი არ მინდა და ახლა ამ ახალგაზრდის გვარს ვერ დავასახელებ. მოდი, ჯერ დასრულდეს მოლაპარაკება და მერე დასამალი აღარაფერი იქნება. ისე, საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ხელბურთელების კარგ უცხოურ კლუბებში გადასვლას მივესალმები, რადგან მაღალი კლასის ხელბურთელად ჩამოყალიბება ევროპაში უფრო ადვილია. ეს ჩვენს ხელბურთელებსაც წაადგებათ და ეროვნულ ნაკრებსაც.

**- ისლანდიელებს როგორი წარმოდგენა აქვთ საქართველოზე?**

- შესანიშნავი. ხელბურთელების გარდა, იქ სხვებიც არიან საქართველოდან წასულები, რომლებიც ძალიან გვქომაგობენ და მნიშვნელოვან მატჩებზე დარბაზში მოსვლაც არ ეზარებათ. მოკლედ, ჩვენ ერთი გუნდი ვართ (იცინის)! ჰო, მართლა, ისლანდიაში ოჯახით ცხოვრობს კიდევ ერთი ქართველი ხელბურთელი ქალი, ალა ბოკორიანი, რომელიც ჩემი ასაკისაა და წლეულს დაასრულა ხელბურთელის კარიერა. შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ისლანდიაში ქართველები სამაგალითოები ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წლების განმავლობაში წამოსულია სამშობლოდან, ქართულ დროშას არ იშორებენ, ქართველობენ და საკუთარი სამშობლოთი ამაყობენ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ხელბურთში ოდნავ მაინც ჩახედულ იქაურებს, ჩვენი ქვეყანა რომ უხსენო, პირველ რიგში, მე და როლანდ ერაძე ვახსენდებით. მოედანზეც და მოედანს მიღმაც, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მათ საქართველოზე ლადებითი წარმოდგენა შევუქმნათ და ასეცაა. სამწუხაროდ, აქედან ორ ბოთლ ღვინოზე მეტის გატანის უფლება არ გვაქვს, მაგრამ რაც მიგვაქვს, ისლანდიელებს ვასინჯებთ ხოლმე, რომლებიც აღფრთოვანებულები რჩებიან. გარბიან მაღაზიებში და მაშინვე ქართულ ღვინოს კითხულობენ. მერე, ზოგი გულდაწყვეტილი გვეუბნება ხოლმე - რატომ არ იყიდება არსად ასეთი ბრწყინვალე ღვინოო. ვეუბნებით, რომ პატარა ქვეყანა ვართ, ეკონომიკურად ახლა ვდგებით ფეხზე და მალე ჩვენი ღვინო ყველგან იქნება. თავის მხრივ, ისლანდიელები გვეუბნებიან, რომ ჩვენს ქვეყანაზე დადებითი აზრის არიან და საქართველოში სიამოვნებით ჩამოვიდოდნენ... ისე, თუკი კაცს დასვენება გინდა, ისლანდიაში უნდა წახვიდე. ზამთარში უსაშველო ყინვები არაა, ზაფხულშიც გრილა და ეკოლოგიურადაც ძალიან სუფთაა. ორი წელიწადია იქ ვარ და ერთი ქარხნის მეტი ვერ ვნახე. ის ალუმინის მწარმოებელი ქარხანაც რომ ვნახე, თავიდან ვერ მივხვდი რა იყო – განკრიალებული შენობიდან, ბოლი არსაიდან ამოდიოდა და გამიკვირდა, რანაირი ქარხანაა-მეთქი. ისლანდიელების ძირითადი შემოსავალი თევზჭერაა, ძირითადად იმპორტზე არიან დამოკიდებულები, მაგრამ ეკონომიკურად საკმაოდ წელგამართული ქვეყანაა. ამას გარდა, იქ კრიმინალური მოვლენები, ფაქტობრივად, არ ხდება.

**- საქართველოს ნაკრებზე გადავიდეთ. შემოდგომით, ჩვენი ნაკრები "ჩელენჯ ტროფიზე" თამაშს აპირებს. მოახერხებ იმ დროისთვის ჩამოსვლას?**

- თუ ჯანმრთელად ვიქნები, აუცილებლად ვითამაშებ. ამაზე უკვე ველაპარაკე საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობას. დიდი იმედი მაქვს, რომ "ჩელენჯ ტროფს" მივიგებთ. ეს აუცილებელია, რადგან გუნდის უმეტესობა ახალგაზრდაა და საკუთარი თავის რწმენისთვის, ძალიან სჭირდებათ გამარჯვებები. ამასთან, ეროვნული ნაკრების წევრები შევიკრიბებით და შევთამაშდებით, რაც მუდამ გვაკლია. აგერ, იანვარშიც ვერ მოვახერხეთ რამდენიმე მოთამაშემ ჩამოსვლა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ამაზე ძალიან მწყდება გული. მე, სერგო დათუკიშვილი და გარი თურქია რომ ვყოფილიყავით, მჯერა, მინიმუმ, ჯგუფიდან გავიდოდით. ხოლო ის შედეგი, რაც განახევრებულმა, სახელდახელოდ შეკრებილმა და დიდი ხნის უთამაშებელმა გუნდმა აჩვენა, ალბათ კანონზომიერება იყო. ჩვენგან განსხვავებით, მეტოქეებს არც შეკრების პრობლემა აქვს და არც შეთამაშებისა თუ საკონტროლო მატჩების. სანამ ქართულ ხელბურთს მეტ-ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ეროვნული ნაკრებიც კარგი გვყავდა და შედეგებსაც ვაღწევდით. თუმცა, მერე ყველაფერი გაქრა, ეროვნული ნაკრებიც დიდი ხნით აღარ არსებობდა. იმ დროს, როცა ჩვენ ერთ ადგილზე ვიყავით გაყინული, ევროპა წინ მიდიოდა. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ რაც შეიძლება, მალე ავინაზღაუროთ დანაკლისი. უსაშველო არაფერია, ქართველი კაცის გენში ხელბურთი დევს და გვყავს კარგი ახალგაზრდები. უბრალოდ, ამ სახეობას სერიოზული ყურადღება, ჯიგრით მოპყრობა სჭირდება.

**- დასასრულ, რას ურჩევდი ისლანდიური ხელბურთის მაგალითზე ქართული ხელბურთის სამყაროს?**

- ჩვენს ქვეყანასა და ისლანდიას შორის, პარალელებს თუ გავავლებთ, უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია სხვაობა ხელბურთის მასობრიობას შორის. საქართველოსგან განსხვავებით, ისლანდია წმინდა სახელბურთო ქვეყანაა. იქ სულ რაღაც 250 000-კაციანი მოსახლეობაა, მაგრამ ფაქტობრივად, ყველა თამაშობს ხელბურთს. 5-6 წლის ბავშვები უკვე სპორტის ამ სახეობით კავდებიან, როცა ჩვენთან ბევრმა 14-15 წლის მოზარდმა საერთოდ არ იცის, რა არის ხელბურთი. ვერ ვიტყვი, რომ ისლანდიელებს ძალიან ძლიერი ხელბურთის სკოლა აქვთ, მაგრამ სწორედ ამ მასობრიობითა და ნიჭით აღწევენ წარმატებას. ამასთან, არც ფინანსური პრობლემები აწუხებთ. ნიჭი ჩვენც გვაქვს, მაგრამ უფულობასთან ერთად, სწორედ მასობრიობა გვაკლია ყველაზე მეტად. რაც შეეხება ისლანდიის ეროვნულ ჩემპიონატს, იგი პროფესიული არაა და შესაბამისად, იქ დიდი ფული არ ტრიალებს. უბრალოდ, ქალაქების ხელმძღვანელობა ინახავს გუნდებსა და დარბაზებს. უშუალოდ ხელბურთელებიდან კი ბევრს პირადი სპონსორი ჰყავს. სხვათა შორის, ისლანდიაში რომ ჩავედი, მეც გამომიჩნდა ასეთი სპონსორი, რომელსაც მოვეწონე და ჩემს კლუბს შეუთანხმდა, რომ ფინანსურ საკითხებს მომიგვარებდა.

**კობა ხატისაშვილი**

ძიუდო

# იგივე შედეგით...

ახალგაზრდა "ანტიკოსებმაც" ზუსტად იგივე შედეგით დაასრულეს ბელგრადში ჩატარებული ევროპირველობა, როგორითაც "თავისუფლებმა" - ყულაბაშია ბრინჯაოს ორი მედალი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ "ანტიკოსებმა" ორივე მედალი ერთ დღეს, შაბათს მოიპოვეს, გუშინ კი სასტიკად მოეცარათ ხელი. პრიზიორები **ლაშა გოგიტაძე** (55) და **სერგო ნინუა** (84) გახდნენ. ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ "თავისუფლებში" იგივე სინჯის მედლები **გოჩა ლომთათიძემ** (74) და **ბექა ჭელიძემ** (84) მოიპოვეს.

**ვლადიმერ ადეიშვილის** გუნდს პირველი მედალი გოგიტაძემ მოუტანა, რომელიც აქამდე, ძირითადად, 50 კგში ჭიდაობდა, მაგრამ მისთვის უცხო არც 55-ია. ამ წონაში ის საქართველოს პრიზიორიცაა, თუმცა ეს მისთვის ჯერ ახალია და ადაპტაცია სჭირდება. გოგიტაძეს გამოცდილება ნამდვილად არ აკლია, თუმცა ბრინჯაოზე მაღლა ვერც ამჯერად ახტა. ნაკრების მწვრთნელები მას ნელ-ნელა აჩვევენ უფროსებში ჭიდაობას და ასაკის კვალობაზე, არცთუ ურიგოდ გამოდის, ახალგაზრდებში კი, შარშან, ევროპაზეც ბრინჯაო მოიპოვა და მსოფლიოზეც, ოღონდ ორივეგან 50-ში იჭიდავა. იმედია, ლაშა მისთვის აქამდე დაუძლეველ ბრინჯაოს ზღვარს მსოფლიოზე მაინც დაძლევს.

გოგიტაძე ფინალში რუმინელი **ვირგილ მუნტეანუსა** და უკრაინელი **მაქსიმ ბორისენკოს** ძლევით იოლად გავიდა, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონთან, უნგრელ **პეტერ მოდოსთან** ვერაფერი გააწყო. "სანუგეშოში" ის პირდაპირ ფინალიდან ჩაერთო და ხორვატ **ბორის ბანიჩეკთან** ბრძოლაში ბრინჯაოს მოპოვება დიდად არ გასჭირვებია.

ოდნავ მოგვიანებით, ქართული გუნდის ყულაბაში მეორე და ბოლო მედალი **სერგო ნინუამ** ჩააგდო. ოქროსთვის ბრძოლას ისიც ნახევარფინალიდან გამოეთიშა, მაგრამ იქამდე მისასვლელად გოგიტაძეზე ერთი წრით მეტი გაიარა. ნინუა ჯერ არაა გოგიტაძესავით გამოცდილი, განსაკუთრებული მონაცემებითა თუ მიღწევებით არც ჭაბუკობისას გამოირჩეოდა და სპეციალისტთა ფართო წრის ყურადღება უფრო ახალგაზრდებში გადანაცვლების შემდეგ მოიპოვა. ქვეყნის მასშტაბით, ნინუა უფროსებში ჯერ ამინდს ვერ ქმნის, თუმცა სადღეისოდ ეს არც მოეთხოვება. სამაგიეროდ, ახალგაზრდულ ნაკრებში მყარად მოიკიდა ფეხი და უცხოურ ტურნირებშიც სისტემატურად გამოდის. ევროპირველობაზე მისი დებიუტი შარშან, უნგრულ სომბათჰეიში შედგა, სადაც მეცხრე ადგილი დაიკავა, წლეულს კი დიდი პროგრესი განიცადა - ბრინჯაო მოიპოვა. საერთოდ, პროგრესი მისი კარიერისთვის თანამდევი გახდა, რაც ნამდვილად კარგი ფაქტია. იმედი ვიქონიოთ, რომ გეგმაზომიერი ზრდა არც მომავალში შეწყდება.

ნახევარფინალამდე ნინუამ ლატვიელი **მიჰაილს ბოგდანოვსი**, შვედი **სტეფან შონ კარლ ფრედრიკსი** და უნგრელი **რიშარდ დაჯკა** გამოთიშა ტურნირს. აქ მასაც მომავალ ჩემპიონთან, რუს **ალან ხუგაევთან** დაუცდა ფეხი, "სანუგეშოს" ფინალში კი სერბი **დეიან ფრანკოვიჩი** დაამარცხა. სამწუხაროდ, დარჩენილი 6 ქართველიდან პირველი წრე მხოლოდ **გურამ კვერღელიძემ** (66) და **გიორგი ჭუმბაშვილმა** (74) გაიარეს. ეს იყო და ეს.

ევროპის მოვილიეთ და, ახლა რიგში მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობაა, რომელიც 21 აგვისტოს პეკინში დაიწყება. სავარაუდოდ, იქ ჩვენი გუნდები, ძირითადად, იმავე შემადგენლობებით წავლენ, რომლებითაც ბელგრადში იჭიდავეს, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ წონებში ცვლილებები აუცილებლად იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ეროვნული ნაკრები. დღეს შეკრება იწყება

# კანადელი და აქაურები

გუშინ, გვიან ღამით, თბილისში **გორდონ ჰერბერტი** ჩამოვიდა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ, ის პირველად დააკვირდება ადგილობრივ კალათბურთელებს და მათგან საუკეთესოებს საკუთარი გემოვნებით შეარჩევს. კი, მაგრამ აქამდე არ აკვირდებოდაო? - იკითხავს მავანი. საქმე ისაა, რომ 2005 და 2006 წლების ზაფხულში ჰერბერტს 13-14 კაციანი შემადგენლობა არჩეული ხვდებოდა...

წელს კი საქმე, უკეთესადაა: ივლისის პირველივე დღეს მისტერ გორდონი საქართველოში იმიტომ ჩამოვიდა, რომ ადგილობრივი ჩემპიონატის 12 მოთამაშიდან ეროვნულში მისთვის გამოსადეგი 5-6 კალათბურთელ თავად შეარჩიოს. ეს მოხდება ერთკვირიან შეკრებაზე, რომელიც დღეს დაიწყება. ნაკრების წევრთა სრული მობილიზაცია კი 18 ივლისსაა დაგეგმილი. ამ კვირაში თავგამოჩენილები ლეგიონერებს დაემატებიან და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირისთვის (23-25 ივლისი) მზადებას შეუდგებიან.

ზემოთ ადგილობრივების შეკრება ვახსენეთ. აქ კი დავამატებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის 12 კალათბურთელის გვერდით, ორი ისეთი ლეგიონერიც იქნება, რომელთაც დასამტკიცებელი აქვთ, რომ ეროვნული გუნდის მაისურას იმსახურებენ - **დავით საყვარელიძე** (ნაზარინის კოლეჯი, აშშ) და **სერგო ათუაშვილი** ("ნეპტუნასთან" ერთად წელს ლიტვაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა).

ასევე დავძენთ, რომ თორმეტეულიდან სამი კალათბურთელი ამ კვირას დანარჩენებთან ვერ ივარჯიშებს. **რეზო დიდია** (აზოტი), **გიორგი შერმადინი** (მაკაბი) და **მიხეილ ბერიშვილი** (თსუ) ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან და 4 ივლისს ევროპის ჩემპიონატისთვის სლოვენიაში უნდა გაფრინდნენ. 20-წლამდელთა მწვრთნელ **დავით უსტიაშვილის** თქმით, ევრო 2007-ზე წარჩინებულნი პირველ გუნდში აუცილებლად მოხვდებიან.

ასე და ამგვარად, ჩამოსათვლელად ადგილობრივი 9 კაცი დაგვრჩა: **შიო ხეცურიანი** (თსუ), **ბესიკ ლეჟავა** (თსუ), **გიორგი მარკოიშვილი** (აზოტი), **კოტე ტულუში** (აზოტი), **ლაშა გამყრელიძე** (აზოტი), **ანატოლი ბოისა** (აზოტი), **დავით უგრეხელიძე** (აზოტი), **ზვიად ბაბიაშვილი** (ავიამშენი), **ირაკლი ხოშტარია** (ავიამშენი).

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი დღეს შეკრებაზე რამდენიმე ლეგიონერსაც ვიხილავთ. **გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი** და **ვახტანგ ნაცვლიშვილი** თბილისში არიან და აქამდე ინდივიდუალურად ემზადებოდნენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი ევროპის ნაკრებში

# ბოისას 4 და 11 ვარსკვლავი

| საბერძნეთი-ევროპა | 101:95 |
|---|---|

22:19, 36:24, 23:22, 20:25

საბერძნეთი: ჰაცივრეტასი (10), კაკიუზისი (4), ფოცისი (20), პაპადოპულოსი (4), პაპალუკასი (14), სპანულისი (6), ზისისი (10), ცარცარისი (9), დიკუდისი (4), ვასილოპულოსი (4), ბურუსისი (16), დიამანტიდისი.

ევროპა: პოპოვიჩი (2), ბეჩიროვიჩი (6), ქუთლუაი (10), დე მიგელი (5), ვუიჩიჩი (8), **ბოისა** (4), ვოიჩიკი (10), სავრასენკო (5), პეჩილე (6), როლერი (4), ფრიძონი (9), გრაფსი (5), ჰაგაგი (2), ვან დენ შპიგელი (14).

შაბათს, ქართული კალათბურთისთვის უპრეცედენტო რამ მოხდა: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, **ვლადიმერ ბოისა** პირველი ქართველია, ვინც ევროპის ნაკრებში ითამაშა. ევროპელ ვარსკვლავებთან ერთად, ვოვა კონტინენტის ჩემპიონ საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ ათენის ოლიმპიურ არენაზე გამოვიდა და მასპინძლებთან 95:101 დამარცხდა. ელინთა გამარჯვება გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან მათ წლების განმავლობაში შეკრული ნაკრები ჰყავთ, ხოლო ევროვარსკვლავები მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** (სერბეთი) მხოლოდ მატჩის წინა დღეს შეკრიბა.

შეხვედრის მეორე ათწუთეულში მასპინძლებმა 15-ქულიანი ფორა მოიპოვეს და საფინალო სირენამდე მშვიდად მიიყვანეს საქმე. ბერძნული წყაროების ცნობით, კალათბურთელები ყოველი შეტევისას ცდილობდნენ, მაყურებელზე ეთამაშათ, რაც ყველაზე კარგად ბერძენ **ფოცისს** გამოუვიდა. მან შეხვედრა 20 ქულით დაასრულა. ჩვენი ბოისა კი მოედანზე პირველივე პერიოდში გამოჩნდა და მხოლოდ 4 ქულის მოგროვება მოახერხა. ათით მეტი მოახერხა ცსკა-ს მცველმა **თეოდორას პაპალუკასმა** (14 ქულა), რომელსაც შეხვედრის შემდეგ სეზონის საუკეთესო ევროპელისთვის განკუთვნილი ჯილდო გადაეცა.

დარბაზში შეკრებილ 10 ათას მაყურებელს შორის საპატიო ადგილი ეკავათ კალათბურთის ლეგენდებს - მასპინძელ **იანაკისს** (1987 წლის ევროპის ჩემპიონი), **სერგეი ბელოვს, ვლადიმირ ტკაჩენკოს, ანტონელო რივასა** და **დეიან ბოდიროგას** (კარიერა წლეულს დაასრულა).

ბოლოსთვის მკითხველის ყურადღებას ერთ საინტერესო დამთხვევაზე გავამახვილებთ: საბერძნეთის ნაკრებმა ბოისას თანაგუნდელები სწორედ იმ ანგარიშით დაამარცხა, როგორითაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ს "ოცნების გუნდი" - 101:95.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ახალგაზრდული ნაკრები

# მესამეც წავაგეთ

| უკრაინა-საქართველო | 74:52 |
|---|---|

18:19, 21:13, 16:8, 18:12

საქართველო: გაფრინდაშვილი (2), ნივნივაძე (2), ცეკვავა (3), ლაფანაშვილი (5), დიდია (9), ჭოჭუა (2), ფარლალავა (5), მათიაშვილი (5), ბერიშვილი (3), შერმადინი (17).

შაბათს, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა უკრაინული ტურნე მესამე მატჩითა და მესამე მარცხით დაასრულა. ბოლო შეხვედრამაც მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა, ანგარიშია 74:52. ქართველთაგან 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ **გიორგი შერმადინმა** გადალახა, რომელმაც 17 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. 20-წლამდელთა ნაკრები კიევიდან თბილისში გუშინ საღამოს დაბრუნდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჩოგბურთი



მაკა ჩახნაშვილი

# ჩახნაშვილის მეექვსე ტიტული

*პირველი გვერდიდან*

ჩახნაშვილმა პირველი ტიტული 2002 წელს, სოფიაში მოიგო, როცა 25-ათასიანი ტურნირის ფინალში ბულგარელი **დესისლავა ტოპალოვა** დაამარცხა. მეორე გამარჯვება მან 2005 წლის სექტემბერში, თბილისში (საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი) მოიპოვა. აქ მან ფინალში თანამემამულე **მანანა შაფაქიძე** დაამარცხა. იმავე წლის ნოემბერში, ჩახნაშვილმა ისრაელში, რამათ-ჰაშარონის ტურნირის ფინალში **შერონ ფიჩმანი** დაამარცხა, დეკემბერში კი რაანანაში (ისრაელი, 10 ათასი) ფინალი მასპინძელ **ციპი ობზილერს** მოუგო.

შარშან, მაისში, მაკამ მეხუთე ტიტული იზეიმა. ანთალიის 10-ათასიანი ტურნირის ფინალში მან ფრანგი **კლერ დე გუბერნატისი** დაამარცხა. აგვისტოში, იტალიის ქალაქ მარტინა ფრანკაში, 50-ათასიანი ტურნირი მოიგო, აჯობა რა ფინალში ავსტრიელ **კარინ კნაპს**. შევაჯამოთ: ჩახნაშვილმა კარიერაში ერთი 50-ათასიანი, ორი 25-ათასიანი და სამიც 10-ათასიანი ტურნირი მოიგო.

მაკას შარშან, ფონტანაფრედაში 25-ათასიანი ტურნირის ფინალში გასვლისთვის მიღებული 17 ქულა დააკლდება, სამაგიეროდ, პადოვის ტურნირის მოგებისთვის, 25 ქულა ემატება.

ახლა, ჩახნაშვილი ჩაებმება კუნეოს (იტალია) საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი), რომელიც დღეს იწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჯეოსელის თასი

# წვიმამ გადაავადა...

კვირას "ჯეოსელის თასის" გათამაშება უნდა დასრულებულიყო, მაგრამ საქმეში წვიმა ჩაერია და შეჯიბრება ერთი დღით გააგრძელა. უამინდობის გამო, ფინალისტთა გამოვლენაც ვერ მოესწრო. სამი ტურნირის გამართვას დიდი ენერგია და დრო მიაქვს. დღეს, ალბათ, ყველაფერი დროულად მოხდება, თუ რა თქმა უნდა, ცამ კვლავ არ მოხსნა პირი...

ტურნირი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს და ემოციებითაც სავსეა. განსაკუთრებით, წყვილთა შორის ტურნირია გამორჩეული. აქ, როგორც იცით, ერთ შემთხვევაში პროფესიონალი და მოყვარულია შეწყვილებული, მეორეში კი მხოლოდ მოყვარულები თამაშობენ. შერეულში სამი ნახევარფინალური წყვილია გარკვეული: **ირაკლი სვანიძე- იური ნივნივაძე გივი ლაბაძე-გიორგი ნივნივაძეს** შეხვდებიან, **გივი გორდაძისა** და **მიხეილ ფრიდმანის** დუეტი **გივი სამხარაძე-კარლო მეზურნიშვილისა** და **ლადო მლოცველიშვილი-დავით ხუროძეს** შორის გამარჯვებულს შეხვდება.

მოყვარულთა შორის შესანიშნავად თამაშობენ სომეხი სტუმრები: **გაგიკ აირაპეტიანმა** და **ბაგრატ კაზუმინიანმა თეიმურაზ ასათიანისა** და **ალექსანდრე ჩეკულაევის** ფავორიტი წყვილი დაამარცხეს - 6:2. ნახევარფინალში ისინი **ირაკლი თოფურიძე-გია მანჯგალაძის** წყვილს შეხვდებიან. მეორე ნახევარფინალურ წყვილია ამერიკელი **მარკ პერი** და **აკაკი მელიქიძე**. ისინი **მიხეილ ფრიდმანი-ბესარიონ ჭიჭინაძის** დუეტს დაუპირისპირდებიან.

ერთეულთა შორის მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ, ორივე ასაკობრივ ჯგუფში კი მხოლოდ თითო ნახევარფინალისტია ცნობილი: **გაგიკ აირაპეტიანი** (45 წლამდე) და ამერიკელი **მარკ პერი** (45 წელს ზემოთ).

45 წლამდე კატეგორიაში მეოთხედფინალში გავიდნენ **ირაკლი ბაშალეიშვილი, გოჩა ბუჩუკური, მიშა ბერძენიძე, არჩილ კეკელია, თემურ მაღლაფერიძე** და **ზურაბ ჩაჩუა**; 45 წლის ზემოთ: **ირაკლი თოფურიძე, მიხეილ ფრიდმანი, ილია ღლონტი, ერმილე ჭიჭინაძე, ავთანდილ ლომიძე, თეიმურაზ ასათიანი** და **გივი ლაბაძე**.



თელასის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ვალერი ფანცულაია

**ზვიად შათირიშვილი**

## თვის მოვლენები — ივნისი

**2. ფეხბურთი:** ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა კაუნასში ლიტვასთან 0:1 წააგო.

**5. ფეხბურთი:** საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა შესარჩევ ციკლში შინ ესპანეთთან 0:1 წააგო.

**5 რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა IRB-ის ერთა თასზე ნამიბია 26:18 დაამარცხა.

**6. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრებმა საფრანგეთში 0:1 წააგო ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი.

**10. რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა სამხ. აფრიკის A ნაკრებთან 7:24 წააგო.

**12. ფეხბურთი:** ალექსანდრე იაშვილმა ბუნდესლიგის "კარლსრუესთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**16. რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა იტალიის A ნაკრები 22:20 დაამარცხა და IRB-ის ერთა თასზე მესამე ადგილი დაიკავა.

**17. კალათბურთი:** ქართველი ლეგიონერი ვლადიმერ ბოისა იტალიის ჩემპიონი გახდა.

**23-30. ფეხბურთი:** "ზესტაფონი" ორი მატჩის ჯამში დამარცხდა ყაზახურ "ტობოლთან" (0:3, 2:0) და ინტერტოტოს თასის გათამაშებას გამოეთიშა.

**27. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრების მცველმა გიორგი შაშიაშვილმა ავსტრიულ "შტურმთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**27-28. თავისუფალი ჭიდაობა:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბელგრადში ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვა.

**29. ფეხბურთი:** შვეიცარიის ქალაქ ნიონში ევროთასებზე ქართული კლუბების მეტოქეთა ვინაობა გაირკვა.

**30. კალათბურთი:** ვლადიმერ ბოისა ევროპის ნაკრებში მიიწვიეს. საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში მან 4 ქულა მოიპოვა.

## რაგბი

სამი ერის თასი

# კაპიტნის წყალობით...

სამი ერის თასზე პირველი წრის დასრულების შემდეგ სამივე ნაკრებს 5-5 ქულა აქვს. შაბათს, ჩემპიონი ახალი ზელანდია ავსტრალიაში დამარცხდა, არადა, თითქმის სულ წინ იყო. ამ მოგებით მასპინძელმა სერიოზული განაცხადი გააკეთა "ბლედისლოუს თასზეც". მატჩში საუკეთესო ბეკი **სტირლინგ მორტლოკი** იყო. კაპიტანმა შეტევაშიც ბრწყინვალედ ითამაშა და დაცვაშიც, საჯარიმოებიც კარგად ურტყა და გარდასახვებიც გამოიყენა. ბოლოს კი მორტლოკმა შეცვლაზე შესულ **სკოტ სტენიფორსს** გამარჯვების ლელო გაატანინა.

მელბურნში, გადაჭედილ "კრიკეტ გრაუნდზე", ზელანდიელებმა მატჩის სადავეები ხელიდან მაშინ გაუშვეს, როცა 62-ე წუთზე მსაჯმა მათი მეორახაზელი **ჰეიმანი** გაასინბინა. "ოლ ბლექსი" იმ მომენტისთვის 15:6-ს იგებდა. კაცნაკლულმა ზელანდიამ იქვე მიილო ლელო **ეშლი-კუპერისგან**, ცხრა წუთში კი სტენიფორსმა გამარჯვება ავსტრალიას მოუტანა - 20:15.

ავსტრალიას მოგება ძვირად დაუჯდა: სერიოზული ტრავმები მიიღეს ვეტერანმა **ჯორჯ გრეგანმა** და რვა ნომერმა **ვიკლიფ პალუმ**. სამი ერის თასის მორიგი მატჩი 7 ივლისს კვლავ ავსტრალიაში გაიმართება: "ვოლაბები" სიდნეიში "ქურციკებს" უმასპინძლებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**30 ივნისი**

მელბურნი. კრიკეტ გრაუნდი.
80 000 მაყურებელი

| ავსტრალია-ახ. ზელანდია | 20:15 |
|---|---|

ავსტრალია: 2 ლ (ეშლი-კუპერი, სტენიფორსი), 2 გ და 2 ს (მორტლოკი)

ახ. ზელანდია: 2 ლ (ვუდკოკი, გიარი), გ და ს (კარტერი)

| | თ | მ | ფ | წ | სხვ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 39-37 | 1 | 5 |
| ზელანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 41-41 | 1 | 5 |
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 43-45 | 1 | 5 |

**დარჩენილი მატჩები**

7 ივლისი: ავსტრალია-სამხ. აფრიკა
14 ივლისი: ახ. ზელანდია-სამხ. აფრიკა
21 ივლისი: ახ. ზელანდია-ავსტრალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონი

# ტრადიცია ტრადიციაა

უიმბლდონის ტურნირს მრავალი ტრადიცია ახასიათებს, რომელთაგან ერთ-ერთი ისაა, რომ პირველი კვირა დღე დასვენებისთვისაა განკუთვნილი. ეს ტრადიცია არც მაშინ ირღვევა, როცა უამინდობის გამო, თამაშები გადასადები ხდება. გამონაკლისი მხოლოდ სამჯერ დაფიქსირდა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ წვიმის გამო, ტურნირის მსვლელობა გრაფიკს ძლიერ ჩამორჩა.

ამჯერად, წვიმის გამო, მეექვსე დღე თითქმის მთლიანად ჩაიშალა - მესამე წრის მხოლოდ ორი შეხვედრის დასრულება მოხერხდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ტურნირის ორგანიზატორებმა ზემოთ ნახსენები ტრადიცია მაინც არ დაარღვიეს - გუშინ ჩოგბურთელებს დასვენების საშუალება მისცეს.

წვიმის გამო, შაბათის თამაშები ოთხი საათის დაგვიანებით დაიწყო, მერე წვიმამ 75-წუთიანი პაუზა აიღო და ამ პაუზის დროს მხოლოდ ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა, ფრანგმა **ამელი მორესმომ** და უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა, რუსმა **მარია შარაპოვამ** მოასწრეს მეოთხე წრის საგზურის მოპოვება. კიდევ ერთ ყოფილ ჩემპიონს, ამერიკელ **ვენუს უილიამსს** კი ძალიან გაუმართლა - იაპონელ **აკიკო მორიგამისთან** პირველი ხელის მოგების შემდეგ, მეორეში ის ორი ბრეიკით უკან იყო, როცა თამაში შეწყდა.

აქ რა მოსატანია, მაგრამ ფაქტია, რომ უიმბლდონის ტურნირს არ სწყალობენ რუსი მამაკაცი ჩოგბურთელები. პირველი **მარატ საფინია**, ვისაც "ოლ ინგლენდ კლაბის" კორტების სისწრაფე არ მოსწონს. გარდა ამისა, სანამ **როჯერ ფედერერთან** მესამე წრეში დამარცხდებოდა, საფინი იმასაც ჩიოდა, აქ საკვები ძალიან ძვირი ღირს და უსაფრთხოების სამსახურიც უცნაურად იქცევაო.

მეორე კი **ნიკოლაი დავიდენკოა**, ვინც პირველად გასცდა საბალახო სლემ-ტურნირის მეორე წრეს (ავსტრალიელ **კრის გუჩონესთან** გამარჯვების შემდეგ). საქმე ისაა, რომ დავიდენკოს უიმბლდონის შემოგარენში გამეფებული მოწყენილობა არ მოსწონს - ახლა ცენტრში ვცხოვრობ და იქაურობას ეს არ ეხება, მაგრამ ბინა უიმბლდონის ახლოს რომ მექირავა, მაშინ მოწყენილობა მომკლავდაო, - წუწუნებს რუსი ჩოგბურთელი.

შარაპოვამ იაპონელი **აი სუგიამას** დამარცხება მანამ მოასწრო, სანამ ცა პირს კვლავ მოხსნიდა. თითქოს მათი შეხვედრის დასრულებას ელოდაო - როგორც კი ჩოგბურთელებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, მაშინვე ძლიერი წვიმა წამოვიდა. იგივე მოხდა მორესმოსა და იტალიელი **მარა სანტანჯელოს** შეხვედრის შემდეგაც.

ტურნირის მეექვსე დღის ყველაზე საინტერესო მომენტი შარაპოვასა და სუგიამას შეხვედრის მიწურული იყო. რუსს გამარჯვებამდე სულ რამდენიმე ქულალა აშორებდა, როცა წინწკვლა დაიწყო და მომსახურე პერსონალმა კორტის გადასაფარებლის მომზადება დაიწყო. რა თქმა უნდა, ეს ჩოგბურთელებმაც შენიშნეს, რომლებსაც ეჭვიც არ ეპარებოდათ, თუ ვინ მოიგებდა ამ თამაშს. ჰოდა, იმის შიშით, რომ წვიმა დაასწრებდა და მეოთხე წრეში გასასვლელად ლოდინი მოუწევდა,



მარია შარაპოვა

შარაპოვამ აგრესიას უმატა. სუგიამა კი ჩიოდა - კორტი მეტისმეტად დასველდა და ფეხიც მიცურავსო. მაგრამ ემპაიერმა იაპონელის ჩივილი არ გაითვალისწინა და ყოფილ ჩემპიონს საქმის მოთავების საშუალება მისცა.

*"აშკარად ეტყობოდა, რომ ამინდი აღარ გამოკეთდებოდა. მე კი საქმის დროულად მოთავება მინდოდა"*, - განაცხადა შარაპოვამ, ვინც ერთ მომენტში, წალმა დარტყმის შემდეგ, თავი ვერ შეიკავა და ლამის, კორტის მიღმა მდებარე ხალიჩის ქვეშ ამოყო თავი. მომდევნო ეტაპზე შარაპოვას ვენუსთან შეხვედრის პერსპექტივა აქვს. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელი მორიგამის დამარცხებას შეძლებს.

რაც შეეხება მორესმოს, მას მხოლოდ პირველ სეტში, თავის მოწოდებაზე გაუჭირდა ქულის მოპოვება. შემდეგ კი, უპირატესობას სრულად დაეუფლა და მხოლოდ სამი სეტი დაუთმო სანტანჯელოს. ფრანგმა 15 გეიმში 11 ეისის მოწოდება მოასწრო და შეხვედრის დასრულების შემდეგ, თავისი თამაში ათბალიანი სისტემით რვა ქულით შეაფასა.

***P.S.* საქმე გაუადვილდა როჯერ ფედერერს, ვინც მეოთხე წრეში გერმანელ ტომი ჰაასს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ტრავმის გამო თამაშს ვერ ახერხებს, რის გამოც, შვეიცარიელი მაესტრო პირდაპირ მეოთხედფინალში გავიდა.**

**ქალები**

**მესამე წრე**

**მარია შარაპოვა** (რუს, 2)-აი სუგიამა (იაპ, 26) 6:3, 6:3
**ამელი მორესმო** (საფ, 4)- მარა სანტანჯელო (იტა, 28) 6:1, 6:2

ინტერვიუ მარტინა ჰინგისთან

# გაისად საუკეთესო ფორმაში ვიქნები

**1997-დან მოყოლებული, ზედიზედ სამი წლის განმავლობაში "ოლ ინგლენდ ქლაბის" ქალთა მთავარი ჯილდო თავს ზემოთ, სლოვაკურ კოშიცეში დაბადებულმა მარტინა ჰინგისმა ასწია. პირველი ჩემპიონობისას, 16 წლის მარტინამ იმდენად ფენომენალური ჩოგბურთი ითამაშა, რომ შტეფი გრაფის თითქოსდა ურყევი სასლემო მიღწევა (ერთეულებში 21 სლემტიტული) ძველებურად ურყევი აღარ ჩანდა. ჰინგისს ერთეულებში 43, წყვილებში კი 37 ტურნირი აქვს მოგებული. 1997 წლის 31 მარტს კი იგი პირველად გახდა მსოფლიოს საუკეთესო მანდილოსანი მეჩოგნე. მარტინას. 647 საერთეულო მატჩიდან 522 თავის სასარგებლოდ აქვს დასრულებული, კარიერაში დაგროვილი საპრიზოებით კი ეს ფენომენალური გოგონა 20 მილიონს აჭარბებს. მერე და მერე კი მარტინას ბალახის დედოფლობაში დები უილიამსები, ამელი მორესმო, მარია შარაპოვა ჩაეზიარნენ. შვეიცარიელი კი მათ ჩრდილში მოექცა. დღევანდელი ჰინგისი ფონს მხოლოდ უდიდესი გამოცდილებითა და იმ ტექნიკური არსენალით გადის, რომლითაც თავის დროზე ერთეულებში დიდი სლემის ხუთი ტურნირი მოიგო. ამ უიმბლდონზე შვეიცარიელმა გამოსვლა მესამე წრეში დაასრულა - მე-9 განთესილ ფავორიტს ამერიკელმა ლაურა გრენვილმა ერთ საათსა და 6 წუთში - 6:4, 6:2 მოუგო.**

**- გრენვილი თითქმის არ გადიოდა ბადესთან, ბურთს უკანა ხაზიდან დიდი დაშორებით იღებდა და საერთოდ, თქვენზე ბევრად პასიური იყო. რის ხარჯზე მოახერხა მან მატჩის მოგება?**

- ლაურა ძალიან სტაბილურად თამაშობდა. არ ცდილობდა გათამაშების ერთი დარტყმით დასრულებას. იგი არ უკეთებდა ფორსირებას ხანგრძლივ გათამაშებებს და რაც მთავარია, საკუთარ მოწოდებაზე ძალიან აკურატული იყო. მეორე სეტში მის მოწოდებაზე ძალიან ბევრი კარგი შანსი მქონდა, მაგრამ რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ვერ გამოვიყენე და საერთოდაც, ყველა გადამწყვეტი ქულა მან მოიგო.

**- საკუთარ თამაშში რამემ მაინც თუ დაგაკმაყოფილათ?**

- მიღებაზე ცუდად არ მითამაშია, თუმცა, სამწუხაროდ, მეტოქის მეორე მოწოდებაზე ძალიან ბევრი უნებლიე შეცდომა დავუშვი. განსაკუთრებით პირველ სეტში, როდესაც გრენვილმა მხოლოდ ბურთის გადაგდებაზე თამაში დაიწყო. დამიჯერეთ, როდესაც გრძნობ, რომ შემტევი ჩოგბურთით მეტოქეს იოლად მოუგებ და მაინც არაფერი გამოგდის, თავდაჯერება ნელ-ნელა ქრება. სამწუხაროდ, ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც.

**- ეს ტურნირი რომ გამოგეტოვებინათ?**

- სიმართლე გითხრათ, ახლა მეც ამ აზრზე ვარ. ზურგი დღესაც მაწუხებს, მაგრამ ოპტიმალური ფორმისგან შორს ყოფნის მიუხედავად, ორი მატჩი მაინც მოვიგე. შემეძლო, მესამეც ჩემს სასარგებლოდ დამესრულებინა. მთავარი ის არის, რომ ჩემს უსაყვარლეს ტურნირზე მეთერთმეტედ ვითამაშე.

**- თავს როგორ გრძნობთ?**

- ბოლო თვენახევრის განმავლობაში სიმძიმეებზე თითქმის არ მიმუშავია. ტრენაჟორების მოსამზადებელი ციკლიდან ამოღებამ კი ჩემზე უარყოფითად იმოქმედა. ამ ეტაპზე მაქსიმუმ, რითაც ვიტვირთები, ყოველ დილით 1[illegible] კილომეტრის ველოსიპედით გავლაა. მიკროტრავმების შემდეგ სასიკეთოდ მხოლოდ ის შეიცვალა, რომ მეტს ვკითხულობ და ჩემი საერთო განათლების დონე ავიმაღლე.

**- როგორ გგონიათ, საუკეთე[illegible] კონდიციებს მალე დაიბრუნებთ?**

- ამაში დარწმუნებული ვარ. სარეაბილიტაციო პროცესის დასრულებისთანავე დღეში 4-5 საათის განმავლობაში ვარჯიში შემეძლება, კუნთური მასის გაზრდაზეც აქტიურად ვიმუშავებ და დარწმუნებული ვარ, რომ 2008 წლის ავსტრალიის ღია პირველობისთვის ჩემს საუკეთესო ჩოგბურთს ვითამაშებ. ბერლინის ტურნირის მერე, რომელიც რამდენიმე თვის წინათ გაიმართა, ჯანმრთელს არსად მითამაშია. ამერიკის ღია პირველობისთვის უიმბლდონზე გაცილებით კარგ ფორმაში ვიქნები და იმედი მაქვს, მინიმუმ, მეოთხედფინალში გავალ. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**- თუ არ ვცდებით, უიმბლდონის ნომერ მეორე კორტზე პირველად დამარცხდით.**

- დიახ. მეორე კორტი ჩემთვის ყოველთვის იღბლიანი იყო, ამჯერად კი გრენვილმა ეს სასიამოვნო ტრადიცია დამარღვევინა.

**- როგორ გგონიათ, რამდენად შორს გავა ლაურა მიმდინარე ტურნირზე?**

- ვერაფერს გეტყვით. უიმბლდონი ყოველთვის სიურპრიზებითაა სავსე. მე მომიგო და ეს მიუხედავად იმისა, რომ სადღაც 75-ე ადგილზე იმყოფება. ასე რომ, უმჯობესია, მომდევნო მატჩებს დაველოდოთ.



მარტინა ჰინგისი

კრივი

ზემძიმე წონა

# ჰოლიფილდმა ისევ მოიგო

პროფესიულ რინგზე დაბრუნების შემდეგ, რიგით მეოთხე ბრძოლა გამართა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, 44 წლის **ევანდერ ჰოლიფილდმა**. ამჯერად მისი მეტოქე იყო 41 წლის ყოფილი პრეტენდენტი **ლუ სავარეზე**. ათრაუნდიანი ბრძოლა შტატ ტექსასის ელ პასოში ჩატარდა და ჰოლიფილდის გამარჯვებით დასრულდა.

ამჯერად, ჰოლიფილდის უპირატესობა აშკარა იყო. მან ბრძოლა ცაციათი შესრულებული ძლიერი დარტყმით დაიწყო და ანალოგიური დარტყმითვე დაასრულა. მან ათივე რაუნდი მოიგო და მართალია, მეტოქე პირველ რვაში მეტნაკლებ წინააღმდეგობას უწევდა, საბოლოოდ მაინც ჰოლიფილდმა გაიმარჯვა, რომელსაც სამივე მსაჯმა უპირატესობა (98-90, 99-87 და 96-91) მიანიჭა.

სავარეზე (46-7), ვისაც ოდესღაც ტიტულისთვისაც უბრძოლია, პირველ რვა რაუნდში მედგრად დაუხვდა მეტოქეს. მაგრამ მეცხრეში მძიმე ცაცია ნიკაპში მოხვდა, რამაც ძირს დასცა. სავარეზემ ბრძოლის გაგრძელება შეძლო, მაგრამ მეათეში ძლიერი დარტყმა კიდევ იგემა და ისევ ნოკაუდნში აღმოჩნდა. მან როგორღაც შეძლო ფეხზე წამოდგომა და თუ საფინალო გონგამდე მიატანა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰოლიფილდს (42-8-2) დიდად თავი აღარ შეუწუხებია.

*"მესამე რაუნდში ლუსგან მაგარი აპერკოტი მომხვდა, მაგრამ დარტყმა ავიტანე და მომდევნო მუშტსაც მოვერიდე. გარწმუნებთ, ძალიან ძლიერი დარტყმა იყო, მაგრამ მე მას გავუძელი და საბრძოლო რიტმიც შევინარჩუნე"*, - ბრძოლის შემდეგ განაცხადა ჰოლიფილდმა.

სხვათა შორის, სავარეზე მეტოქეზე დაახლოებით 8 კილოგრამით მძიმე და რამდენიმე სანტიმეტრით მაღალია, თუმცა მან ამ უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლო. უფრო მეტიც, მესამე რაუნდში განხორციელებული დარტყმის გარდა, მას მეტოქე ბევრი არაფრით შეუწუხებია.

ჰოლიფილდის თქმით, მან თავიდან ახლო დისტანციაზე შესვლები და იქიდან შეტევა სცადა, მაგრამ სავარეზემ არ მიუშვა, რის გამოც, ევანდერმა აქცენტი სწრაფ მოძრაობასა და შორიდან სწრაფ დარტყმებზე გადაიტანა. განსაკუთრებით ხშირად კი ის მეტოქეს ცაცია ჯებით უტევდა ხოლმე. მან აღიარა, რომ სავარეზესგანაც საკმაოდ მიიღო დარტყმები, მაგრამ ამ დარტყმებს ძალა არ ჰქონდა, რადგან მეორე მოქნევისა იყოო (პირველ მოქნეულებს ჰოლიფილდი იცდენდა).

ჰოლიფილდის მიზანს მსოფლიოს ჩემპიონის მეხუთე ტიტულის დაუფლება წარმოადგენს. მან უკვე გამართა ოთხი ბრძოლა და იმედოვნებს, რომ მალე რომელიმე პრესტიჟული გაერთიანების ჩემპიონთან შეხვედრის საშუალება მიეცემა. მას სჯერა, რომ მომდევნო ბრძოლაში სწორედ ჩემპიონთან შეხვედრა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონის ტიტულს ევანდერი პირველად 1990 წელს მას შემდეგ დაეუფლა, რაც ქულებით აჯობა **ჯეიმს "ბასტერ" დაგლასს**. რაც პროფესიონალი მოკრივის ლიცენზია დაიბრუნა, ჰოლიფილდმა ოთხივე ბრძოლა შტატ ტექსასში ჩაატარა. თუმცა, იმავდროულად, ნიუ იორკის საათლეტო კომისია კვლავაც უარზეა, დაუბრუნოს სამი წლის წინათ ჩამორთმეული ლიცენზია.

შტუტგარტში კი, WBA-ის ვერსიით, საშუალო წონის ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა გერმანელმა **ფელიქს შტურმმა**, ვინც მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო ურუგვაელ **ნოე ტულიო გონსალეს ალკობას**. შტურმმა (28-2, 12 ნოკაუტი) ტიტული ორი თვის წინათ დაიბრუნა. მაშინ მან ასევე ქულებით აჯობა ესპანელ **ხავიერ კასტილიეხოს**.

ალკობა ურუგვაელია და არგენტინაში ცხოვრობს. მას პროფესიულ რინგზე თავისი პირველი 14 ბრძოლა მოგებული აქვს (7 ნოკაუტით), თუმცა ამჯერად ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ჩემპიონს, ვისაც სამივე მსაჯმა აშკარა უპირატესობით (120-108, 118-110 და 116-112) მოაგებინა.

ალკობამ ბრძოლა აგრესიულად დაიწყო. ის მეტოქისთვის დარტყმების ტანში მიყენებას ცდილობდა, მაგრამ შტურმი ადვილად ახერხებდა მის მოგერიებას. ურუგვაელის დარტყმები იშვიათად აღწევდა მიზანს. სამაგიერდ, ჩემპიონის კონტრშეტევები გაცილებით შედეგიანი იყო. ალკობამ ძლიერი დარტყმა ერთადერთხელ, მეშვიდე რაუნდში მოახერხა, მაგრამ შტურმმა ის იოლად გადაიტანა. მეათე რაუნდში პრეტენდენტს დაღლა დაეტყო - მან ხელები ჩამოუშვა და ჩემპიონს სამიზნე გაუხსნა. ურუგვაელმა ბოლო რაუნდში ძალები მოიკრიბა და გამეტებით შეუტია, მაგრამ გერმანელი მაგრად დაუხვდა და ძლიერი დარტყმები აქეთ აგემა. ნაბრძოლევს შტურმმა განაცხადა, ეს ალკობა ძალიან მაგარი ბიჭი ყოფილა - ამდენი მოხვდა, მაგრამ ბრძოლის ბოლომდე ერთხელაც არ წაქცეულაო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ფორმულა 1. საფრანგეთის დიდი პრიზი

# ახლა კიმის ჯერია



რაიკონენმა რბოლა ბოქსებში მოიგო

"ფერარის" ფინელი პილოტი **კიმი რაიკონენი** ახლანდელი ფორმულა ერთის ყველაზე მაღალხელფასიანი პილოტია, მაგრამ მიმდინარე სეზონის გახსნითი რბოლის (ბრაზილია) მოგების შემდეგ, ერთბაშად მაკლარენელი მეტოქეებისა და თავისი თანაგუნდელის, ბრაზილიელი **ფელიპე მასას** ჩრდილში მოექცა. ჰოდა, პადოკებშიც გაჩნდა ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს, "სკუდერიის" ხელმძღვანელობა მის შეცვლაზე ფიქრობდა.

ამ ჭორებს ხაზი ჯერ კიდევ საფრანგეთში ჩასვლამდე გადაუსვა "ფერარის" შეფმა **ჟან ტოდტმა**, ვინც რაიკონენსა და მასას "ფერარის" ხვალინდელი დღე უწოდა. მანი კურში ჩასულმა კი საზოგადოებას თავისი გუნდის პრობლემების მიზეზიც ამცნო. თურმე, ნუ იტყვით და, აპრილში "ფერარის" აეროდინამიკური მილი დაზიანებია, რის გამოც, ორი კვირის განმავლობაში, გუნდი ამ მეტად საჭირო ტექნოლოგიურ დანადგარს ვერ იყენებდა.

შეგახსენებთ, რომ რაიკონენის ბრაზილიური ტრიუმფის შემდეგ, ორი რბოლა (ბაჰრეინსა და ესპანეთში - აპრილსა და მაისის დასაწყისში) მასამაც მოიგო. მაგრამ მას შემდეგ, რაც გუნდმა აეროდინამიკური ელემენტების მოდერნიზება დროებით შეაჩერა, ეს მისი პილოტების შედეგებზეც აისახა - მოულოდნელად, გუნდი, რომელიც სეზონის დასაწყისში აშკარად დომინირებდა, მდევრის (თანაც უიმედო) როლში აღმოჩნდა.

ახლა კი, როგორც ჩანს, "ფერარის" აეროდინამიკოსებმა ჩამორჩენა აღმოფხვრეს და საფრანგეთის დიდი პრიზისთვის თავის პილოტებს აბსოლუტურად კონკურენტუნარიანი ბოლიდები მიაწოდეს. ამის შედეგი კი ჩვენ საფრანგეთის დიდ პრიზზე ვიხილეთ.

სამაგიეროდ, საფრანგეთში პრობლემები "მაკლარენს" დაეწყო. ჯერ იყო და, პარასკევის თავისუფალი პრაქტიკების დროს, პრობლემები შეექმნა ჩემპიონატის ბრიტანელ ლიდერ **ლუის ჰემილტონს**. მის ბოლიდზე ძრავა ვერ ხურდებოდა, რაც მის პარამეტრებზე უარყოფითად აისახებოდა. თუმცა პრობლემა უმნიშვნელო აღმოჩნდა - ინჟინრებმა ის კომპიუტერში გარკვეული პარამეტრების შეცვლით აღმოფხვრეს.

მეორედ პრობლემამ თავი კვალიფიკაციის დროს იჩინა და, ამჯერად, ის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** მანქანაზე წარმოიქმნა და მან პილოტი ძლიერ დააზარალა. ალონსოს ბოლიდზე გადაცემათა კოლოფი დაზიანდა, რის გამოც მან კვალიფიკაციის მესამე სესიაზე ვერ იარა და შედეგად, სასტარტო რიგში მხოლოდ მეათე შედეგს დასჯერდა.

საფრანგეთის დიდი პრიზი მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოდგა. ლიდერთა განლაგება სტარტზევე შეიცვალა. იმის მიუხედავად, რომ უფრო მსუბუქი მანქანით გამოდიოდა (ეს მოგვიანებით გაირკვა), ჰემილტონმა ვერ შეძლო მეორე სასტარტო პოზიციის შენარჩუნება და ის რაიკონენს დაუთმო. სამაგიეროდ, კარგი სტარტი აიღო ალონსომ, ვინც ორი ადგილით წინ წაიწია. ოღონდ, ეს უფრო მისი კი არა, მეტოქეების (იარნო ტრული და ჰეიკი კოვალაინენი) დამსახურება იყო, რომლებმაც გზა ვერ გაიყვეს.

ორი ადგილით წინ რომ წაიწია, ალონსომ მაშინვე გერმანელ **ნიკ ჰაიდფელდს** შეუტია, ვისაც საფრანგეთში გამგზავრებამდე, სილვერსტოუნზე ვარჯიშის დროს, ზურგის ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ესპანელს პირველივე შეტევა თითქმის გამოუვიდა, მაგრამ სიჩქარე ვერ მოზომა და მოსახვევიდან გამოსვლისას ტემპის დაგდება მოუხდა, რითაც უმალ გერმანელმა ისარგებლა.

ბევრისთვის მოულოდნელად, ორივე "მაკლარენმა" პირველი პიტ-სტოპი მეტისმეტად ადრე, მე-16 წრეზე მოიარა. მასამ იგივე სამი წრის შემდეგ გააკეთა, კიდევ სამი წრის შემდეგ კი ბოქსებს რაიკონენმაც მიაშურა. სანამ ის ბოქსში იყო, ალონსომ იტალიელ **ჯანკარლო ფიზიკელას** გაასწრო და ისევ ჰაიდფელდს მიადგა, ვინც პირველი პიტის შემდეგ მასთან უპირატესობის გაზრდა შეძლო. ესპანელმა კვლავ შეუტია ჰაიდფელდს და კვლავ გაუარა, მაგრამ ისევ დათმობა მოუხდა. მაგრამ ორი წრის შემდეგ, ალონსომ თავისი მაინც გაიტანა.

პიტ-სტოპების მეორე სერიაც ჰემილტონმა გახსნა (37-ე წრეზე), რითაც აშკარა გახადა თავისი (სამპიტსტოპიანი) ტაქტიკა. რაიკონენი ბოქსში ამჯერადაც თავის თანაგუნდელზე სამი წრით გვიან შევიდა და თუ პირველ შემთხვევაში ამით მხოლოდ ჩამორჩენის შემცირება შეძლო, ამჯერად ლიდერის პოზიცია მოიპოვა.

ბოქსში გვიანი ვიზიტის წყალობით ჰაიდფელდმაც ისარგებლა, ვინც კვლავ უკან მოიტოვა ალონსო და ამჯერად, მისთვის გასწრების საშუალება აღარ მიუცია. ეგ კი არა, ბოქსებში ვოიაჟის შემდეგ ესპანელი ფიზიკომაც უკან მოიტოვა. მართალია, ალონსომ ერთხელ შეძლო იტალიელის ჩამოტოვება, მაგრამ მოსახვევიდან გამოსვლისას, ფიზიკომ პოზიცია დაიბრუნა და მეტოქისთვის გასწრების უფლება მეტად აღარც მიუცია.

მას შემდეგ კი, რაც ბოქსებს მესამედ ეწვია, ჰემილტონმა "ფერარის" ტანდემის დაწევის ყოველგვარი შანსი დაკარგა. მაგრამ რაც მთავარია, ზედიზედ მერვე რბოლა კვარცხლბეკზე დაასრულა. ფინიშამდე პოზიციები აღარც მარანელოელთა პილოტებს გაუცვლიათ. რაიკონენმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა და სკეპტიკოსებს დროებით მაინც წაართვა ლაქლაქის საბაბი.

*"ჩვენ ეს გამარჯვება ჰაერივით გვჭირდებოდა. გუნდის ინჟინრების გარჯამ, როგორც იქნა, შედეგი მოგვცა. გუნდი პირველობისთვის ბრძოლაში კვლავ ჩაერთო და ვფიქრობ, საფრანგეთიდან, ჩემპიონატი ჩვენთვის მეორედ დაიწყო. ახლა ჩვენ იქ ვართ, სადაც უნდა ვყოფილიყავით და გარწმუნებთ, ტიტულს ბრძოლის გარეშე არავის დავუთმობთ"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე რაიკონენმა, ვინც მოგების მიუხედავად, მაინც მეოთხე ადგილზე დარჩა. თუმცა ლიდერებთან ჩამორჩენა შეამცირა.

მასამ თანაგუნდელთან წაგება წრეზე ჩამორჩენილებს (ტრაფიკს) დააბრალა და ისიც აღნიშნა, რომ კიმის წარმატება ცოტა რისკიანმა სტრატეგიამაც მოუტანა. "ფერარის" პილოტებმა ლიდერთან ჩამორჩენა ოდნავ შეამცირეს. ჰემილტონმა კი, მესამე ადგილის მიუხედავად, ლიდერის პოზიცია გაიმყარა. ყველა რბოლას ხომ ვერ მოვიგებო - იხტიბარს არ იტეხს ლიდერი, ვინც ახლა უკვე 14 ქულას უგებს ალონსოს. ამან ფინიშს მეშვიდემ მიაღწია და მართალია, ამისათვის მხოლოდ ორი ქულა აიღო, პირად ჩათვლაში მეორე ადგილი მაინც შეინარჩუნა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მანი კური (საფრანგეთი). 308.586 კმ (4.411 X 70)**

| | |
|---|---|
| 1. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 1:30:54.200 |
| 2. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | +00:02.414 |
| 3. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 00:32.153 |
| 4. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბემვე ზაუბერი) | 00:41.727 |
| 5. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბემვე-ზაუბერი) | 00:46.801 |
| 6. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 00:52.210 |
| 7. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 0:56.516 |
| 8. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 00:58.885 |
| 9. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 01:08.505 |
| 10. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 1 წრე |
| 11. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 1 წრე |
| 12. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 1 წრე |
| 13. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 1 წრე |
| 14. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 1 წრე |
| 15. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 1 წრე |
| 16. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 2 წრე |
| 17. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 2 წრე |
| გ. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი) | 15 წრე |
| გ. კრისტიან ალბერსი (ჰოლანდია, სპაიკერ-ფერარი) | 42 წრე |
| გ. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 69 წრე |
| გ. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 69 წრე |
| გ. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 70 წრე |

*(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)*

**უსწრაფესი წრე: ფელიპე მასა - 1:16.099. 42-ე წრე**

**პირადი კლასიფიკაცია**

1. ლუის ჰემილტონი 64 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო 50; 3. ფელიპე მასა 47; 4. კიმი რაიკონენი 42; 5. ნიკ ჰაიდფელდი 30; 6. რობერტ კუბიცა 17; 7. ჯანკარლო ფიზიკელა 16; 8. ჰეიკი კოვალაინენი 12; 9. ალექსანდერ ვურცი 8; 10. იარნო ტრული 7; 11. ნიკო როსბერგი 5; 12. დევიდ კულტჰარდი 4; 13. ტაკუმა სატო 4; 14. მარკ უებერი 2; 15. რალფ შუმახერი 2; 16. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) 1; 17. სებასტიან ფეტელი 1

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. მაკლარენ-მერსედესი 114 ქულა; 2. ფერარი 89; 3. BMW ზაუბერი 48; 4. რენო 28; 5. უილიამს-ტოიოტა 13; 6. ტოიოტა 9; 7. რედ ბულ-რენო 6; 8. სუპერ აგური-ჰონდა 4; 9. ჰონდა 1

## TV სპორტი

**2 ივლისი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ჩილე.
14:10 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ეკვადორი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.
18:05 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. სპარტა-ლაციო.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ჩილე.
22:50 კოპა ამერიკა. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ეკვადორი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი.
08:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.
09:00 კრივი. რინგ-საიდი.
10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
11:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰალე. გერმანია.
16:55 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:25 ცურვა. Fina-გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი.
20:35 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.
21:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:35 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. კელვინ ბროკი-ტიმურ იბრაჰიმოვი.
02:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გოიაში-პალმეირასი.
04:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
05:55 ფეხბურთი. Barca TV. რონალდინიო.

**EUROSPORT**

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პოლანდიის გრან პრი.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-ბულგარეთი. პოლონეთი.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-აშშ. იტალია.
14:45 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. სერბეთი.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-კოსტა რიკა. კანადა.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ურუგვაი. კანადა.
18:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
19:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსტრავა. ჩეხეთი.
20:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-ახალი ზელანდია. კანადა (LIVE).
00:15 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გამბია-მექსიკა. კანადა (LIVE).
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი.
10:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. იაპონია-შოტლანდია. კანადა.
13:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. კანადა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის საზაფხულო ლიგა. ფინალი. იტალია.
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
19:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. კანადა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
23:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-აშშ. იტალია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. სერბეთი-რუსეთი. სერბეთი.
02:15 ახალი ამბები.

ფორმულა 1

### კატასტროფა მანი კურთან

მანიკურის ავტოდრომის ახლოს, კატასტროფა განიცადა ვერტმფრენმა, რომელშიც ხუთი ადამიანი იჯდა. აქედან სამი დაიღუპა, ორმა კი მძიმე ტრავმა მიიღო.

სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რომ ვერტმფრენში მსხდომ პიროვნებებს უშუალო შეხება ჰქონდათ საფრანგეთის გრან-პრისთან, რომელიც გუშინ მანიკურში გაიმართა.

პოლიცია ჯერჯერობით არ ასახელებს დაღუპულთა გვარებს.

გოლფი

### ვუდსს სახლი აღარ აქვს

ფლორიდის შტატის მარტინის საგრაფოს ერთ-ერთ კუნძულზე დაიწვა ვილა, რომელიც თანამედროვეობის საუკეთესო გოლფისტ **ტაიგერ ვუდსს** ეკუთვნოდა. შტატის სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ხანძარი ვილაზე მეხის დაცემამ გამოიწვია.

ეს სახლი ვუდსმა სულ ახალხანს შეიძინა და ძველ მეპატრონეს ჯერ არც ჰქონდა ტაიგერისთვის ვილა გადაბარებული. საბედნიეროდ, ჭექა-ქუხილის დროს სახლში არავინ იმყოფებოდა.

კალათბურთი

### მაიამი რაშარდ ლუისით დაინტერესდა

გაზეთ South Florida Sun-Sentinel-ის ინფორმაციით, NBA-ის 2006 წლის ჩემპიონი "მაიამი ჰიტი" "სიეტლ სუპერსონიქსიდან" **რაშარდ ლუისის** შეძენის ვარიანტს განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ "სონიქსის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ამასწინათ უარი თქვა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე, რომლის მიხედვითაც "სიეტლი" მას 21 მილიონ დოლარს სთავაზობდა. ასე რომ, დღეიდან რაშარდი თავისუფალი აგენტი გახდა.

აღსანიშნავია, რომ "მაიამის" კალათბურთელისთვის მხოლოდ 5.5 მილიონი დოლარის შეთავაზება შეუძლია.

ჰოკეი

### მესიე და დანარჩენები

ჰოკეის ეროვნული ლიგის დიდების დარბაზში ოთხი ახალი წევრი შეიყვანეს. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, მთავარი კანდიდატი ლეგენდარული **მარკ მესიე** იყო, რომლის დიდების დარბაზში მოხვედრა ეჭვს არ იწვევდა, კიდევ სამ ვაკანტურ ადგილზე კი, საკმაოდ ბევრი ცნობილი ჰოკეისტი აცხადებდა პრეტენზიას. საბოლოოდ, მესიე დიდების დარბაზში მოხვდა, სადაც მას მხარი **რონ ფრენსისმა, ელ მაკინისმა** და **სკოტ სტივენსმა** დაუმშვენეს.

*"ძალიან დიდ პატივ ვცემ იმ ბიჭებს, რომლებიც წელს აირჩიეს. მათი სტატისტიკა თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე"*, - განაცხადა მარკ მესიემ.

გარდა მოთამაშეებისა, დიდების დარბაზში შეიყვანეს NHL-ის ვიცე-პრეზიდენტი, "ტორონტოს" ყოფილი გენერალური მენეჯერი **ჯიმ გრეგორი**.

### დრური და ბრიერი მიდიან

"ბაფალო სეიბრზმა" კონტრაქტი გაუგრძელა ფორვარდ **ადამ მეირს**. ვეტერანმა ჰოკეისტმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, სამი სეზონის განმავლობაში 2.275 მილიონ დოლარს მიიღებს.

მეირმა "ბაფალოში" 4 წელი გაატარა. შარშან, შეტევის მეოთხე სამეულის წევრმა რეგულარულის 82 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 11 ქულა (2 გოლი+9 პასი) დააგროვა. ფლეი ოფში კი, მისთვის სარეკორდო, 5 ქულა მიითვალა (16 მატჩში 1 გოლი და 4 საგოლე გადაცემა).

ჯერჯერობით გაურკვეველია "სეიბრზის" ორი კაპიტნის ბედი. **კრის დრური** და **დანიელ ბრიერი** თავისუფალი აგენტები გახდნენ. დრური ჯერ კიდევ აგრძელებს მოლაპარაკებებს "ბაფალოსთან", მაგრამ სავარაუდოდ, ის ბრიერის გზას აირჩევს. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა "სეიბრზში" დარჩენა არ მოისურვა.

### ფერნანდესი დათვებში გაერია

"ბოსტონ ბრუინზმა" მომავალი სეზონისთვის ძლიერი მეკარე დაიმატა. "დათვების" რიგები შეავსო 32 წლის **მენი ფერნანდესმა**, რომელიც შარშან "მინესოტა უაილდში" თამაშობდა. ფერნანდესის სანაცვლოდ, "ველურებმა" 20 წლის პერსპექტიული ფორვარდი **პეტრ კლაუსი** და დრაფტის მეოთხე რაუნდში არჩევის უფლება მიიღეს.

"მინესოტა" ფერნანდესს მას შემდეგ გამოეთხოვა, როცა ამ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა მეორე მეკარე **ნიკლას ბექსტრიომმა**.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონის ლაურეატების გამოვლენის საზეიმო ცერემონიაზე ფერნანდესმა და ბექსტრიომმა "უილიამს ჯენინგს ტროფი" მიიღეს. ეს არის პრიზი, რომელიც იმ კლუბის მეკარეს გადაეცემა, რომელიც სეზონში ყველაზე ნაკლებ შაიბას უშვებს.

NBA. ერთობლივი ინტერვიუ გრეგ ოდენსა და კევინ დიურანთან

# ეს დრაფტი ისტორიაში შევა

**მართლაც გამორჩეული დრაფტი იყო. ბოლოს ასეთი აჟიოტაჟი ლებრონ ჯეიმსს, კარმელო ენტონისა და დარკო მილიჩიჩს რომ ირჩევდნენ, მაშინ იყო, მაგრამ ეს დრაფტი უფრო დიდი, პომპეზური და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, განსაკუთრებული გახლდათ. უნიჭიერეს სტუდენტთა შორის რამდენიმე მარგალიტი იყო, ვისაც თითქმის მთელი საკალათბურთო სამყარო გამორჩეულ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ყველაზე მეტად გრეგ ოდენსა და კევინ დიურანზე საუბრობდნენ, რომლებიც პირველ და მეორე ნომრებად შესაბამისად, "პორტლენდსა" და "სიეტლში" აღმოჩნდნენ. ოდენი და დიურანი სხვადასხვა ამპლუის მოთამაშეები არიან, მაგრამ ერთი რამ მათ ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის მსვლელობისას აერთიანებდათ - ერთსაც და მეორესაც მოგების წყურვილი სისხლში აქვს გამჯდარი და ორივე ახალგაზრდა იმაზე გაცილებით მეტისთვისაა მოვლენილი ამ ქვეყნად, ვიდრე იგივე ენტონი, კრის ბოში და სხვები. ვნებათაღელვა ოდნავ დაცხრა, ამჯერად კი გთავაზობთ ორმაგ ინტერვიუს დრაფტის ორ მთავარ გმირთან.**

**- კევინ, "სიეტლიდან" გუნდის მთავარი ვარსკვლავი რეი ალენი წავიდა. დიდი შანსია, რომ რაშარდ ლიუისმა კარიერა "ჰიუსტონში" გააგრძელოს. არის თუ არა ეს ის გუნდი, რომელსაც ელოდით და ზედმეტის აღება ხომ არ მოგიწევთ საკუთარ თავზე?**

- ბოლო წლებში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშე ყურადღების ცენტრში ექცევა. ასე იყო ლებრონის, კარმელოს, დუეინ უეიდის დროს. სამივე მათგანს პირველივე სეზონში ლამის ჩემპიონობას სთხოვდნენ, რაც ძლიერი თანაგუნდელების არყოლიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო. ყველა მოთამაშეს გარკვეულწილად პატივს ვცემ, მაგრამ ჯეიმსს, კარმელოსა და დუეინს არავისთვის იმედი არ გაუცრუებიათ. უეიდი საბოლოოდ ჩემპიონი მაინც გახდა, ჯეიმსმა წელს გუნდი ფინალში გაიყვანა, ხოლო ენტონი კი ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ იქცა. ამით იმის თქმა მსურს, რომ პირველ სეზონში შეიძლება ჩვენი გუნდი ფლეი ოფშიც კი ვერ მოხვდეს, მაგრამ ეს არამც და არამც არ გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ ვინმე ბოლომდე არ დაიხარჯება. რეი ალენის სახით ძალიან დიდი მოთამაშე დავკარგეთ, მაგრამ რეიზე მასშტაბურები ფიგურებიც წასულან, გუნდები კი არ დაშლილან და საჩემპიონო ამბიცია შეუნარჩუნებიათ.

**- გრეგ, "პორტლენდიდან" ზაკ რენდოლფი წავიდა. ბევრის აზრით, ეს თქვენ მეტ სივრცეს გამოგითავისუფლებთ. რას ფიქრობთ რენდოლფის ტრანსფერზე?**

- ზაკის გუნდიდან წასვლა დიდი მინუსია, თუმცა რამდენიმე ძალიან კარგი, გამოცდილი მოთამაშე დავიმატეთ და გუნდი თავის სახეს აუცილებლად შეინარჩუნებს. ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი სტივ ფრენსისის თამაშით, მომწონს ჯამაალ მაგლოირი, ჩეინინგ ფრაი "ნიუ იორკში" გამორჩეული მოთამაშე იყო. რენდოლფთან ერთად დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი და ძალიან გთხოვთ, ნუ დაწერთ, რომ ერთმანეთს ხელს შევუშლიდით. მე სხვა პლუსები მაქვს, ზაკს კი თამაშის სრულიად განსხვავებული ხედვა გააჩნია. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ რენდოლფი გაუშვეს, მაგრამ კიდევ ერთხელ გიმეორებთ, "პორტლენდი" არ დასუსტებულა.

**- კითხვა ორივესთან. რას ელით პირველი სეზონისგან და რამდენად გაამართლებთ გაცემულ ავანსებს?**

**კ.დ.** - პირველი სეზონიდან დიდ ხმაურს, აურზაურსა და ნერვიულობას ველი. ნურავინ იტყვის, რომ სადებიუტო სეზონში მოედანზე გასვლისას, კალათბურთელი არ ნერვიულობს და ყველაფერს მშვიდად უყურებს. ასეთი გამონაკლისებიც არიან, მაგრამ გადამწყვეტი მატჩებისას გამოცდილი ვარსკვლავებიც კი ღელავენ. ავანსების გამართლება? ვერ გეტყვით, რადგან ეს მარტო ჩემზე არ იქნება დამოკიდებული. ინდივიდუალისტი არასოდეს ვყოფილვარ და თუ გუნდი ფლეი ოფში გავა, ჩემი შედეგიანობა კი მინიმუმ 15 ქულა მაინც იქნება, მაშინ მისიას შესრულებულად ჩავთვლი.

**გ.ო.** - იმავეს გავიმეორებ. "პორტლენდში" ლამისაა ძეგლი დამიდგან. სიმართლე გითხრათ, გულშემატკივრებთან ურთიერთობა ყოველთვის მსიამოვნებდა, მაგრამ ეს აჟიოტაჟი უკვე ზედმეტია. გრეგ ოდენს არაფერი გაუკეთებია საიმისოდ, რომ იგი მოედანზე გასვლამდე გუნდის მხსნელად გამოაცხადონ. მე ჩემი კოზირები მაქვს და მის მაქსიმალურად გამოყენებას ვეცდები, თუმცა ბევრი რამ მაინც გუნდის საბოლოო გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დრაფტისას ყველა მხოლოდ თქვენი გვარების გაგონებას ელოდა, თქვენს იქით კი, სიცარიელე იყო...**

**გ.ო.** - ვერ დაგეთანხმებით. "ატლანტამ" ჰორფორდის სახით უნიჭიერესი, ფიზიკურად იდეალურად განვითარებული ფორვარდი დაიმატა. სხვებიც არანაკლებ ძლიერები არიან. დრაფტზე რამდენიმე კარგი უცხოელიც გამოჩნდა. და, როგორც გავიგე, "გოლდენ სტეიტის" იტალიელი ახალბედა (მარკო ბელინელი - რედ.) არაჩვეულებრივად ნიჭიერი ყოფილა.

**კ.დ.** - ჰორფორდზე მეც იმავეს ვიტყვი. ასევე კარგი სეზონი უნდა ჰქონდეს იოაკიმ ნოას, რომელსაც გუნდის მხრივაც ძალიან გაუმართლა. "ჩიკაგო" სწორედ ის ორგანიზაციაა, სადაც ნოას ტიპის მოთამაშეებს აფასებენ და მათთვის სოლიდური სათამაშო დროის გამოყოფას არავინ გაურბის. თანაც, მას გუნდში ბენ უოლასი დახვდება.

**- დევიდ სტერნთან ერთად ღამის ეთერში საუბრისას, გრეგმა კერპად ქარიმ აბდულ-ჯაბარი დაასახელა, ხოლო თქვენთვის კევინ, ასეთი პიროვნება დომინიკ უილკინსი ყოფილა.**

**გ.ო.** - ქარიმის თამაში ყველა ცენტრისთვის სამაგალითო უნდა იყოს. ხშირად მადარებენ შაკს, რაც ჩემთვის და ალბათ, ნებისმიერი მოთამაშისთვის უდიდესი პატივია, მაგრამ მე სულ სხვა ტიპის მოთამაშე ვარ. შაკის მთავარი კოზირი მისი არანორმალური გაბარიტებია, ქარიმი კი ყველა მიკროდუელს უფრო მარიფათის, ტექნიკისა და მისი სიმაღლისთვის არაჩვეულებრივი სისწრაფის ხარჯზე იგებდა. ასე რომ, ქარიმი ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო იქნება.

**კ.დ.** - დომინიკის საუკეთესო მომენტების ათწუთიანი მინიდისკი რომ მაჩუქეს, ორი დღე არ მეძინა. ვერ წარმომედგინა, რომ ადამიანს მოედანზე ასეთი საოცრების გაკეთება შეეძლო. ჯორდანი ხომ ჯორდანია და ყველა დროის უდიდესი კალათბურთელი იყო, მაგრამ მე მასზე მეტად მაინც უილკინსი და კლაიდ დრექსლერი მომწონდა.




ოდენი (52) და დიურანი

**- თქვენი პროგნოზი დამდეგი რეგულარულის წინ... რამდენ მატჩს მოიგებს "პორტლენდი" და "სიეტლი" და ფლეი ოფზეც მოკლე კომენტარი გააკეთეთ, ოღონდ თქვენ, კევინ "პორტლენზე" გვიპასუხეთ, გრეგმა კი კომენტარი "სიეტლზე" უნდა გააკეთოს.**

**კ.დ.** - "პორტლენდი" 40-42 მატჩს მოიგებს და ნამდვილად არ ვიცი, მოახერხებს თუ არა ფლეი ოფში გასვლას.

**გ.ო.** - "სიეტლი" ძალიან სწრაფი გუნდი იქნება და, ჩემი აზრით, 40 თამაშის მოგება არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა იმას ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენად საკმარისი იქნება ეს ფლეი ოფში გასასვლელად.

**- ვინ გახდება სეზონის საუკეთესო ახალბედა?**

**გ.ო.** - კევინ დიურანი ან ელ ჰორფორდი.

**კ.დ.** - გრეგ ოდენი, ელ ჰორფორდი, ან კევინ დიურანი, ყველაზე მეტი შანსი კი იმას ექნება, ვისი გუნდიც რეგულარულში უკეთ ითამაშებს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ევროთასები 2007/08

# პაო ბარსელონით იწყებს

## იტალიაში მომავალი ევროტურნირების კონტურები მოიხაზა

შაბათს, იტალიის ქალაქ ჯესოლოში 2007-08 წლების სეზონის ორი ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

თავდაპირველად, ჩატარდა ULEB-ის თასის კენჭისყრა. ამ ტურნირმა ცოტა ხნით ადრე სერიოზული ცვლილებები განიცადა. ადრე ULEB-ის თასი 24 გუნდს აერთიანებდა, წელს კი, მისი წარმომადგენლობა 54 გუნდამდე გაიზარდა. არადა, FIBA-ევროპას და ULEB-ს შეთანხმება ჰქონდათ დადებული, რომ ამ უკანასკნელს თავისი ეგიდით გამართულ ტურნირებზე 48 გუნდზე მეტი არ უნდა გამოეყვანა. ამის გამო, ამ ორ ორგანიზაციას შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა. FIBA-ევროპის პრეზიდენტი **გიორგოს ვასილაკოპულოსი** დაიმუქრა, რომ თავად მოაწყობდა ტურნირს, რომელიც ფინანსური და სპორტული თვალსაზრისით, გაცილებით მიმზიდველი იქნებოდა, ვიდრე ULEB-ის შეჯიბრებები. მაგრამ ჯერჯერობით მუქარა მუქარად რჩება და FIBA თავის ყველა პრესტიჟულ ტურნირში - ევროპის თასზე 32 მონაწილესაც ძლივს აგროვებს.

ULEB-ის თასის 54 მონაწილე პირველ ეტაპზე 9 ჯგუფად დაყვეს (თითოში ექვსი გუნდი). შემდეგ მოდის გათამაშების ნაცნობი სქემა: ფლეი ოფში გადის სამ-სამი საუკეთესო გუნდი და მათ ემატებიან 5 ჯგუფში საუკეთესო შედეგების მქონე მეოთხეადგილოსნები. ეს 32 გუნდი 1/16 ფინალის წყვილებს შექმნის და ტურნირი ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

მანამდე კი, ჯგუფური ეტაპის მონაწილეები ასე გადანაწილდნენ:

**A ჯგუფი:** შიაულაი (ლიტვა), ალბა (გერმანია), ტურკ ტელეკომი (თურქეთი), ხუვენტუდი (ესპანეთი), გილფორდი (ბრიტანეთი), სარაევო (ბოსნია);

**B ჯგუფი:** ჟეზენიკი (სერბეთი), შალონი (საფრანგეთი), ოვარენსე (პორტუგალია), ბეშიქთაში (თურქეთი), კიონი (გერმანია), ვენტსპილსი (ლატვია);

**C ჯგუფი:** ხირონა (ესპანეთი), ჰემოფარმი (სერბეთი), გალათასარაი (თურქეთი), კეპიტალსი (ჰოლანდია), შარლერუა (ბელგია), პლოეშტი (რუმინეთი);

**D ჯგუფი:** ხიმკი (რუსეთი), პამესა (ესპანეთი), სკაილაინერსი (გერმანია), ნანსი (საფრანგეთი), ანვილი (პოლონეთი), აზოვმაში (უკრაინა);

**E ჯგუფი:** ჰაპოელი (ისრაელი), ანტვერპენი (ბელგია), ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია), ალიანსი (ავსტრია), დინამო (მ-ო, რუსეთი), ფრაიბურგი (გერმანია);

**F ჯგუფი:** პანელინიოსი (საბერძნეთი), ცრვენა ზვეზდა (სერბეთი), ტელინდუსი (ბელგია), ფორტიტუდო (იტალია), დინამო (მ, რუსეთი), ნიმბურკი (ჩეხეთი);

**G ჯგუფი:** გრან კანარია (ესპანეთი), ლიუდვიგსბურგი (გერმანია), პანიონიოსი (საბერძნეთი), ვილერბანი (საფრანგეთი), ვროცლავი (პოლონეთი), კალევი (ესტონეთი);

**H ჯგუფი:** ასკ (ლატვია), აკადემიკი (ბულგარეთი), პო ორტეზი (საფრანგეთი), ბენეტონი (იტალია), არტლანდი, კიევი (უკრაინა);

**I ჯგუფი:** უნიქსი (რუსეთი), ტუროვი (პოლონეთი), ეიფელ ტაურესი (ჰოლანდია), სტრასბური (საფრანგეთი), ჰაპოელი (ისრაელი), ზადარი (ხორვატია).

■ ■ ■

მოგვიანებით გაიმართა ULEB-ის ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის წილისყრა. იმის გამო, რომ ესპანეთისა და იტალიის გარდა, ერთ ჯგუფში ერთი ქვეყნის გუნდების მოხვედრა წესების მიხედვით არ შეიძლებოდა, საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ:

**A ჯგუფი:** ცსკა (რუსეთი), ტაუგრესი (ესპანეთი), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), პროკომი (პოლონეთი), ოლიმპია (სლოვენია), ჟალგირისი (ლიტვა), მონტეპასკი (იტალია), ვირტუსი (იტალია);

**B ჯგუფი:** უნიკახა (ესპანეთი), მაკაბი (ისრაელი), ეფეს პილსენი (თურქეთი), არისი (საბერძნეთი), ციბონა (ხორვატია), ლე მანი (საფრანგეთი), ლ. რიტასი (ლიტვა), მილანი (იტალია);

**C ჯგუფი:** პანათინაიკოსი (საბერძნეთი), ბარსელონა (ესპანეთი), ფენერბაჰჩე (თურქეთი), რეალი (ესპანეთი), ბროზე ბასკეტსი (გერმანია), რომა (იტალია), პარტიზანი (სერბეთი), რუანი (საფრანგეთი).

წლევანდელი ევროლიგა 22 ოქტომბერს დაიწყება და პირველივე ტურში ცენტრალური მატჩი გაიმართება: მოქმედი ჩემპიონი "პანათინაიკოსი" "ბარსელონას" შეხვდება.

**მოტობოლა**

მსოფლიო ჩემპიონატი
ჰოლანდიის გრან-პრი

**IX ეტაპი**

125 კუბ.სმ (22 წრე - 100.210 კმ)

1. **პაზინი** (იტალია, "აპრილია) - 38:58.171; 2. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +6.115; 3. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +6.146; 4. **გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - +6.354; 5. **კორსი** (იტალია, "აპრილია") - +6.454.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ფაუბელი** - 138 ქულა; 2. **ტალმაში** - 131; 3. **გადეა** - 105; 4. **პეშეკი** (ჩეხეთი, "დერბი") - 103; 5. **კოიამა** (იაპონია, KTM) - 98.

250 კუბ.სმ (24 წრე - 109.320 კმ)

1. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - 40:25.904; 2. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - +3.857; 3. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - +8.683; 4. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - +17.948; 5. **ჰიროში აიომა** (იაპონია, KTM) - +30.800.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლორენსო** - 178 ქულა; 2. **დოვიციოზო** - 155; 3. **დე ანჯელისი** - 145; 4. **ბაუტისტა** - 116; 5. **ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - 80.

მოტოგრანპრი (26 წრე - 118.430 კმ)

1. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - 42:37.149; 2. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +1.909; 3. **ჰეიდენი** (აშშ, "ჰონდა") - +6.077; 4. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +10.465; 5. **ჰოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - +13.138.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სტოუნერი** - 185 ქულა; 2. **როსი** - 164; 3. **პედროსა** - 119; 4. **ჰოპკინსი** - 94; 5. **ვერმიულენი** (ავსტრალია, "სუძუკი") - 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით ბეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**